ნოდარ ჯავახიშვილი

ხევსურული ქრონიკები

1995

მარჯვე მუხლი გაქვს ნათელავ,
გული ყელამდე მდიდარი.
ლემადესავით გადავლე
გზები ფეხმოუკიდარი...
ცხრა წყარო გადავიარეთ
პირმზითი ნაპირმზითარი
შენებრ ქალი არ მინახავს
არც გზები ესევითარი...

ანა კალანდაძე

რედაქტორისაგან

„ხევსურული ქრონიკები“ პირობითად ასე დავარქვით ნათელა ბალიაურის ჩანაწერებს, რომლებიც ამ წიგნშია წარმოდგენილი. მას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ისინი შეიძლება სხვისი საკითხავიც გამხდარიყო. მათ მხოლოდ თავისი შვილის, გოგი ოჩიაურისთვის წერდა. წერდა იმაზე, რაც მის მეხსიერებაში აღიბეჭდა თავისი სიმძაფრით, სხვისგან გამორჩეულობით. ენანებოდა დაკარგულიყო ის ზნეობრივი თავისთავადობა, ადამიანთა ურთიერთობის განუმეორებელი ხასიათი და ქცევის ნორმები, რომლითაც მისი დროის ხევსურეთი ცხოვრობდა. ცდილობდა ჩაეწერა ის, რაც მას არდავიწყების ღირსად მიაჩნდა. სურდა მის შთამომავლობას სცოდნოდა საკუთარი ფესვების შესახებ.

იგი 1896 წელს დაიბადა პირიქით ხევსურეთში, არხოტის თემის სოფელ ახიელში. 18 წლისა ცოლად გაჰყვა ამავე სოფლის მკვიდრს ალ. ოჩიაურს და რაკი მათ დაარღვიეს ერთი სოფლის ქალ-ვაჟის ერთმანეთზე დაქორწინების აკრძალული წესი, იძულებულნი იყვნენ გადახვეწილიყვნენ. ასე აღმოჩნდნენ ისინი ფშავის სოფელ შუაფხოში, სადაც სამუდამოდ დამკვიდრნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ბალიაურმა თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი ფშავში გაატარა, იგი მაინც იმ ინტერესებით ცხოვრობდა, რა გარემოშიც გაიზარდა. ეთაყვანებოდა თავისი ხალხის მაღალ მორალურ ტრადიციებს, ამაღლებულ, ვაჟკაცურ სულს, გრძნობათა სიმძაფრეს, მოქნილ, ლაღ, გამჭრიახ სიტყვას.

ხანდაზმულმა, საკუთარ თავთან დარჩენილმა მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და ასე შეიქნა ეს წიგნი, რომელიც, ვფიქრობთ, თავისი უშუალობითა და სიმართლით მკითხველის გულამდე მივა. იგი საშუალებას მისცემს მას უფრო ღრმად ჩასწვდეს მთიელის შინაგან სამყაროს, შეიგრძნოს მისი მორალურ-ფსიქოლოგიური სახე.[1]

---

1 ნათელა ბალიაური 30-50-იან წლებში ჩაბმული იყო ივ. ჯავახიშვილის, კ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას თაოსნობით საქართველოში ფართოდ გაშლილ შემკრებლობით მუშაობაში. მის მიერ შეგროვილი ეთნოგრაფიული მასალის ნაწილი დაიბეჭდა შინამრეწველობის მასალებში, ცალკე წიგნად გამოიცა „ხევსურული სწორფრობა“, ხოლო ნაწილი მასალისა დაცულია ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ არქივში.

მშობლიურ მიწაზე უზომოდ შეყვარებული

ამ ჩანაწერებში, როგორც პატივცემული რედაქტორი, ქალბატონი თინათინ ოჩიაურიც შენიშნავს, უმთავრესად ეცნობით იმ გარემოს, რომელშიც ნათელა ბალიაურს უხდებოდა ტრიალი ბავშვობიდან ღრმა სიბერემდე. ცხოვრების გრძელ გზაზე ჩანაწერების ავტორს ბევრი რამ გადახდომია თავს, — უნახავს ავიც და კარგიც. დასაკარგავად და დასავიწყებლად ვაგლახად არაფერი არ ემეტებოდა, იცოდა, რომ ესეც ჩვენი ცხოვრების ნაწილია, — ერთი პატარა შენაკადი საქართველოს დიდი ისტორიისა. საქართველოზე კი მოხუცი ხევსური ქალი უზომოდ იყო შეყვარებული — დაებერდი და არამ მომაშორა საქართველოს სიყვარული. ... ბევრი ვიცინე, ბევრი ვიტირე, ... მიყვარდა, მძულდა, ვუყვარდი, ვძულდი... ეს ყველაფერი გაქრა, საქართველოს სიყვარული კი ... გაორკეცდაო, — მწერდა. ალბათ ამითაც იყო გამოწვეული მისი ის დიდი შინაგანი მოთხოვნილება, რომ ჩვენთვისაც ეამბნა, გაენდო და გაეზიარებინა ახლო თუ შორეულ წინაპართა ანდრეზები თუ პირადად მის მიერ განცდილი, ნანახი და გაგონილი. მას ეს თავის უპირველეს მოვალეობადაც კი მიაჩნდა! ვკითხულობ წარსულის ამ ფურცლებს და ერთი ცნობილი ქართველი მწერლის მსგავსი ვითარების გამო ნათქვამი მაგონდება, — აი, ასე იქმნებიან ქართლის ცხოვრების ფურცლებიო.

ნათელა დეიდას (თუ შემდგომში წამცდება და მას მხოლოდ სახელით მოვიხსენიებ, მისადმი უპატივისმცემლობაში ნურავინ ჩამომართმევს: მხოლოდ ახლა, ამ სტრიქონების წერისას, როგორღაც „აღმოვაჩინე“, რომ ვერანაირ სხვა მიმართვას, გარდა სახელისა, მისი პიროვნება... ვერ „ჰგუობს!“), ხშირად მოვინახულებდით ხოლმე თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე, მხატვართა უბანში, სადაც ბოლო დროს შემოდგომა-ზამთრის დღეებს ატარებდა შვილების, შვილიშვილებისა და ბადიშიშვილების სიყვარულით გარემოცული. აქედანვე მწერდა წერილებს, რომლებშიც, ხევსურეთის ბედით შეჭირვებული, თავის გულისტკივილს მიზიარებდა. გაზაფხულის მოახლოებით აწრიალებულიც მინახავს, — უკვე თვალი და ყური ირემივით ერთთავად მთებისაკენ რომ ეჭირა.

ყველაფერს ფხიზლად და შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს,

რაიც ხევსურეთზე ითქმოდა და იწერებოდა. მახსოვს მისი განაწყენება ერთ ცნობილ ქართველ მეცნიერზე, რომელმაც თავის წიგნში ზეზვა გაფრინდა-ულის გვერდით რატომღაც არ მოიხსენა ხევსური ხოშურაული და ხიმიკა-ური: თუ ზეზვას კითხულობ, წიგნში შეგაქვს, იმის გვერდით ომობს ხევსუ-რი, რატომ მასზე არაფერს იტყვი? რატომ ხოშურაული არ გაიგა? რატომ უკარგავ კუთხეს თავის გმირებს?

შავაქებ ხოშურაულსა,
აუგ თუ არ იქნებისა, –
მამკლავი თათრის ხანისა,
დამჭრელი იმის კარვისა,...

ხოშურაულზეა ნათქვამი; ძაღლიკა ხიმიკაური მოგონილი გმირი რომ არ ყოფილა, ერთმა ეთნოგრაფმა მითხრა. ჰოდა გადაეცი ავტორს, რომ... მტე-რობას გაბარებ მასთან, – მზად იყავ, რომ შეგხვდე, გზას არ გაძლევო. – იქვე საჭიროდ ჩათვალა, განემარტა, თუ რას ნიშნავდა ეს ნათქვამი, – მტე-რობას პატარა ნაწყენობაზე, პატარა შეურაცხყოფაზე იტყვიან ჩვენშიო. აი, მეცნიერთან ასეთ მტერობას გაბარებო და თან სიცილით კვდებოდა. ისე, კარ-გებს კი წერსო და მოწონების ნიშნად წიგნის ყდას სიყვარულით გადაუსვა ხელი.

ბოლშევიკების დროს სისხლისაგან დაიცალა ხევსურეთი, სუ ხელით დარ-ჩეული ვაუკაცები გაქრაო, შემომჩივლა და მისი ეს ნაწყენობაც ხომ აქედან მოდიოდა? მას აღარ უნდოდა, კვლავ დავიწყებას მისცემოდა ხევსურეთის შარავანდმოსილი შვილების სახელი. პატივცემული მეცნიერის გარდაცვა-ლების გამო დანაპირები ვერ შევასრულეთ (დარწმუნებული ვარ, ავტორი, საკმაოდ სამართლიანი ბუნების კაცი, უთუოდ გაითვალისწინებდა ამ შენიშ-ვნას). ამისი კომპენსაცია თუ იყო ამ შემთხვევის გამო დაწერილი ჩემი ლექ-სი – „მოხუცი ხევსური ქალის ხუმრობანარევი საყვედური“.

ყველაფერი ეცოტავებოდა, ხევსურეთისადმი ყველასაგან მეტ ყურადღე-ბას მოითხოვდა, თითქოს... ეჭვიანობდა კიდეც: ...მიხარია, რომ ხანდახან ჩემ საყვარელ ხევსურეთსაც წინწკლებს ესვრი, მაგრამ ჩვენ მეტს მოვით-ხოვთ: ღულის ძირ წისქვილი შეამჩნიე, – სიბეჩავის ნაშთი, ბეგენგორი კი – ვერა... არხოტ ქავ-ციხეები გამოგრჩა... ახიელს თამარ-მეფის ნაკურთხი

სასაფლაოა, – ესაც...ჭალას თამარ მეფის წყაროა... ახლა შენ მეტყვი, მე რა, ისტორიკოსი ვარო? მაგრამ მე მაინც მინდა შენ ეგეები იკითხა... ერთი მითხარი, ხევსურეთი რატომ გგონიათ უკანონო გერი ან შენ, ან მეორეებსო, – მწერდა. ბარათებში კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ამ თემას, – ხევსურეთი აღარსად ას... დაიკარგა ქალთა შრომა, ... ვაჟთა წრთობა, ცხენდოღი და ფარხმალთ ფერვა. ძალიან მიყვარს ჩემი ხევსურეთი, მაგრამ რა ვუშველოო, იწერებოდა. უსაზღვრო იყო მისი სიყვარული მშობლიურ კუთხისადმი, – სრულიად საქართველო ხომ კუთხეებიდან იწყება?!

იჯდა ცხრაათეულს მიტანებული მემატიანე ხევსურეთისა და თავის უმცროსი ვაჟის, გიორგი ოჩიაურის, ბინის მეორე სართულზე მისთვის განკუთვნილ მყუდრო ოთახში, ტახტთან ყავარჯნები რომ ეწყო და წარსულითლა იბრუნებდა სულს. მე თქვენ გეტყვით-და მოსაგონარ-მოსაყოლი შემოელეოდა!

როგორც მითხრეს, ბოლო ხანებში მან გოგის თხოვნით დაიწყო მოგონებების ქაღალდებზე გადატანა. ვკითხულობ ამ ჩანაწერებს, ნათელა ბალიაურის მემკვიდრეებმა თავაზიანად რომ გადმომცეს, და ყურში ნათელას ხმა, მისი ხევსური კილოთი დაფერილი ქართული ჩამესმის (... არაგვის ხმაურთან ერთად!), მეც რომ ყოველთვის გულს მიჩქროლებდა და საარაგვოსაკენ მეწეოდა!

მაგონდება ჩემი ახალგაზრდობის ის ნეტარი დრო, როდესაც პირველად მოვინახულე დიდი ვაჟას სამშობლო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტიდან 1955 წლის ივლისში ფშაური ლექსიკონის შესასწავლად ერთთვიანი მივლინებით გავემგზავრეთ სოფ. შუაფხოში (სალექსიკონო მასალების მოსაპოვებლად აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას პირადი ინიციატივით ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლები ხშირად იგზავნებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში).

მე და ჩემმა მეგობარმა ქალმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ნუნუ საყვარელიძემ, სოფ. შუაფხოში ნათელა ბალიაურისა და ალექსი ოჩიაურის ოჯახში დავიდეთ ბინა. ეს არჩევანი იმანაც განაპირობა, რომ მათ შვილებს ადრევე ვიცნობდით და ვმეგობრობდით მათთან. თუმცა აქვე მინ-

და შევნიშნო, რომ ამ დიდი ოჯახის კარი ღია იყო ყველასათვის, ვინც კი ფშავ-ხევსურეთისაკენ წასვლას განიზრახავდა. მათ ოჯახს ვერავინ აუვლიდა გვერდს! ერთ საღამოს შუაფხოში ხმა მოვიდა, რომ უცხო მგზავრებს კარები სოფლის ქვეით არაგვის პირას გაუშლიათო. მახსოვს, როგორ აღელდა ოჩიაურების კერა, როგორ ვერ მოისვენეს, სანამ თბილისელი მგზავრები არ მოძებნეს და საკუთარ ჭერქვეშ არ დაიგულეს.

სოფელი შუაფხო, რომელიც თბილისიდან ასი კილომეტრითაა დაშორებული, ფშავის არაგვის ხეობაში მდებარეობს და დუშეთის რაიონის უკანაფშავის სასოფლო საბჭოში შედის. ორმოცდაათიან წლებში უკანაფშავის სასოფლო საბჭოში 13 სოფელი იყო გაერთიანებული. შუაფხოში კი 12 კომლი ცხოვრობდა. ოჩიაურების ოჯახი შუაფხოში ერთადერთი ხევსურული ოჯახი იყო, რომელიც არხოტიდან გადმოსახლდა ფშავში (მათი ჩამოსახლების შესახებ ქალბატონმა თინათინ ოჩიაურმა გვიამბო შესავალ წერილში).

ოჯახის მამა, ალექსი ალეკას ძე ოჩიაური, ავადმყოფობის გამო უკვე პენსიაზე იყო. მან პედაგოგიური მოღვაწეობა ბედნიერად შეუწყვილა ასეთსავე დიდსა და არანაკლებ მნიშვნელოვან მამულიშვილურ საქმეს, — მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მისხალ-მისხალ კრებდა ფშავის და ხევსურეთის ხალხური პოეზიის ნიმუშებს და ეთნოგრაფიულ მასალებს. მის მიერ შეკრებილი ხალხური ლექსები გამოქვეყნდა კრებულში „ფშავ-ხევსურული პოეზია“ („საბჭ. საქართველო“ 1970 წ). მასვე ეკუთვნის „სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში,“ რომელიც 1980 წელს გამოსცა „მეცნიერებამ“; 1988 წელს კი ამავე გამომცემლობამ გამოსცა მისი კიდევ ერთი საინტერესო წიგნი „ქართული დღეობების კალენდარი“... როგორც ვიცი, მისი კიდევ ბევრი ნაშრომი ელოდება მზის სინათლეს.

თვალწინ მიდგას ეზოს გადაღმა, არაგვისპირა ფერდობზე ხის კუნძზე ჩამომჯდარი სათნო გამომეტყველების შუახნის კაცი, ყავისფერი ნაბდის ფართოფარფლიანი ქუდი რომ ახურავს და ნიკაპით გრძელ ჯოხს რომ დაყრდნობია. სიარული უჭირდა და მთელ დღეებს თითქმის ასე ატარებდა. სიტყვაძვირი იყო, უფრო — საკუთარ ფიქრებში წასული.

ოჯახში დაგვხვდნენ ნათელას დები, თუთი და მელანო (შინაურობაში

მელანოს თეთრქალი შეარქვეს სიშავის გამო... ბავშვები ქაქალას ეძახდნენ და ეს სახელი შერჩა ბოლომდე. ქალბატონი მელანო ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის, სერგი მაკალათიას ძმის, პედაგოგ ნიკო მაკალათიას, მეუღლე გახლდათ).

ქალიშვილებთან ერთად ცხოვრობდა მათი მოხუცი დედა, ლელა სულხანაურის ასული წიკლაური, რომელსაც შვილიშვილები ბერდედას ეძახდნენ რაც ხევსურულად ბებიას ნიშნავს).

ზაფხული იყო და ოჩიაურების მრავალრიცხოვან ოჯახს ქალაქიდან ჩასული ნათესავებიც შემატებოდათ. ასე გავიცანი ქალბატონი მელანოს ქალიშვილები, ფიქრია და მანანა მაკალათიები, და მათი ბიძაშვილი (დედის ძმის, — ლადო ბალიაურის, — ქალიშვილი), ლამარა ბალიაური, რომელსაც ერთადერთი გოგონა მაშინ სულ რამდენიმე თვისა ჰყავდა.

ბერდედა, ლელა წიკლაური, ის ხევსური და ხევსურულ ტრადიციებზე გაზრდილი ქალი გახლდათ, მტრის ვაჟკაცობას დიდად რომ აფასებდა და მარჯვენას უქებდა და ულოცავდა (მახსოვს, ამან საოცრად გამაკვირვა)... ამ თემაზე ბერდედასთან საუბარმა შთამაგონა ლექსი — „ბერდედას — ლელა წიკლაურს“ „რაისთვის აქებ ქისტებს ბერდედავ?“). მასვე ვუძღვენი ეს ლექსიც — „ისევ ბერდედას“. მისი სახე გურამ თიკანაძემ უკვდავყო ფოტოსურათზე და „საუკუნის ქალი“ უწოდა.

მახსოვს ეზოზე შემოვლებულ დაბალ ყორესთან კაკლის ხის ჩრდილში მიმჯდარი თვალებმოხუჭული მოხუცი, თითქოს ხავსიან სიპებს რომ შეზრდოდა და ღრმა ფიქრებში ჩაძირული დროდადრო ბურნუთს რომ იყნოსავდა.

ოჩიაურების ეზოში ორი სახლი იდგა(და დღესაც დგას) — ძველი და ახალი, როგორც ბებერი და ახალგაზრდა, როგორც... ბერდედა და მისი ნაშიერი. ძველი, ერთსართულიანი სახლი ბერდედასი იყო. იგი თავის ეზო-კარს გაცილებული არც მინახავს, — უკვე ღრმად მოხუცებული,ეზოში დაგზნებულ ცეცხლთან მოფუსფუსე კი მახსოვს, ნაცადი ხელით ყველი რომ ამოჰყავდა საკმაოდ მოზრდილი ქვაბიდან.

საქონლით ივსებოდა ბაკი შებინდებისას. საქონელს თუთი მეთვალყურეობდა ხოლმე ზარისჭალაში. თუთი,ბერდედას გერი, მარტოხელა იყო და

ბერდედას ჭერქვეშ ცხოვრობდა. თუთის ქმარი ქისტებს მოუკლავთ. ღილღველმ ტურტურმ (ასე რქმევია მკვლელს — ა.კ.) მაკლ ჩემი ქმარი. ბიბინ იდგის, კივილ ქისტთაგან... ახლა დამცილდ (დამავიწყდა), თორე... მძულდეს წინავ ღილღვლებიო, — შემომჩივლა ერთხელ. წაბლისფერი, ჭაღარაშეურეველი ხევსურული ქოჩორი (ჩუბარიკი) განსაკუთრებულ იერს აძლევდა უკვე ხანშიშესული, გამხდარი და ჩია ტანის ქალის, ერთი შეხედვით, მკაცრსა და პირქუშ სახეს („თუთი წისქვილზე ჩამოვა ჩუბარიკშეუსერები," — ამ სტრიქონებით მყავს იგი მოხსენიებული ლექსში — „გაის გაზაფხულს").

მალე ღამდებოდა არაგვის ხეობაში. მთვარე ამაღამ რომ ქუთხისგორს იდგა, ხვალღამ ხადოზე ბრწყინავდა, ზეგ — ჭიჩოზე, ხიდათგორზე, კადაჩალზე და ასე სულ აღმა მიუყვებოდა არაგვს. ჟიკუიკებდნენ ვარსკვლავები შუაფხოს ცაზე.

ორსართულიანი ახალი სახლის აივანზე საღამოობით მოვიყრიდით ხოლმე თავს ხტუმარ-მასპინძლები. მონუსხულები გადავყურებდით ზღაპრულ ხეობას. არაგვის ხმაურს მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შევეჩვიე... ჩვენთვის ყველაფერი უცხო და საინტერესო, ყველაფერი ახალი და „სხვანაირი" იყო — ხალხიც (თვით ჩვენი მასპინძლების ჩათვლით), ... ჰაერიც, წყალიც, ცაც, არაგვში ჩაყურსული ბორბოლიჭყებიც (ბროლნარევი ქვები), მზეც, მთვარეც, ვარსკვლავებიც! ყველაფერ ამას ზედ ერთვოდა ნათელას საოცრად მიმზიდველი საუბრები, ასე მაგიურად რომ მოქმედებდა ჩვენს აღგზნებულ წარმოსახვაზე. იგი ხელსაქმით მოგვიჯდებოდა გვერდით და ყვებოდა ამ მთისას და იმ ბარისას. მისი საუბრის „გმირები" მისივე ახლობლები, — ნათესავ-მეგობრები, მეზობლები, მშობლიური თუ მეზობელი სოფლების მკვიდრნი, მეზობელი ხალხების წარმომადგენლები იყვნენ:

სამშაბათს გათენებადა წვიმა ჩამასდის ცასაო,
ჯალაფთ წყემსობად წამლალეს, გორშუ ვაძოვებ ცხვარსაო,
ვაკეთებ ჭელისახოცსა, მალიმალ დავსწერ ჯვარსაო...
გადმაჯდა მენადირეი, ვაყურებ თოფის ჭმასაო...
ტანთ ეცვა თეთრი ჩოა ი, მასრან იცემდეს თვალსაო...
კლდეთ ბოლოს გადმამავალსა შორიდან მავხკრავ თვალსაო...
ვაფერე ჩემსა ერთგულსა ხოლიგათ თათარასაო...

გუროს დავღნატრი ციხესა, – ქვაზე ნადებსა ქვასაო,
მემრ შენა, გუროელაო, სასლა გაზდილო ტანსაო...
უთხრიდით ჩემი ნათქვამი ხოლიგათ თათარასაო:
არა გინდ, ნუ გეშინიან, არ გადმავკდები მთასაო,
არ წაგილალავ შინითა გამახელაის ქალსაო...
კიდევ-ვინ მისცემს ურბეთსა ჩემსა მამასა, ძმასაო...
ეეს ლექს დაუბარებავ შატილით ფინჩოს ქალსაო.

ლექსი, როგორც ნათელამ აგვიხსნა, შატილში ხევსურთა შორის გაზრდილი ქისტი ქალის ნათქვამი ყოფილა. მას ხევსური, გუროელი ხოლიგათ თათარა შეყვარებია (გუროელნი და შატილიონნი ერთი წყლის ხალხიაო), მაგრამ ქისტები ხომ არ მისცემდნენ ქრისტიანს ქალსაო? ამიტომ შატილიდან შეყვარებულები არხოტს გადაიხვეწნენ, მაგრამ ისინი მალე დააშორეს ერთმანეთსო.

ჩემ დაბერება ვინა თქვა,
ძმობილ მამგონდა თავისა...
განთ კაცნი ყველან სწორნია,
ან სიტყვა სიტყვას ღგავისა?

ეს ლექსი კი ხიზანაის ცოლის, ნანუკა გაბურის ნათქვამი ას, – ახიელელი ხიზანა ნაროზაულის ცოლისაო... ასე გვაცნობდა იგი, როგორც მოგახსენეთ, თავისი ახლობლების ამბავს.

თავდაპირველად გვჭირდება ხევსურული კილოს გაგება და აღქმა, მაგრამ, როგორც იტყვიან, მალე გაგვეხედნა ყური. ჩაწერას ვერ ვასწრებდით, – ამოუწურავი იყო მისი „რეპერტუარი“, ხვეწნა არ სჭირდებოდა:

აღმოსავლეთით ამაჯდა თვალად ლამაზი ქალიო,
ამოჰყვა საყურ-ბეჭედი, უჟღრიალებდა ქარიო,
სათავნოდ ამაიყოლა სამას შიშაქი ცხვარიო,
საწველად ამაიყოლა თვალჟუჟუნ თეთრი ქალიო...
ვინაცა მაგ ქალს აკოცებს, ის იყოს იმის ქმარიო...

ან:

მე ჩემი ცოლი, ყამარი,
მთვარეში ჩამიწერია,

ხელში მიმიცავ ტაგანი,
გარს ბაკმი მომივლევია...

ნათელა განაგრძობდა:

რა ქნას, რო არა ტიროდეს
დედამაშკვდარი ქალიო,
კერისპირ ჩამაუჯდება
სიკვდილისფერი ქმარიო...

გზადაგზა უცნობ სიტყვებსაც დიდსულოვნად, საკმაოდ დიდი ხალისით განგვიმარტავდა ხოლმე. უცხო და განსამარტავი, მოგეცათ ლხენა, ბევრი იყო. ახლაც ჩამესმის მისი ხმა: იცით, რა განსხვავებაა მტერსა და დუშმანს შორის? რას ნიშნავს „ურბეთი“, „სათავნო“? და ა.შ.

საჭიროდ თვლიდა, ჩვენთვის ისიც ეამბნა, თუ როგორ ასწავლიდნენ უფროსები უმცროსებს სამანს, — მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ეს — ხევსურთა მიწაა, ის კი — უცხოთა, ღილღველთა. „ხევსურეთს ისეთი წესია, რომ იმათ საზღვარზე არ უნდა გადავიდნენ უნებართვოდ. სხვათა ადგილებში არც მასთიბენ, არც საქონელს გაუშვებენ.“ მაგრამ თუ რომელიმე მხარე დაარღვევდა ამ წესს, „საზღვრის დამრღვევს“ მკაცრად გააფრთხილებდნენ, — „თავის ადგილჩი ჩეეტიეო“... ბალღობიდანვე ამ შეგონებით აღზრდილი ახალგაზრდობა საოცარ მორიდებას იჩენდა თურმე მეზობელთა მიწებისადმი და იქ ნადირობაც კი ვერ გაებედა!

ნათელამ აგვიყვანა პირველად ლაშარის ჯვარში, ის იყო ჩვენი მეგზური წმინდა მთაზე, დაუზარებლად დაგვყვებოდა სოფელ-სოფელ... ძნელად სავალ ბილიკებზე მთიელთა ბუნებისათვის დამახასიათებელმა მისმა მარჯვე და მსუბუქმა სიარულმა შთამაგონა მისდამი მიძღვნილი ლექსი — „ლაშარის გზაზე“. როგორი გზები და გზაწვრილები არ დაულახავს მას თავის სიცოცხლეში!

მისი ნაამბობი უდევს საფუძვლად ჩემს ლექსს — “ნათელა ბალიაურის მონაწერი“. სოფელ ამღას (პირიქითი ხევსურეთი) ერთხელ ქისტის ლაშქარი დასცემია. ქარჩათ ქალი, ბუბა, რომელიც იმ დროს შინ მარტო ყოფილა, არ დაბნეულა, — მამის ტალავარი ჩაუცვამს, მამისავე ხმალი აუღია და მტერს შებმია. უთანასწორო ბრძოლაში ბუბა დაღუპულა. ჩაჩქანი თავიდან

მოსძრობია და თმები გადმოშლია. ქისტებს რომ დაუნახავთ, ვისთან ჰქონიათ საქმე, მკვდრისთვის დიდი პატივი მიუგიათ: ხმალი და ჩაჩქანი მიცვალებულის გვერდით დაუწყვიათ და „აისრ გაუწირავთ“ (ასე დაუტოვებიათ) მოკლული მტერი ქისტებს თავისი მკვდრებისათვის არ შეუწირავთ, — „რომ იქ უზიდოს წყალია, მსახურად ჰყავდეს, მორჩილად და გაუბანდოს ჯლანია“... (უეჭველად მოგაგონდებათ დიდი ვაჟას ეს სტრიქონები „სტუმარ-მასპინძლიდან“). რომ მოკლული ქისტებმა თავის მკვდრებს არ შესწირეს, ეს ყველაზე დიდ პატივად ითვლებოდა თურმე ქისტებში. ნათელამაც, მახსოვს, საგანგებოდ გაუსვა ხაზი ქისტების ამ ვაჟკაცურ საქციელს.

პანკისის ხეობის ქისტებში (მათთან შეხვედრა მქონდა ამ რამდენიმე წლის წინ, — ახმეტის რაიონის სოფ. დუისის საშუალო სკოლამ მიმიწვია) ჩემს ამ ლექსს მოწონება ხვდომია წილად. მთიელთა შორის შუღლსა და მტრობას, როგორც ცნობილია, თავისი წესები ჰქონდა. მოწინააღმდეგე ისე არ დაბრმავდებოდა და დაყრუვდებოდა, რომ მტრის ავ-კარგი არ შეეცნო, მისი ვაჟკაცობა არ დაენახა და არ ეღიარებინა. ეს ბადებდა ურთიერთპატივისცემის გრძნობას, რაიც მტერს მტრის მიმართ უკადრისს არ გააკეთებინებდა, ადამიანურ ღირსებას არ დააკარგვინებდა, პირუტყვულ საქციელს არ ჩაადენინებდა. დუისელებთან საგანგებოდ აღვნიშნე, რომ ქისტებისადმი ეს ამაღლებული გრძნობა (ვაჟას შემდეგ) სწორედ ხევსურებმა შთამაგონეს.

ჩემს კიდევ ორ უსათაურო ლექსს („ქსელს რომ ბეჭავდა ქალიკა“ და „მასპინძლის ქალი ქისტისა“) აქვს ასეთი მინაწერი — „ნათელა ბალიაურისაგან მოსმენილი“...

იახსრობის თვეში მოგვიწია შუაფხოს ყოფნამ, — ივლისში ფშავში იახსრის ხატის დღეობა იციან... დავესწარით ფშაურ ქორწილებსაც, მოვუსმინეთ მყეფარს, „გზიანი სიტყვა“ რომ „მაუდიოდა“... ყოველივე ამან ყურამდე გაგვიღო საოცარი სამყაროს კარი.

სავსებით ბუნებრივი იყო, რომ იმ ზაფხულს მივლინებიდან დაბრუნებულმა ნათელას წყალობით ფშაურზე მეტი ხევსურული ლექსიკა ჩამოვიტანეთ. „შეკრიბე 1.164 სიტყვა და ჩავიწერე ფშაური და ხევსურული ტექსტები. შეკრებილ სიტყვათა უმრავლესობა ხევსურულია,“ — ჩამიწერია მივლინების მოკლე ანგარიშში და იქვე დამირთავს სია იმ სიტყვებისა, რომლებიც ძვე-

ლი ქართული ენის ლექსიკიდან უკვე კარგად იყო ჩემთვის ცნობილი.

„ჩემო ანა! მე შენგან წლოვანება მაყენებს შორს, თორემ სულით სულ ახლოს ვარ შენთანო“, — მწერდა ნათელა ბალიაური ერთ-ერთ წერილში. სიცოცხლის ხალისითა და ცხოვრებისეული ინტერესებით იყო სავსე და ამიტომაც არ იგრძნობოდა მასთან ასაკობრივი სხვაობა, სწორედ ამიტომაც იყო მასთან ურთიერთობა ყოველი ასაკის ადამიანისათვის ესოდენ მიმზიდველი და საინტერესო. ვერა, „ვერ იტყოდით მის დაბერებას“! უაღრესად პოეტური ბუნების მქონეს ხეებში მონავარდე ქარების სილაღე ბოლომდე გაჰყვა, ღრმა სიბერეს სულით უბერებელი შერჩა. მამაჩემი, თათია (დავითი), გვერდიდან არ მიშორებდა. ჩვენთან ქალები და კაცები ხო ცალ-ცალკე სხედან სუფრაზე. მე კი... ყოველთვის მამასთან ვიჯექიო, მითხრა ერთხელ და ამით ხაზი გაუსვა, თუ როგორ ანებივრებდა მამა თავის ქალიშვილს.

მისი ბუნებიდან გამომდინარე, ვხედავ კიდეც, როგორ წაიძრო თითიდან დედამთილის მიერ გაკეთებული ბეჭედი და როგორ „გაუგორა ცხვირწინ“, როდესაც ამ უკანასკნელს ხევსურული წესის დარღვევისათვის შეურისხავს: 18 წლისა წამოვედი ბარისახოს (პირაქეთი ხევსურეთი). ახიელიდან ჩამომაკითხეს და უკან დამაბრუნეს. დედამთილი კარწინ დამხვდა, — აქ იყავო, მითხრა, — ძაღლებს რო აყენებენ, იქ, სახლში არ შემიშვა. დამწინდა, ბეჭედი გამიკეთა... თან... მლანძღავდა... გავიძრე ბეჭედი და ეგრევე იატაკზე გავუგორე და წავედი შინ. მერე დედამთილი სუ ტირილით მთხოვდა პატიებასო. ყოველივე ამას მამის ნებიერი თუ გააკეთებდა!

პოლიტიკური ავბედობის დროს დაღუპული მწერლის, ლადო ბალიაურის, ღვიძლი დაი გახლდათ. ძმის სახელი მისთვის წმიდათწმინდა იყო და სიკვდილამდე საფიცარი. ჩემის ლადოს მზემაო, — ხშირად იცოდა ხოლმე თქმა, და ეს იყო მისი უწმინდესი და უმაღლესი ფიცი!

როგორც მოგახსენეთ, მეც ბევრი მაქვს ჩაწერილი ნათელა ბალიაურის ნაამბობი. მათი გადაკითხვისას ...ზარისჭალიდან, ნაროულადან თუ ციხეგორიდან მობიერილი ქარი უმალ წამოშლის ჩემს მოგონებებსაც, — მინდორველთა მაცოცხლებელი სურნელი და არაგვისა თუ თეთრახევას განუმეორებელი ხმები რომ მოაქვს ჩემამდე და „უთვალავ ფერთა“ ელვარებით რომ „მათრობს და მაბრუებს“ დღესაც!

ანა კალანდაძე

1991

ჩემო გოგი, მე მაინტერესებს, რომ ხევსურეთი იყოს და არ დაიკარგოს, როგორც კარგი, ჯანსაღი, მშრომელი, გულალალი ხალხის მხარე, დარჩეს და იხსენებოდეს, როგორც ავისა და კარგის შემგრძნები და გამრჩევი.

ამინ! ღვთის ძალით, ამინ!

* * *

ხევსურეთს ხევსურულად მირგვალ-ხევსურეთი ანუ ბუდის ხევსურეთი ჰქვიან. იგი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ხევსურეთის არაგვისა და მისი შენაკადების ხეობებში მდებარეობს. სხვადასხვა მხარეებს, რომლებიც კავკასიონის ქედის იქითაა და ხევსურეთს ეკუთვნის (ისინიც მთებით არის ერთმანეთისგან გაყოფილი) სხვადასხვა სახელები ჰქვია. ერთ ხეობაზე, რომლებსაც მთასიქითი ჰქვია, არის სოფლები: შატილი, გურო, კისტანი, ლებაისკარი, ჭეჭყეთი და გიორწმინდა. მეორე ხეობა სოფლებით — არდოტი, ანდაქი, ხახაბო, მუცო, არჭილო, ხონე, ხნისჭალა კი მიღმახევია. მესამე ხეობა ჩვენი არხვატია. ის უფრო მოშორებულია სხვა მხარეებისაგან და ძალიან კარგი მხარეც არის; სათიბები, სახნავ-სათესი, სასაძოვრე მთები ბევრია, მაგრამ ისეა მომწყვდეული და შემოღობილი თოვლ-ყინულიანი მთებით, რომ დაკარგულ ქვეყანას უფრო ჰგავს, ვიდრე ხევსურეთში შემავალ ადგილს. მას გარს ახვევია ბლოს მთა, როშკის მთა, ხევის მთა, სამთრეხლოს და შაინის მთები, კალოთანის მთა, ისართლელე, ნეთხიჩოს მთა და კიდევ სხვა მთები, რომლებიც მაინც და მაინც დიდმნიშვნელოვანნი არ არიან. არხვატში გადასავალი მთები, რომლებზედაც კაცი ცხენით გადავა, არის ხევის, ილოს ანუ არხოტის, როშკის და ცროლისა.

არხვატის სოფლები: ჭიმღა, კვირიწმინდა, ახიელი, ამღა, კალოთანა ერთ ხეობაზეა დასახლებული. ლექსად ასე იტყოდნენ:

ამღა, ჭიმღა, ახიელა
ცხენთაია სარბიელა.
კვირიწმინდას ჯარ ეწერას,
ჩემის თითის სახვიელა,
კალოთანას აღარვინ ას,
ყორენია ცარიელა.

ჭიმღას თავი უფრო ცალკე უჭირავს. ხან გვერდით უდგან არხოტიონთ ღილღვლებთან მტრობა-ძმობაში, ხან კი განზე დგებიან. ასევე იქცეოდნენ ადგილის დაჭერაში (ტანიე), ხევსურებთან ბრძოლაში (ხადუელებთან). ჭიმღასთან უფრო ახლოს არიან შავანელი ღილღვლები და მაგ წყლის ურჯულო. ბლოში ჰყავთ თავისი გვარის ხალხიც — გაიგაურები. კვირიწმიდელნიც ძირად ბლოველნია, გიგაურები, მაგრამ არხვატს სულ გვერდში ედგნენ. ჯვარი საერთო არის (არხოტის ჯვარი — მიქიელ მთავარანგელოზი).

ახიელელთ გვარი ხალხი ხევსურეთში არსად არის. მარტო ქმოსტელნი არიან ძმობა-ნათქვამნი, ფშავში — ხოშარელნი, გაბიდოურნი.

ამღიონთ თავის გვარის ხალხი ბევრი ჰყავს — როშკას, მთიულეთს, მოხეევებში, ართხმოს და ერწოს (წიკლაურები). კალოთანელთ გვარი — ქიბიშაური სხვაგან არსად არის (გადასახლებულნი არიან ბარში).

არხვატი ზამთარში სულ მოწყვეტილია საქართველოს, საქრისტიანოს. ერთადერთი გზა არის ღილღოზე და ისიც სულ მორწყულია ჩვენი და ქისტების სისხლით. სახელად ჭალა ჰქვია („არხოტის ჭალა"). ეს ჭალა ისეთი ვიწროა, რომ ზოგ ადგილს წყალი ძლივს მიძვრება. ჭალაზე ადგილებს სხვადასხვა სახელები ჰქვია, იმის მიხედვით, თუკი რამ ამ ადგილზე მომხდარა: ჯარაის წყაროს გაბურთ ნაომარი, მარტიაის წყალნი, გიორგათ ნაომარი, ბეწინა-ბეწინათ დანახოცი, ბეწინაის მანაკლავი, მინდიაის მანაკლავი, ჯერნალის მანაკლავი, საღირაის შვილის მანაკლავი, ანდარუყოს მანაკლავი, გახამთის მანაკლავი, ჩერგეზაის მანაკლავი, ბეწიკაკაგათ დანახოცი, ტანიის კარი.

არხოტიონთ ჭალაის იქით გზა არ ჰქონდათ. თუნდაც ორი დღის დახოცილები ყოფილიყვნენ არხოტიონნი ან ღილღველნი, მაინც ჭალას ადჩადიოდნენ. მაგრები იყვნენ ქისტები და არც არხოტიენები იყვნენ ნაკლებნი.

ზამთარში ძაუგში მიდიოდნენ თურმე ახიელლები და ამღიენები. ზოგიერთებს კარგი ცხენები ჰყოლიათ. სოფლის ბოლოზე „ტარებით" (იორღით) გაუვლეგიათ. უფროსებს უთქვამთ — ბევრი ღილღველი კი გადაისვამს ულგაშებზე ხელს თქვენი ცხენების მუქარაზეო. მგზავრები ხამხის იქით, ჭალაში დამდგარან, დაუნთიათ დიდი ცეცხლი, ცხენებისათვის თივა-ქერი უჭმე-

ვიათ და შორი-შორს დაუბამთ. ახალგაზრდები „ყარაულებად“ დაუყენებიათ, უფროსები კი დაწოლილან. ცეცხლის შუქზე ბაბუხურმა (ჭოლიკაურთამ) რაღაც ლანდს მოჰკრა თვალი. ცოტა ხნის შემდეგ სხვაც დაინახა. გატენილი თოფი მზადა აქვს. გაარჩია, რომ ყველაზე საუკეთესო ცხენთან კაცი ბღუნვით მიდის და ასწია რომ სამბურში გადაჭრას. ამ დროს ესროლა ბაბუხურმა. გაიღვიძეს სხვებმაც — რას ესროლე, რა იყოო?

შემოუარეს ცხენებს. იმ ცხენთან, სადაც ბაბუხურმა ქურდს ესროლა, სისხლის გუბე ნახეს, კაცი აღარსად იყო. უფროსებმა მიულოცეს ბაბუხურს, თანაც უთხრეს — რად გინდოდა მაგის მოკვლა, გვერდზე რატომ არ ესროლეო.

— ამაში მოსულს რად გავუშვებდი, თუ ვინმე უძებარია დარჩენილი, იმას შევსწირეო.

წასულან ისევ ძაუგში და არ იციან, ვინ ან რომელი სოფლისა მოკლეს. იმავე გზით უნდა დაბრუნდნენ უკან. იყიდეს ხორბალი, მოდიან და ბჭობენ რა ქნან; თუ დღე შემოივლიან, — დაინახავენ, ღამე გამოვლა კი სირცხვილია, მთელ არხოტს მოეჭრება თავი. გადაწყვიტეს დღისით, მზისით იმგზავრონ. მოდიან და იცინიან — ბაბუხური მივასწავლოთ, მოლა მოკლულის სულისათვის დააკურთხებსო. ქადახეს რომ მიაღწიეს, ნახეს, რომ სოფელი ხალხისაგან შავად იყო ქცეული, იქაური ყოფილიყო მოკლული. — რომ გვნახეს, ისე წამოვიდა ჩვენსკენ მეშველ-მეომარი, რომ მიწაზე წვიმის წვეთი არ დაეცემოდაო. ჩვენს გზას არ გადავუხვიეთ, არც საყუჩები იყო სადმე, რომ მოვფარებოდითო. უფროსებმა მიაბრუნეს უკან ჩვენსკენ წამოსულები, ქუდები ეჭირათ ხელში და ჩვენც ქუდებით გვანიშნეს — ჩქარა წადითო. აი, ასეთი უგზო იყო ახხვატი. მას არა ჰყავს რომელიმე მხარის ხადხი დამხმარე არც გზა აქვს, მტერი კი ბევრი ჰყავს.

ცოტა იყო ხალხი, მაგრამ არხოტიონთ ჭირი და ლხინი მუდამ სავსე იყო სიხარულით, სიმწუხარით, შულლით, მხიარულებით, სიყვარულით, სიძულვილით, მტრობით, მოკეთეობით. რა არ იყო — შრომა, სიმღერა, თამაშობა, ცხენ-მხედრობა, ჭრა-ჭრილობა, თავ-მოთავეობა, კაც-შუაკაცობა, სწორფრობა, ქალის მოტაცება, ქორწილი, დღეობა და ღრეობა. როგორ კარგად იცოდნენ შულლი ახალგაზრდა ვაჟებმა.

ერთხელ თურმე ლადო ჩვენი და ოჩიაურები, ბევრი სხვაც, ზლის მყოლ-

ში არიან (პატარძლის მაყარში). წესია მყოლებს იარაღს ჩამოხსნიან და ერთი მასპინძელთაგანი შეინახავს. გახდა შუღლი. თუშთ ხთისო აქეთ ბანზე შუღლობს, ლადო — იქით. ლადოს ბევრნი მიეხვივნენ და რა ქნას, იარაღი არა აქვს.

— სადა ხარ ხთისო, ჩქარა ხანჯალიო! — დაიძახა თურმე ლადომ. გაიგონა ხთისომ, თავისთან მოშუღლარს უთხრა — ცოტა ხანს მოიცადე, ლადოს ხანჯალს მივაწვდი, მოვალ და დედას მერე გიტირებო. გაეგლიჯა მეშველებს, შეევარდა ჭერხოში, გამოიტანა ხანჯალი, მიუტანა ლადოს და თავის მტერს დაუდგა ისევ წინ. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ აზრზე მოსვლა ვერავინ მოასწრო.

ღილღვლებთან ისეთი პურ-მარილი ჰქონდათ, რომ მოსულებს საკლავს უკლავდნენ, ლხინს უმართავდნენ.

ერთი ნეთხელი ქისტი იყო ანზორა, ამღას ჩინგლით მარაისძის ძმობილი. ერთხელ ის სტუმრად მოსულა მარაისძესთან. ამ დროს ახიელში სარაქათას სმა ყოფილა. ანზორიც მიუწვევიათ. ჭიდაობა გამართულა. შეურჩევიათ შესაფერები. აქ ყოფილა უა ოჩიაური, მარიემითა, მეტად თავმომწონე, ღონიერი, მარდი. ანზორაც ტანიანი და ღონიერი ვაჟკაცი ყოფილა. ისინი დაუჭიდებიათ.

მოუქნევია ანზორას უა და ქურთის (წივის) კოშკისთვის მიუწყვეტია, წაუქცევია. შეურაცხყოფილ უას, წამოწეულა თუ არა, ანზორასთვის ხანჯალი უკრია.

გააგებინეს თურმე მარაისძეს ამღაში — შენი სტუმარი მოკლესო. სიფიცხისაგან მას იარაღის წამოღება დავიწყებია, ისე გამოქცეულა. ჩასავალას (-ადგილია) რომ ამოჩენილა, შემოუგინებიან ოჩიაურნი, გაქცეულან მისკენ ოჩიაურები და მეშველები.

მარაისძე უიარაღოა, ქვებს თოვლი აძევს, ჯოხი არსად არის და მოსულებისათვის თოვლის გუნდები დაუყრია.

ჩამოვარდნილა მტრობა მარაისძისა და უას შორის. მერე რჯულით სასტუმრო ხუთი ძროხა „ჭელითი“ გადაუხდევინებია[1]. აი როგორები იყვნენ ერთმანეთთან ქისტები და არხოტივნები

---

1. სტუმრის მოკვლის შემთხვევაში რჯულით (ხალხური სამართლით) მასპინძლისათვის განკუთვნილი გადასახადი. „ფეკითი“ ნიშნავს ცოცხალი პირუტყვით ანახლაურებას, ხოლო „ჭელითი“ — საქონლის საოასურის გადახდას სხვადასხვა საგნებით (სპილენძის ჭურჭელი, იარაღი, ფარდაგები და ა.შ.).

* * *

არხვატს, შატილს, გუროს და კისტან-ლებაისკარს ხევსურეთისა და ფშავის მცველ რკინის კარს ეძახდნენ.

არხვატი მთლად ცალკეა. მთები რომ შეიკვრის, გზა მარტო ქისტებისკენ რჩება. – ზამთარში ლაშქარი რომ დაგვეცეს, მთა-გზის გასვლამდე ვერავინ გაიგებსო – იტყოდნენ არხოტში. კაცებმა იცოდნენ ფეხონში თქმა: – რა ადგილია ეს დალოცვილი, არხვატს ხარის რქაში სძინავს, კარზე არაფერი მოგვადგება – არც ხელმწიფის ბეგარი, არც თავად-აზნაური, არც ჭირიო. მამაკაცებს მოუშორებლად წელზე ხანჯალი, ან დაშნა ებათ. ბერა თითზე რკინის ან თითბრის ხვეული (საცერულის სახეობა, თ.ო.), ან ლაჯია. ხევსური და არხოტიონი ხანჯლით შუღლს ერიდებოდნენ – შუღლში ხანჯლის წვერით შეიძლება მეშველიც დაზიანდესო. ხევსური უფრო დაშნას იბამდა. თოფი არხოტიონთ საქმეზეც თან დააქვთ, უფრო ქისტებთან მტრობის გამო.

ხევსური (პირაქეთელი) დინჯია, არ აჩქარებდა. ხევსურეთში ამბობენ – კაცობა ოცდასამიაო. ამ ოცდასამიდან ერთი ის არის, რომ არ გადაირიოს შუღლის დროს, არ აჩქარდეს, მძიმედ არ დაჭკრას, იარაღს მსუბუქად ხმარობდეს. შიშის გამომხატველია გაფიცხება, პირზე ღიმი უნდა ჰქონდეს. აი, ამის მაგალითი: ხევსურეთში ცნობილია დევა-დავითაურთ მამიშვლობა (გვარად არაბულებია). თქმულებაა ასეთი: თურმე ხევსურთა ღრეობის დროს ეშმა შევიდა სახლში, იქ, სადაც ხალხი ისხდა და სმა იყო. მიიხედ-მოიხედა, დევა-დავითაურთა ვერავინ ნახა და თქვა – ვერაფერს გავხდები, დევა-დავითაურთა აქ არავინ არისო.

დევა-დავითაურებთან მტრობა ჰქონდა ძროხილათ. ძროხილათ კურდღელა (ამღიონი) მაგარი ვაჟკაცი იყო. ერთხელ კურდღელა არხვატით ერწოს მიდის. რძალი ძმის ცოლი მიჰყავს მამისახლში. დევათ ფიცხელას ახიელში და ჰყავდა გათხოვილი ოჩიაურთ კაცზე, ის კი იქ მიემგზავრება. შეხვდნენ და იცნეს ერთმანეთი. რა ქნას კურდღელამ, რძალი წინ მიდის, გვერდს ვერ აუქცევს, გზა ერთია და გაშლილი, მტრობა კი დევათ აქვს დაბარებული. წესია: თუ რაიმე საწყენი უქნა ხევსურმა ხევსურს, რომელიც ნაწყენია, მტრობას ის დაუბარებს იმ გვარის რჩეულს. ამის შემდეგ გვარი გვარის მტე-

რია. შეუთვლიან: გზას არ გაძლევთ ჩვენ სოფელში და მზად იყავით, სადაც ვის შეგხვდებით, არ გაგცილდებითო. და აი, ფიცხელა და კურდღელა, ასეთი მტრები შეხვდნენ ერთმანეთს.

შემდეგში კურდღელა იტყოდა: არც მეშველი იყო, არც არაფერი მწყინდა, არც შუღლი მეწადა, მაგრამ რა უნდა მექნა, ჩამოვედი („ჩამავკედი") ცხენიდან, ტანისამოსი გავისწორე, ფარი მხარზე დავიკიდე და ხელის მომართვა ვუთხარიო (გამარჯვებას პირველად ის ეტყვის, ვის მხარეშიც არიან. არხოტში — არხოტიონი, ხევსურეთში — ხევსური. აქ კურდღელას უნდა ეთქვა). ხურჯინიდან ქინთი (ტიკჭორა) ამოვიღე და ყანწი მოვიმარჯვე. ფიცხელამაც ამოიღო ქინთი და პირველად მე წამოვასხი არაყიო. ამბავი არც ვკითხე, არც მკითხა, ყანწი მივაწოდე და ვუთხარი — არაყი მტერსაც ესმევა და მოკეთესაცო. სამ-სამი შევსვით და გვეყოო — მითხრა, ქინთს პირი მოაკრა, მეც მოვახვიე, ჩადო ხურჯინში და ჩემსკენ ისეთი შემობრუნდა, როგორც სინაო: — ეგრე ვერ გავიყრებითო, — მითხრა, მუდამ ყმაწვილები არ იქნებოდნენ, რად არ იცოდით. მტერობა დაბარებული იყო, ყურს არ გაიცვითეთო. მაშინვე ცალ მუხლზე დაეცა და ფარი დაისაბლუჯაო. — ფიცხელაო, ვუთხარი — შიშში ნუ ჩამომართმევ, სახმლე თქვენი არაფერი მმართებსო („არაი მკიდავავ საკმლეივ"), — არა, ხმალი ამოიღეო! რა უნდა მექნა, მეც დავჯექი ცალ მუხლზე, ამოვიღე ხმალი და ფარიც დავისაბლუჯეო. მომიქნია ხმალი, შევუფარე, კიდევ მომიქნია, კიდევ არ დავაკვრევინე. გაიცინა და — ნუ სჩქარობო — მითხრა, მაგრად არ დაგკრავ, ვალს მინდა მოხდა, ეგრე ვერ გაგცილდებიო.

მომიქნია ხმალი, შავუფარე, მაგრამ საწვივეზე დამკრა. ველარ მოვითმინე და თავში დავჰკარი. კიდევ ვუთხარი: არაფერი „მკიდავ„ თქვენი, გავსცდეთ ერთმანეთსო. ისევ მოუქნიეთ, კიდევ დამკრა, — ეხლა გვეყოო — მითხრა, მძიმეები არა დამიკრავ. ორივე გასერული იქნება, არა ავრეულვარ, ვიცი რაც გჭირსო, ადგა.

— მეშველი არა გვყავს, ხმალმა გაძღომა არ იცის, მუდამ მშიერიაო — თქვა.

ადექიო — მითხრა, ძალიან სჩქარობ. აუგს ნურას გაიყოლებ, ვაუ, მე მომეწონეო. სისხლი წარბზე და წვერულვაშში ჰქონდა გამჯდარი, ხელი არ

მოისვაო. გავიყარენით. რომ მიეფარა ჩავიწიე პაჭიჭი და ისე მსუბუქად დაეკრა ორჯერვე, რომ ქალის თმა (ბალახია) არ გაივლიდა შიგ პირითო.

როცა მეუბნებოდა — ნუ სჩქარობო, მაშინ ვერ გავიგე, ეხლა კი მივხვდი მაგრად მექნია ხმალიო.

ჩემი სისხლი

ჩემი მამა თათია ბალიაური იყო, იმის მამა იყო გაგა, გაგას მამას ბადა ერქვა, ბადასას ბეწინა.

გაგას დედა მინანი კიბალაურთა იყო, — წიკლაური. ბადაის დედა თოჯოლჩათ ქალი, არაბული. ჩემი ბერდედა — მზია, ჩინგლათ ქალი იყო, წიკლაური — თოთაის ქალი. თოთა შარუმათ ქალის შვილი იყო — ნაროზაულისა. მზიას დედა მინდა — გველეთელთ ქალი იყო ფუნჩიათა, — არაბული. ჩემი დედა ლელა წიკლაური — გიორგათ ქალი იყო, სულხანაურისა. იმის მამა ადუს ქერაულთ დისწული იყო. ჩემი ბერდედა მინანი დეკვათ ქალი იყო. დისწული გუდან ნასთვლევათი — ჭინჭარაულთა.

ბალიაურნი ძირად ბლოელნია. ახიელში მჭედლად მოსულა და სოფელს სამრეველოდ ერთი ყანა მიუცია მჭედლისთვის, ნეთხიჩოს ბოძთ ტყე, თათთხელ[1]. მთა კი თათხელიონთ ამოწვეტის შემდეგ („თათხელიონთ დალევიდგეს") „სადედოში"[2] ჰქონდათ მიცემული.

ბალიაურთ სახლი ბლოს ბროლათან სდგომია. ეხლა იქ ჯვარია. ცოტანი არიან, მაგრამ ძალიან აზრიანი და მაგარი ხალხია. ერთი ბალიაური მონადირე ყოფილა, ისეთი, რომ მის აგებულ ლიგანასთან[3] სხვა ვერავინ მისულა. ეს ლიგანა ჭიმღის კლდედ დგას დღესაც. მან ამხანაგებს თურმე გადმოსძახა, — ფეხს იმდენ ხანს ნუ დააცდით, რომ დასხლტესო.

ერთი დიდი ბალიაური დანაშაულზე გაუსამართლებიათ და ჩამოხრჩობა მიუსჯიათ. მოუპარსიათ ცალი წვერიც (ულვაში). მას მთავარმართებლისათვის უთხოვია — რატომ უნდა ჩამომახრჩოთ, ომში გამგზავნეთ, იქ მოვკვდები და მტერსაც მოგიკლავთო. მაშინ რუსეთი ფრანგებთან ომობდა. გა-

1 ნეთხიჩო, ბოძთ ტყე, თათხელი ადგილის სახელებია არხოტში.

2 სადედო — სისხლის საფასურში დედულთათვის რჯულით განკუთვნილი გადასახადი.

3 ლიგანა — ძნელად მისადგომ კლდეში, მწვერვალზე ამსვლელის მიერ აგებული პაწია, ყრუ კოშკი. ნიშნად სახელისა, ვაუკაცობისა.

უგზავნიათ და მართლაც თავი უსახელებია. დაჭრილა თავში, გულზე და გადარჩენილა. გაუნთავისუფლებიათ. რუსეთიდან საქართველომდე სამი ცხენი გამოუცვლია. მთავარმართებელს უკითხია: რას მთხოვ, რა მოგცე, მამული და ორი ყმა გლეხი გეკუთვნისო. ბალიაურს უთქვამს — მე არაფერი მინდა, თუ მომცემ ხევის წყალზე მიგუდა მომეციო და თავისუფლების გუჯარიო. მიუცია მიგუდა, მაგრამ იქ არ დამდგარა, მთაზე სიარული უჭირდა და ერწოს წასულა, მიგუდა კი სხვებს დაუჭერია. მერე ჩემ ბაბუას გაგას მოუთხოვია მიგუდას მცხოვრები მოხევეებისათვის ღალა, მაგრამ არ მიუციათ. ხუთი წელი სულ ბრძოლაში ყოფილა, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. ამდგარა და სოფლისათვის ცეცხლი წაუკიდებია („ცეცხლ შაუყრავ"), დაუწვია და დაუბნევია ჰურიანი გოდრები. შეშინებულან და ადგილის საფასური მიუციათ.

ის ბალიაური გაგას ალალი ბიძა იყო. იმას ჰყოლია ვაჟი — ჯავრია. მოუკლავთ ღულელთა და უკენახოელ ლეგათ.

გაგა დიდი ჭკვის პატრონი ყოფილა. მან პირველმა ასწავლა თავის შვილს გიორგი (ბადია) ბალიაურს და მღვდლად აკურთხებინა. ეს იმ დროს, როცა ამღიონმა იონამ გადაგდებული ქალალდი აიღო და სხვებს უთხრა: არაი ყოფილა ატრაკტაივ, რუსმა უკენითი ამოისვა, გადააგდო, ავიღე, დავადუჭნე (დავაფურთხე) და გაწმენდაში გაიხივაო.

გაგას ჯერ სხვა ცოლი ჰყოლია, — ადუათ ქალი, არაბული. იმასთან სამი ქალი გასჩენია — თუთი, მუშტარა და ნათუა.

ერთხელ თურმე არხოტის ჯვარში ჯარი[1] სხედს და ლუდს სვამენ. ახიელლებს გაგას ქება დაუწყიათ — გაგავ, შენ სოფლის ფასი კაცი ხარო. აქ ყოფილა ჯაბუშანურთ კაცი გელიკათ კაგა. იმას უთქვამს: რაად აქებთ გაგას, გაგა რა საქებია, კაი კაცი რომ იყოს, თავისი თავისას გაიგებდა, ცოლის ხათრით სამ ქალს „შეხედავს", კაცი უძეოდ ილევაო. მაგას ჩოხის კალთა მოსჭერით[2] და ნულარც ჯარზე დაისვამთ გვერდზეო:

უფიქრია გაგას — ვინ მოვიყვანოო. თუ მარტო სანაშენედ მოვიყვან, ბეჩავი იქნება, ქალთ-უარესი, კარგს კი ჩემი ხნისა რად უნდა, არც შე მინდა ბეჩავის გაჩენილიო.

1 ჯარი — მამაკაცთა საერთო თავშეყრა და პურობა ჯვარში დღეობის ან სხვა ხალხიანობის დროს.

2 ჩოხის კალთას აჭრიდნენ დამნაშავეს მოკვეთის და გაკიცხვის ნიშნად.

თურმე ჩემი ბერდედა მზია ბაკურხეველთაგან „კვეთილიანი“ იყო.[1] გაგამ მისი მოყვანა გადაწყვიტა, მაგრამ ეს ძალიან ძნელი საქმე იყო, რადგან მზიასთვის ორი გვარი იბრძოდა – ფიცხელაურნი და არაბულნი. მზია ჯუთელთ დანიშნული იყო, რომელთაც სწუნობდა, საქმრო არ მოსწონდა და არ მიჰყვებოდა. ისინი კი თავს არ ანებებდნენ. ამასობაში ბაკურხევლებმა გაიტაცეს, მაგრამ ძმამ არ მისცა. მაშინ ბაკურხევლებმა „კვეთილში ჩასვეს“.

აი, ამ ქალის მოყვანა გადაწყვიტა გაგამ, მაგრამ არაფრის იმედი არ ჰქონია. ბალიაური უკაცური გვარია, ეს ორი დიდი გვარი კი ამ ქალის თაობაზე მტრობენ. გაგა მარტოა, თავისიანები შორს, ერწოში არიან, უარის თქმაც ეთაკილება საკუთარ თავთან. თან ცოლშვილი ჰყავს, ორმოცს გადაცილებულია და ქალი არ იკადრებს მეორე ცოლად გაყოლას. გაგამ თურმე თავისთავს ჰკითხა: – რას იტყვი გაგავა გაგაის საქმეზეო? თუ გეშინიან, მარტონი ვართ მე და შენ და საქმეს თუ ბოლომდე ვერ გაიტან, ეხლავ მითხარი, ხმალი კი მოგხვდებაო. – მაშინ გაგა მოკვდეს, ხმალს რომ შეუშინდეს – ვთქვიო. – არც გავტყდი ზალო – მეტყოდა ხოლმეო, იცოდა მოყოლა ჩემმა დედამ.

გამოუტაცებია მზია. ქალი ძალიან გაჯავრებულა, თუ რამე სამკაული ჰქონია – საყურე, სამაჯურები, ბეჭდები, ყველაფერი მუშორებია და დედისათვის გადაუყრია, – რად მინდა, ბალიაურთ გაგასთვის მიტაცებენო.

მისვლია კაც-შუაკაცი, მაგრამ მზიას ძმას – მარაიძეს უთქვია – თავი დაანებოს, მტერიც მოშორდება და არც ჩემი და გაჰყვება, ბებერი კაციაო.

გაგას უთქვამს მარაიძისთვის – ეგ და მომეცი, შემეწიე, გააგონე და სადაც დაგჭირდები, სიკვდილამდე ძმად გექნებიო. რჯულიშიც დაგეხმარები, ერთი კაცი ხარო.

კარგიო, უთქვია მარაიძეს, რაც ჩემგან იქნება, შეგეწევიო.

როდესაც კაც-შუაკაცი მივიდოდა, მარაიძე მათთან ცუდს არაფერს ამბობდა, მზიას კი ატყუებდა – თუ თავი არ დაგანება, ხელ-ფეხს ჩამოვაყრევო. ერთხელ, როცა კიდევ მივიდნენ კაცები და მარაიძე საქმის გარიგება სთხოვეს, მარაიძეს უთქვამს – კიდევ ვაცალოთო. თურმე მზია ჩუმად ყურს უგ-

[1] კვეთილნი – გათხოვება აღკვეთილი ქალი დაწუხებული საქმროს მხრიდან.

დებს. შუაკაცები რომ წასულან, მზიას ძმისთვის უთქვამს, — გაგძვრეს ეგ შარვალი, ჩემი მოქსოვილი გაცვია, როგორ მატყუებო. მაშინ მარაიძეს პირდაპირ უთქვია — მე შენი ვერაფერი გავიგე, ბაკურხეველი ახალგაზრდაა, ჯუთელიც ახალგაზრდაა, ორივენი დიდი გვარისები, ბალიაური შუახნისაა და ცოლშვილიანი, შენ რომელს მიჰყვებიო. მე გაგა მინდა მოკეთედ, შენ ქმრად რომელი გირჩევნიაო?

— არცერთიო — უთქვამს მზიას, — შინ ვიქნებიო. არა ქალიკო, მე ცოლს მოვიყვან, შენ კი გაგას გაჰყვები, მარაიძეს ასე სწადიანო. შენც გაგას ცოლობა გერჩიყოს. მოვლენ კიდევ, საკლავს დაჰკლავენ და გავარიგებო. აი, იმათი ჩამომავლები ვართ.

გაგას მტერი ვერ ერეოდა. ძალიან გონიერი, სწრაფი მოსაზრებისა, შორსმჭვრეტელი, შეუდარებელი მამაცი, ჰურადი, მშრომელი და ამირანივით ხმის პატრონი იყო.

ცურცუმელას ეძახოდნენ თურმე. შუღლში მჯიღებს სეტყვასავით მიაყრიდა მოპირდაპირეს. ხანჯალს არ იბამდა „— რად ვჭრა კაცი და მერე დრამა მივცეო". დაბალი ყოფილა. ერთხელ კარგად მიუქექია ახიელლები. შეყრილა სოფელი და უთქვამთ — გაგა ამანათის ჩამომავალია, საფლავ-სამარეში წილი არ უძევს და ბარუქას (სასაფლაოს სახელია) მკვდარს ნუ დამარხავსო.

— იმდენი მომიკლას დიდებულმა არხოტის ჯვარმა, რამდენიც გაგამ გარუქას დამარხოსო, უთქვამს გაგას.

ბევრჯერ აჯობა მან მტერს ჭკუით და მამაცობით. ბოლო დროს მას მაგარი მტერი ჰყავდა ბლოს (სოფელია). ხევსურეთში წესი არ არის, რომ სოფელში დღისით ცხენით შევიდეს კაცი, რომელი გვარისაც არ უნდა იყოს. ქალი და ყმაწვილი (ბავშვი) კი შევა მტრის ოჯახიდან და გვარიდან. თუ მგზავრი დღისით ან ღამით ხმაურით შევიდა, შუღლი მოხდება, მასპინძელიც ხათაბალაში გაეხვევა, სოფლის პირიც გატყდება. და აი, ახიელიდან ქორწილით ქალი მიჰყავთ ბლოში. ქალმა „მყოლში" (მაყარაში) გაგაც დაპატიჟა. მტრიანია გაგა, მაგრამ ქალი „აწევს" (პატიჟობს). უფროსმა კაცებმა დაუშალეს — ნუ წახვალო, ახალგაზრდებმა კი არაფერი უთხრეს, მათთვის რომ შიშში არ ჩაეთვალათ. ქალის მამა-ბიძებმაც ურჩიეს — ნუ გაჰყვები, მტერი

გყავს, შუქარას გიბარებს, გზას არ გაძლევს თავის სოფელში. იქ შენი მიხვლა და სოფლის დალახვა არ იქნება, ხიფათში ვერ გაგხვევთო. გაგამ არ დაიშალა. მთა (ულელტეხილი) რომ გადაიარეს და მამუკაურთ მთაში ჩავიდნენ, დაღამდა. მყოლთ გაგა დაჰკარგეს. მიხვდნენ, სადაც წავიდა. გამოუდგნენ ახალგაზრდები და მისი მტრის სახლის საკვამში შეიხედეს. ნახეს — მტერს გაგა სათავეში დაუსვამს, თვითონაც გვერდით უზის, წინ ტაბლა უდგათ და ხელში ყანწები უჭირავთ.

თურმე გაგა ამ ბლოელს დიდხანს ებრძოდა მამულის თაობაზე. ბლოელი სიზმარს თურმე ნახავდა და ეტყოდა თავისიანებს — სიზმარში მწევარნი[1] მოდიოდნენ არხოტიდან, აი ტიალ-ოკერა სადამ ემზადების აქისკენო (მარტო რომ იყო, „ტიალ-ოკერას“ ეძახოდნენ). აი, ასე გაათავა გაგამ მასთან მტრობა.

დიდ გამბედაობასთან ერთად, დიდი მოსაზრებულობაც ჰქონდა. მთელი ღილღო (ქისტეთი) თხოულობდა არხვატის მიწა-წყალს — ტანიე, ბისნა, ტერღა, თათხელი ჩვენ გვეკუთვნისო. თუ ამ ადგილებს წაიღებდნენ, მაშინ არხვატს მარტო ტანიის კარის ზემოთა ნაწილიღა რჩებოდა. მოვიდა მოურავი „მართებელი“ და მიწის მზომლები. მივიდნენ ღილღვლები და მათი მამასახლისი, მოლები, მთელი ჩვენი წყლის (მდ. ასა) ურჯულო — ნარჩევი ვაჟკაცები. არხოტივნებიც წავიდნენ ჭალას და ბინა ტერღის-კარ დაიდვეს. იჩიენლეს ქისტებმაც და არხოტივნებმაც, მაგრამ ქისტებმა გაიმარჯვეს და გადაწყდა საზღვრის კორღანის ტერღის-კარ ჩადგმა.

გაგა მაინც ვერ გატეხეს. მან თავის ხალხს უთხრა: — წადით არხოტში და ვისაც თოფის გასროლის თავი აქვს, 12 წლის ზევით ვინც არის, თავის თოფებიანად ყველა წამოიყვანეთ, ბისნის-კარს გამოყოლებით კლდეს მოუსხდნენ და თოფები გადმოსხითო.

მოვიდა სოფელში მაცნე — არიქათ ჩქარა წავიდეთ, თორემ კორღანს ჩააგდებენ, ერთი გაგა ვერ გასტეხეს, შეუვარდება კარავში და გამოათრევენ, როგორც ხარი ეგრე ბრუნავს „მართებლისა“ და მოლების შუაშიო.

დაძრულა მთელი ხალხი და დილისთვის უკვე თოფები „გადაუსხამ“. გაგას უთქვია მთავრობის კაცისად — აგერა ყმაწვილო, ერთი იქ შეხედე, ის

[1] მწევარნი — მითოლოგიური, ზებუნებრივი პერსონაჟები, რომლებიც არხოტის ჯვარს ემსახურებიან და მის მტრებს ანადგურებენ.

თოფები ყველა ტყვიას გამოისვრისო. მაშინვე მოგლიჯეს საზომი და უთხრეს — მაშ საიდან ფიქრობ გაგავ რომ თქვენიაო. — აგე ოჯახის სათიბის შემდეგ არის მაჰმადიანთ მიწა, ამის ზემოთ ხევსურისა არისო.

— კარგი, კარგი გაგავ, იქ იშნება კორღანი, ოღონდ ის ხალხი მანდიდან წავიდესო.

— ჯერ კორღანი ჩავსვათ და მერე თვითონ წავლენო — უთქვამს გაგას.

მოლების თვალები სისხლში უბრუნავდათ სიბრაზისაგან, მაგრამ ველარაფერს გამხდარან. სადავო ადგილები გაგას გამჭრიახობით არხვატს დარჩა.

* * *

ჩემს მამას თათიას ერთ ღილღველთან სარჯულავი და სადავო საქმე ჰქონია. მამაჩემის გატეხა ლაპარაკში, ძალიან ძნელი იყო, თავის ნათქვამს იშვიათად, ან სულაც არ გადათქვამდა. ქისტს აჯობა თუ არა, ეს არ ვიცი, ოღონდ თვითონ იტყოდა: ქისტმა მითხრა — ჰაი, გაგაის შვილო თათიაო, ფირის თოფო, ბაყდა ტყვიას კი ისრევო. ესე იგი, მრუდე თოფი ხარ, მაგრამ მართალ ტყვიას ისვრიო.

* * *

ხევსურეთში დიდი გაკვირვება გამოიწვია ერთმა რჯულმა: თათია ბალიაურის მწყემსს ცირცლოვანს (ადგილის სახელია არხოტის ხეობაში) ცხვარი ჰყავდა მაღლა, არხოტის მთის პირზე. მწყემსს დასძინებოდა, ცხვრის ნაწილი მოსხლეტოდა ფარას და ხევსურეთისკენ გადასულიყო. ეძება მწყემსმა, მაგრამ სად წავიდა და ვინ მიითვისა, ვერ გაიგო. ბევრი დავიდარაბის შემდეგ მიაკვლიეს, რომ ცხვარი აყნელიონთ გაერეკათ. იმუქრებოდნენ ბალიაურნი, რომ კარებიდან ავუხსნით ხარებს და შინ მოვრეკავთო.

თათია ბალიაური — მეცოდარი კაცი იყო, ფიცხი, მამაცი და ჰურადი. რჯულის კაცებში ავლევდნენ — მთასიქითში, პირაქეთ ხევსურეთში, ხევის წყალზე, გუდამაყარაში, ღილღოსაც. უყვარდა ლამაზი თქმა, ცოცხალი რჯული, მხიარული სიტყვით მოხიბლვა კაცისა. ხანდახან რჯულიდან რჯულში მიჰყავდათ. აქებდნენ და სიამოვნებდა. იტყოდა — მე გაგაის შვილი ვარო! ეხლა ბალიაურებს და აყნელიანებს ჩამოუვარდათ მტრობა. თათია მოკეთეებთან არაყით წავიდა ხიტალეს. ხიტალე და აყნელი ერთმანეთის მოპირდა-

პირე სოფლებია. გაიგეს აყნელში, რომ თათია ხიტალეს იყო და კაცი გაუგზავნეს, შერიგება სთხოვეს. თათიამ რჯულში გასვლაზე უარი არ უთხრა, მიუხედავად იმისა, რომ მისი უფროსი ძმა იქ არ იყო და უმისოდ საქმის გარჩევა წესის მიხედვით ცოტა ურიგოდ გამოდიოდა.

გავიდნენ რჯულში, რჯულის კაცებში დიდად მცოდნე არავინ ერია. ჯერ თათიამ იჩივლა, მერე აყნელიანებმა. თათიამ უსმინა რჯულის კაცებს და მერე უთხრა: რჯულში მე თვითონ ჩავჯდები, თქვენ გატყობთ მაგეებს „დაამკლებთო“ (დააზარალებთო), მე კი მართალს ვიტყვი, რაც ხევსურეთის წესით მერგებაო.

— კაცო, რას ამბობ, ხევსურეთში წესად არ მოდის მომჩივანი რჯულში თვითონ ჯდებოდესო, უთხრეს ხევსურებმა.

— ხევსურეთის რჯული როცა დაიდო, მაშინ ბახალაურიც ერია იმ კაცებში, ის კი ჩემი დედიძმათა იყო; თუ რჯული არ არის, ამის იქით იყოს რჯულის წესშიო — უპასუხა; დაჯდა და სხვებთან ერთად საქმე კარგად გარჯულა. შეურიგდა კიდეც. შემდეგში დიდი ქება-დიდებით უამბობდნენ ხევსურები ერთმანეთს — არხოტიონთ მოუგონები არაფერია, ვის გაუგონია — კაცი თვითონ ჩიოდეს და კაცებშიც თავადვე ჩაჯდესო.

თომა ბალიაური

თომა ბალიაური[1] ჩემი ტოლი იყო, მარტო ორი თვე იყო ჩვენ შორის განსხვავება. გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. მამას — გიორგი ბალიაურს ძალიან უყვარდა თომა. მამაჩემს — თათია ბალიაურსაც მოსწონდა და აქებდა. იტყოდა: ჰოო, ძალიან ვაუკაცია ჩემი ძმისწული თოთაო! (თომას სულის სახელი თოთაც ერქვა). ხევსურეთს, ხევის წყალზე და საურჯულოს უფრო მეტი ვაუკაცი არ მინახიაო.

თომა მაღალი იყო, წელწვრილი და ბეჭგანიერი. ძალიან ლამაზი თავი ჰქონდა, მაღალი შუბლი. სახე საკვირველად ზომიერი, თვალები ფუტკრის — ფერი, ცხვირი სწორი, მაღალი, ოდნავ კეხიანი, ყბები ხელით ჩამოქნილს მიუგავდა, რომლებიც ლამაზად ბოლოვდებოდა მრგვალი ნიკაპით. კბილები სწორად მიწყობილი და თეთრი, ბაგეები მომსხო, პირის ჭრილი ზომიე-

[1] თ. ბალიაურის შესახებ იხ. დანართი.

რი და თითები ლამაზი. ხმა ძალიან ვაჟკაცური, როცა გაბრაზებული დაიყვირებდა, შემზარავი, არც ძალიან ბოხი, მაგრამ ძალის გამომხატველი. უყვარდა ხუმრობა. თავისთავს დასცინოდა. და-ძმებს აჯავრებდა, უფრო უფროს დას — ნინოს.

ერასტე[1] განსაკუთრებით უყვარდა. როცა ერთად იყვნენ, არ იშორებდა. დადიოდნენ საკალმახოდ, სანადიროდ, შალშავის საკრეფად, ან შორს სადმე მთებში.

თომა ამბობდა: მე არც მენშევიკი ვარ, არც ბოლშევიკი, ეროვნულ პარტიას ვეკუთვნი რწმენით, სულით კი ხევსური ვარო. იტყოდა: ხევსური უსწავლელია, მაგრამ ისე კარგად აქვს შესისხლხორცებული ძველი ქართული ზნე-ჩვეულებები, რომ ხალხი არ დაჩაჩანაკდა, ვაჟკაცობას აძლევს დიდ მნიშვნელობას და სიმამაცე პირველ ღირსებად მიაჩნიაო.

უყვარდა იარაღი, კითხულობდა ძალიან ბევრს. მშრომელიც იყო. თუთი[2] იტყოდა ხოლმე — რა მუშა არისო! თიბდა, მკა არ იცოდა, არ იცოდა ხვნაც. უყვარდა ნათესავები, დედიძმები. მას ცუდი არაფერი ჩაუდენია, რომ ხალხს ახსოვდეს (ბოზობა, ღალატი, ბეჩავის დაჩაგვრა და სხვ.). უყვარდა შუღლი. იტყოდა: ხევსურები საკმაოდ მაგრები არიან იარაღში, კარგად იციან კაცურად თქმა და ქნაო... იყო მორწმუნე, სჯეროდა სიზმარი, სწამდა ბედისწერა. ამბობდა: ძალიან ცუდ სიზმრებს ვხედავ ჩემს მომავალზე. შორიდან ქალის ხმა გავიგონე — თომავ, დრო კი შეიცვლება მაგრამ შენ ვერ მოესწრებიო.

ერთხელ დედაჩემს უთხრა! — ლელავ, შენ ძალიან საღი გონისა ხარ, ჯიშიანი, გიორგათ ქალი. ნუ დამიმალავ, მკითხავმა ჩემზე რა გითხრა — ხომ ვერ დამიჭერენ, ვინმე ხომ არ მიღალატებსო. წყევლა აშინებდა. აშინებდა დედაკაცებიც. დედაჩემი ეტყოდა — ჩემო თომავ, ეგეთა მამაცს დიაცებისა რადღა გეშინიაო.

— ლელავ, აი ხომ კაი დიაცი ხარ, მაგრამ ხასიათი და სისუსტე მაინც დიაცისა გაქვს, დიაცი არ არის სანდოო.

თომა თავს უშიშრად გრძნობდა მთაში, რადგან აქ ღალატი არც ისე ად-

---

1 თ. ბალიაურის უმცროსი ძმა, ექიმი.

2 ნ. ბალიაურის უფროსი და, თომას ბიძაშვილი.

ვილად ხდება. ზაფხულში ის ყოველთვის ორ ლოგინს იცვლიდა; ჯერ სახლში დაწვებოდა, მერე გარეთ გადაინაცვლებდა.

პურადი იყო, უყვარდა სტუმარი. გამოულეველად ისხდნენ მასთან კაცები საქმეში თუ უქმეში.

ერთხელ ჩვენთან შუაფხოში სტუმრად იყვნენ ჩამოსულები — თომა, ერასტე, ლადო, მიხა, გიორგი თედორაძე, ანდრო და ირაკლი თოფაძეები, როსტომ ლუდუშაური.

გარეთ რაღაცასა ვაკეთებდი და ყვირილი შემომესმა,შინისაკენ გავიქეცი. რომ შევედი, თინა პატარა იყო და ჩემი დედამთილის ზურგს იყო ამოფარებული, დედამთილი კი ისე იყო შეშინებული, რომ მკვდრისფერი ედო. თომა და ანდრო თოფაძე ყვიროდნენ, თედორაძის სიცილი მოისმა — ნუ სულელობთო!

თომას ძალიან სწყინდა, თუ ქაქუცას ვინმე აუგად მოიხსენებდა. ახლაც ანდროს ეთქვა — ქაქუცამ ხევსურეთს ცეცხლის მეტი რა მოუტანაო და ამაზე შეჰყოლოდნენ.

როდესაც ქაქუცას რაზმი დაიშალა, თომა კახეთიდან გამოქცეული არხოტში მოვიდა. ძალიან გამხდარი და დატანჯული. აქვე დარჩა საცხოვრებლად, რადგან წასასვლელი აღარსად ჰქონდა, დასაჭერად დასდევდნენ. აქ გაატარა ცხოვრება და აქვე მოკლეს 36 წლისა.

* * *

სოფელ როშკაში ერთ-ერთ მამიშვილობას ჯოყოლიკათ ეძახიან. ამ მაიდან ძალიან მამაცი ვაჟკაცები გამოდიან. ჯოყოლიკათ მამის ერთ კაცს ჩალხია ერქვა. ბორუყოთ ჩალხიას ეძახოდნენ. ძალიან ზორბა, მხარბეჭიანი, მაღალ კისრიანი, ლამაზი, ამაყი ვაჟკაცი იყო (შენი პაპა და ის დათაშვილები იყვნენ). პურადიც იყო, გულადიც, მოჩხუბარიც. თან ძალიან ღარიბი. იმას ერთ ხევსურთან ჰქონდა მტრობა, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა, — მეშვლები საიარაღე მანძილზე ერთმანეთთან არ უშვებდნენ.

ერთხელ თურმე ჩალხია ღულის ჭალაზე მიდის. უცებ ეს მტერი წინ შემოჰყრია. ჩამომხტარა ცხენიდან: — ეხლა სადღა წამიხვალ, ხევსურო, უკან კლდე გიდგას, წინ კი ბორუყოთ ტიტველა გყავს ამოყუდებულიო.

— მოგიკვდი ჩალხიავ, არც ჩვენ ვუქმობთ დღესო, — უპასუხნია ხევსურს და იარაღისათვის მოუსვია ხელი.

* * *

ხევსურს თავისი ლანძღვა ისე არ სწყინს, როგორც გვარისა და მით უფრო მამიშვილობისა. ამ ნიადაგზე აი რა ქნეს სიძე-ცოლისძმამ — ბარისახელმა ბეწუკელთ გაგამ და ჯუთელმა იდიათ შიშიამ. შიშია გვარად არაბული იყო, იდიათ მამიშვილობისა, გაგა ჭინჭარაული ბერღოჯანათა. ძილა შიშიას ცოლი იყო, გაგას და, რომელთანაც ორი შვილი ჰყავდა.

გაგა და შიშია ერთად თურმე მიდიან დათვისისკენ, სადაც შიშია „თავისებთან“ (სახლისკაცებთან) არყით შიდიოდა. გიგაურთის ველში რომ გავიდნენ, ცხენებიდან ჩამოხტნენ, უნდა დახხდნენ და არაყი დალიონ სირცხვილია, თუ მოკეთესთან ქინთი (ტიკჭორა) პირმოუხსნელი მიიტანეს (მასპინძლისათვის საწყენია)[1]. ჩამოაგდეს საუბარი ხევსურთ ყოფაზე, — სად ვინ რა ქნა, ვისი გვარისამ. ვინ უფრო იბრძოდა რუსებთან, როდესაც ხევსურეთს იჭერდნენ და ა.შ.

ერთი აქებთა არაბულთა ვაჟკაცობას. მეორე ჭინჭარაულთას. შიშიამ უთხრა: — დაშინებული ჭინჭარაულები არაბულებთან ეძებდით შესაძვრომსო.

— რუსების დაშინებულებმა თქვენ „გაისრიეთ“ (გადააგდეთ) გზაში შვილი, ჩვენ არ გადაგვიგდიაო, — უპასუხა გაგამ.

— სად „მიმიჭელავ“ (მიპოვნი) ამაზე ანდრეზსო.

— დაგიტკიცებ. თქვენი გადაგდებული ქალი შიმშილათას გაზრდილა, მერე მამა მისულა წამოსაყვანად, თანაც დედის დაქსოვილი წინდები მიუტანია. იმ ქალს წინდებზე დაუფურთხებია და არ გაჰყოლია: — მამაც აქა მყავს და დედაცო.

— აბა, ახლა შენ მე დამაშინეო! — უთქვია შიშიას.

აატყრაშუნა თურმე გაგამ ხანჯალი, მაგრამ შიშიამ დაასწრო და სწყვი-

---

[1] ერთხელ ბარისახელმა ნადირათ გაგამ დათვისში ცოლისძმას — ლაკვაჩათ აბას მიუტანა საკვე ქინთი და უთხრა — პირმოუხსნელია, ბევრი შემომეყარა გზაზე, მაგრამ შენთან მძიმედ მოსვლა მინდოდა და არავის დავალევინე. აბამ ხელი მოავლო ქინთს და გაისროლა — მე ბევრი არაყი და ისიც სირცხვილიანი არ მინდა. აქედან გამოძვერი. აბას ეგეთა მძიმედ მოსული მოკეთე არ უნდა, კაცთ უნდა გაეგო, რომ შენ აბასთან მოდიოდიო.

ტა, დაჰკრა გაგამაც. ჩაუგიათ მერე ხანჯლები და დამსხდარან.

— რა ვთქვათ, რაზე ვიშუღლეთ, ან რომელს უფრო მძიმე ნაჭრევი გვჭირსო?

— სიძეს უნდა სჭირდესო.

— არა, ცოლისძმასო.

— რაით შაგიხვიო ნაჭრევი, რა ეშმაკად გვინდოდა. ძილა რას იტყვის შენზე, ან მე რას მეტყვისო.

როგორც იყო, შეიხვიეს თავები და გასწიეს დათვისისაკენ. ეს შიშია თარუამ (ნ. ბალიაურის და, თ.ო.) რო დაიწუნა შიშიათ გიორგი, იმის მამა იყო.

თომას უყვარდა ამისთანა ამბების მოსმენა.

— კაცო, თომაო, კიდევ მომწადდება ხანჯლის დაქნევ-მაქნევაო, — ეტყოდა ხოლმე შიშია. — ნეტავ ბებერიმც არა მქნა, შენთანამც მაშუღლა, წინ როგორ დაგიდგებოდი, როგორი კარგი საიარაღე ხარო. კარგია მამაცსთან შუღლი, გულს დააჯერებს კაციო.

* * *

ჭიმღას ქისტებმა მანგიათ ბეწიკას სახლიდან ხარ-ცხენები გამოუყარეს (მოჰპარეს, გამოურეკეს, თ.ო.). წესია, თუ ღამე სახლიდან საქონელს მოიპარავენ, რა წამს გაიგებს პატრონი, თოფით ხელში არხოტის ჭალაისკენ გარბის, არავის არ ეძახის, ძმასაც კი, თუ ის უკვე გაყრილია და ცალკე ცხოვრობს. მანგიათ ბეწიკა ისე გაიქცა, ტყვია-წამალი ცოტა ჰქონდა. ამღას, დედისძმებთან მივიდა და სთხოვა. მისცეს დედიძმებმა, თან ალალი დედიძმიშვილიც გაჰყვა. არც ამღას არავის გააგებინეს და გარბიან. უშიშა, — გაჯალათ ჩაჩაურის შვილი წინ მირბის. ხიდზე გადავიდა, ცოტა კიდევ და გავარდა თოფი. უშიშა ჩაიქცა. ბეწიკამ სროლა ვერც კი მოასწრო, ქისტი გაქრა.

მოვიდა მდევარიც (მდევარი — მტერს რომ მისდევს სოფლის ყველა მამაკაცი, ვისაც რბოლა შეუძლია). ზოგებს უშიშა უნდა წამოეღოთ, ზოგი კი ქურდებს უნდა დასდგომოდა. არხოტიანები როცა გარბოდნენ, კაცის კვალი გაიგონეს. შემოდგომა იყო, მთვარიანი ღამე. კვალი ამღის პირდაპირიდან ისმოდა. კვალით მიმავალმა კაცმა აიარა და ზეთუკა გადაიარა (მთის სახელია).

გაჯალათ უთხრეს ხალხს: თქვენ ჭალას ნუღარავინ წამოხვალთ მდე-
ვარში, ხიფათში არავინ გაეხვიოთ. ეს მარტო ჩვენი საქმეაო. წავიდნენ მარ-
ტო გაჯალნი: გაგა, მამუკა და ერთიც სხვა — გიორგათ მამის კაცი — სულ-
ხანაურთ უშიშა. ბისნის კარს რომ მივიდნენ, გათენდა. უთხრეს ერთმანეთს,
— აქ უნდა დავუცადოთ იმ კაცს ამღის პირდაპირ რომ აიარაო. დასხდნენ
დაღლილები და მწუხარეები (უშიშა გაგაის ძმისწული იყო). გაგამ თქვა: —
წინ-წინ მე ვესვრი და მეორედ ვისაც გინდათ, იმან ესროლეთო.სულხანაურთ
უშიშამ უთხრა — მე შენ არ გკითხავ შენ გასროლამდე ვესვრი თუ არა. წელ-
ში დავადებ ნიშანს და თუ იქ მოხვდა, ჩემი ნასროლი იქნებაო. გაგამ თურ-
მე სიხარულის ცრემლი გადმოყარა — რა კარგი ყმა ხარო. გამოჩნდა ქის-
ტი, სახელად ჯერნალი. მიხვდა თურმე რაც უნდა მომხდარიყო. იტყოდნენ
— ისეთმა გამოიარა, როგორც ირემმა, თავაღებულმაო. ჩვენ გზის ძირში ვის-
ხედით, ცქიტოები, დაცრეცილებიო. „მარჯ უალალ“ — გვითხრა და ჩვენც
ქართულად ვუთხარით შენც მშვიდობით წადიო. გაგამ გვითხრა — ვერ ნა-
ხეთ, ბალახის ქოჩთ დააბიჯა და ისე მსუბუქად გაიარა, ქოჩნი არ დაილახ-
ნენ, ეს უშიშაისად საფერიაო. ორი საბლის გაშლაზე გაგვცდა და ვესრო-
ლეთო. რომ მოხვდა, წაჰკივლაო. სული რომ დალია, მერე მივედით, მანამ-
დე გაგამ არ მიგვიშვა — კაი ვაჟკაცია, აღარაფრის თავი ექნება, ცოდოა თავ-
ზე ნუ წავადგებითო.

მერე ვნახეთ, რომ გაგასა და უშიშას ნატყვიარები ორი თითით იყო ერ-
თმანეთს დაცილებული, მამუკას ნასროლი კი მარცხენა ბეჭს სჭირდაო.

* * *

ამღიონმა კურდღელათ გიგიამ დედა-დების გაჯავრებულმა თოფი და-
იკრა. მას ცოლად ჰყავდა ჯუთელთ ქალი ძილა, რომელსაც ქმარი ძალიან
უყვარდა. იმდენად, რომ კიდევაც დასცინოდნენ. ერთი პატარა ქალის მეტი
შვილი არ ჰყავდათ. როდესაც ძილამ მომაკვდავი ქმარი ნახა, უთხრა, — და-
იცადე, შენ ეხლა გჭირდება მომვლელი და მეც მოვდივარო. ამ სიტყვებს არა-
ვინ მიაქცია ყურადღება, რადგან ხევსურეთში ცოლის ტაკტაკი არავის სჯე-
რა. ძილა ქმართან შევიდა. შვილი ზურგსუკან კედლისკენ მიიმწყვდია, თო-
ფის სასხლეტი ძაფით გიგიას ხელს მიამაგრა, შემოაყენა, მოსწია და ტყვია

შიგ გულში მოხვდა. ბავშვი ცოტა განზე გაწეულიყო და ტყვიამ მუხლის თავზე გაუარა, მსუბუქად დაიჭრა. ეს ქალი გაზარდა მამიდამ, ოჩიაურთ დიაცმა, ბასილის ცოლმა.

რას იტყვი, როგორი ძალა აქვს გიორგათ სისხლს, ის გიორგათ დისწული იყო.

* * *

პირაქეთ ხევსურეთში ჭინჭარაულები დიდი გვარია. იყოფიან სხვადასხვა მამებად: — ხაშიანი, ნასთვლევანი, უჭკუანი და სხვანი. ბარისახოელი იყო უჭკუათ გოგოთური, რომელსაც ჰყავდა ძმა — ბაბუა. გოგოთურის ვაჟს სულხანაურს მოსწონდა გუდანელ ბაძიათ აბიკაის ქალი ლელა. აბიკას ამ ერთი ქალის მეტი შვილი არ ჰყავდა. ის და გოგოთური ჭინჭარაულთ გვარში შვიდი თაობით ერთმანეთს დაცილებულები იყვნენ, ლელა და სულხანაური რვა თაობით.

სულხანაური სწორთაზე დიდად მამაცი; იარაღში კარგად გაწვრთნილი, ხევსურეთის რჯულის მცოდნე, თავმდაბალი და მხიარული ახალგაზრდა იყო. ძველი ოთხი კლასის ცოდნაც ჰქონდა. ლელა, როგორც დედისერთა ქალი, ძალიან განებივრებული, ლამაზი, ვერცხლის სამკაულით მორთული, არავის ნდომილობდა, ყველას სწუნობდა. სულხანაური უყვარდა, მაგრამ მასზე გათხოვება, როგორც სახლისკაცზე, არ უნდოდა. მაშინ ამ საქმის გაკეთება ძალიან მძიმე იყო. ამას მოსდევდა გვარის გაყრა და ათასი სხვა უსიამოვნება. აბიკა[1] გუდანელი გადუას ბიძა იყო, გვარის საამაყო კაცი, ხევსურეთის რჯულის მცოდნი. უჭკუათ გოგოთურიც ხევსურთაზე მეტი იყო სიმტკიცით, სიმაგრით, პურადობით, პირდაპირობით, გვარის, ოჯახისა და ჯვარის წესების დაცვით, თავმოყვარეობით, ხევსურეთისთვის თავდადებულობით. აბა ლელას როგორ უნდა სდომებოდა სულხანაურზე გათხოვება. მაგრამ სულხანაური სხვანაირად ფიქრობდა. მან თავისი გულის ნადები შინშს (ბიძაშვილს) გიგიას გაანდო. გიგია ობოლი იყო, გოგოთურის გაზრდილი და მათთან ცხოვრობდა (ძმები გოგოთური და მინდიაც გაუყრელ, ერთ ოჯახად

[1] აბიკა, ქუქუცა ჩოლოყაშვილის ხევსურეთში ყოფნის დროს, მისი ხელშემწყობი, საბჭოს წევრი და მრჩეველი იყო. დააბეზღა იდიათ იდიამ დათვისელმა, დაჭერინა ბოლშევიკებს და მეტეხის ციხეში მოკვდა. გადუამ ჰკრა თოფი იდიას და მოკლა. იმის სახლის კაცი იყო ჯუთელი შიშიათ გიორგი, იმან კიდევ გადუა დაჭრა.

ცხოვრობდნენ, რაც ხევსურეთის მიწა-წყალზე ერთადერთი შემთხვევა იყო). გიგია ძალიან გაჯავრდა და უთხრა: – ხომ არ გაგიჟდი, და ცოლად როგორ მოგყავს. აბა, გონთ მოდი, რას იტყვის შენი დედ-მამაო. ამ საქმეში კი ვერ დაგიდგები გვერდით და დამისახელე ვინც გინდა ქმრიანი (დანიშნული) ქალი, წავალ და მარტოკა წამოვიყვანო, მაგრამ ვერ გადაათქმევინა. სულხანაურმა ლელა წამოიყვანა. ღულის ძირს, ხიდთან დახვდა გიგია და ქვითინით ქუდი გადაუგდო: – შენი ჭირიმე, გაუშვი, გუდანამდე მე გავყვებიო. არ გაუგონა სულხანაურმა თოფი აიღო – მოვკვდები და არ გადავთქვამო.

– მე ვერ მოგკლავ, შენ დედ-მამასთან ვარო, – უთხრა გიგიამ, – მე მომკალი, სანამ ბიძა ამ ამბავს გაიგებსო. სულხანაურმა არ გაუგონა, წამოიყვანა ლელა და ორ წელს მაღრანის ძირს კლდეში ცხოვრობდნენ. გოგოთური და აბიკა კი, ეს ორი მაგარი ხევსური ერთმანეთის სამტროდ მოილესნენ. ორივე გუნდის ჯვარის ხუცესი და უნჯი ყმები, ერთმანეთს მუქარას უბარებდნენ – მზად დამხვდი, თუ სადმე შეგეყარე, არ გაგცდებიო.

ერთ დღეს ეს ხანში შესული მამები ღულის ჭალაზე შეეჯახნენ ერთმანეთს. ორივენი ჯორებზე სხედან, ორივეს გალესილი, გრძელტარიანი შუბები უჭირავს. გადააყენეს ჯორები გზიდან და მანამ ერთმანეთს დაშუბავდნენ, ღულელმა მწყემსმა ქალებმა ჯორებს ფეხებში მანდილები ჩაუყარეს და მოჩხუბრები დაიჭირეს.

ისე მოკვდა გოგოთურის შვილი (შატილიონთ მოკლეს), რომ მამას მისთვის ხმა არ გაუცია. არ აპატია. გიგიაც მითხოს მოკლეს (ლელა ჩემი მეგობარი იყო, სულხანაური კი მამაშენისა).

სულხანაური როცა შატილიონთ მოკლეს, ამაზე ბიძაშვილმა ნათულამ მაშინვე თოფი დაიკრა.

ნატყვიარი წევს სულხანაური, ნატყვიარი წევს ქალი ნათულა. გოგოთური თურმე ღრიალებდა: გამითავდა ძმის ბოლო ნათულავ, ბიძა რად-არ დაინანე, ვის უყურო შენს მერე. ძმისწული მომიკლეს, არ მიტირია, თავს ვერ მოვერიე, მტრისა მრცხვენოდა – ქისტები გაიგონებენ და იტყვიან – ხო ვატირეთო. შენ იყავი ჩემი სიხარული და შენც დამლუპეო. ჩემ შვილს მაგის გარდა სხვა გზა არ ჰქონდა, მტერს მიჰყვებოდა და მტრის ხელს ეს გამოსდისო.

გოგოთური ლელას ხმას არ სცემდა, შვილი რომ მოუკლეს, მერე შეურიგდა. ათ წელიწადს იცოცხლა სულხანაურის სიკვდილის შემდეგ, მერე დაავადდა, კუჭი სტკიოდა და მეტწილად იწვა. ერთ დღეს შეყარა სახლისკაცები, მოაყვანინა შვიდი-რვა წლის ყმაწვილებიც-კი და გამოუცხადა მე თავს მოვიკლავ და იცოდეთ ვისთან რა საქმე გვაქვს გასარჩევი სამტროც და სამოკეთეოცო. უთხრა – როგორ უნდა გაერჩიათ საქმე შატილიონთან (სულხანაურის მკვლელობაზე, თ.ო.), თავი არ უნდა გაებარათ, თავი ამათაც დაედოთ და იმათაც[1]. გოგოთური ამბობდა: – ხევსურმა რომ ხევსური მოკლას სხვისი თავმკიდებარი, მაშინ ხევსურნი ერთმანეთს ამოწყვეტდნენო. უთხრა რომ დაეცვათ მისი მამულების „სამან-სამძღვარი“, არ გაეტეხათ ხევსურეთი, სოფლის პირი შეენახათ. დაიბარა რა „დაეყენებინათ“ დოღისთვის, ცხენები ვისი გაერიათ დოღში, „ცხენინ“ სად და სად უნდა წასულიყვნენ, ვისთვის უნდა ეძლიათ პატივი და თვითონაც ვისგან მოუდიოდათ. ისიც უთხრა, „ღაბაკზე რა დაეყენათ“, სად დაეყენათ და საიდან ესროლათ.

სახლისკაცებმა ქუდები გადაუყარეს და მუხლის ჩოქით თავდახრილები ტირილით შეეხვეწნენ – ნუ ჩაიდენ მაგ საქმეს, ყელს ნუ გამოგვჭრიო.

– თავს ვატყობ აღარ მოვრჩები და ლელაის შესანახავად ვარ გამხდარიო, უთხრა გოგოთურმა. რომ ვერაფერი გააგონეს, ხაშიათ თათარამ შეყარა სოფელი და საკლავი მიჰგვარეს, მაგრამ ამაოდ. არაფერი შეისმინა. მაშინ ბარისახოელებმა გოგოთურის თოფს ჩახმახი წააძვრეს და ჩუმად დამალეს, თვითონაც გადამალეს საკუთარი თოფები.

ეს ამბავი რომ ხდებოდა, ცოლი თამია მოწმაოს იყო ძმის სანახავად წასული. ლელამ თქვა – რძლის (ძმის ცოლის) გაკეთებული „ტალავარი“ (ტანსაცმელი) ჩაეცვა, შენახული ჰქონდა მის პატივსაცემადო. ბანზე გამოვარდა და დამიძახა – უნამუსოო, ჩემ თოფსაც მიახელი ხელი? სად დამალე ჩახმახი, თქვი, თორემ დანას დაგცემო. მე არ ავეძრახე, ხელი გავიქნიე

---

1 სულხანურმა შატილიონი გიგიათ აბა მოკლა ქისტის გონებით. შატილიონთ მდევარმა კი სულხანური მოკლა.

თავ-მეთაურობა იგივე სისხლ-მესისხლეობაა. თავის დადება ნიშნავს მკვლელობაში დადანშაულებას, რაც სისხლის აღებას გარაუდობს.

— არ ვიცი — იმის ნიშნადო. გავერიდე, გუდელას (ბარისახოს ბოლოში, სადაც წინათ ხატის მამულები იყო, თ.ო.) ჩავიარე, ვითომ ხბოებისთვის თვალის დასავლებად. ამ დროს გავარდა თოფი, მივხვდი რაც მოხდა და გავიქეციო. თვითონ რაღაც ჩახმახი მოერგო თოფისათვის, ვაშლის ძირში ხალიჩა დაეგო, შემოერტყა ხმალი, გადაეკიდა ფარი, სამკლავიანი, ჩაჩქანი, ჯაჭვის პერანგი, ხანჯარ-სარტყელი, აშურმანი, ყველაფერი ზედ ჰქონდა, და ისე დაეკრა თოფიო.

ამ ოჯახიდან ბაბუამ თოფი დაიკრა, გოგოთურმა თოფი დაიკრა, ნათულამაც, გიგია და სულხანაური სხვათა დახოცეს. ასე უბედურად წავიდა ამ ოჯახის ცხოვრება.

* * *

როცა ხევსურეთში ერეკლე კაცებს გზავნიდა ლაშქრის შესაკრებად, არხოტშიც, ვისაც შეეძლო ყველა გამოდიოდა. ერთ ლაშქრობაში ნაროზაულთ გვარის კაცი ბადათ ბადიაც ყოფილა, უზარმაზარი ტანისა და ღონის პატრონი, მტერთან შეუპოვარი და მედგარი მეომარი.

ბრძოლაში ერეკლეს ხმალი გადასტეხია. ბადასთვის უთქვამთ — შენი ხმალი მიეცეიო.

— მე ჩემ ხმალს ვერავის მივცემ, რისთვისაც ერეკლეს უნდა ხმალი, მეც იმისთვის მინდაო.

— რად არ მათხოვე ხმალიო, — ბრძოლის დამთავრების შემდეგ უკითხავს მისთვის ერეკლეს.

— ბატონო, ჩემი ხმლის გარდა, სხვა ხმალს ვერ ვგუობო.

— სამოც ხმალს მოგიტან შენი ხმლისნაირსო.

— არ იქნება ამნაირიო.

— მაშ კარგი, სამოც ხმალში თუ შენსას ამოიცნობ, ეგ ხმალი შენ დაგრჩება, თუ არა, დაჰკარგავო.

დაუწყვიათ მინდორზე სამოცი ხმალი, წაუფარებიათ ნაბადი, ისე რომ მხოლოდ ხმლის წვერები გამოჩენილიყო.

ბადა მისულა, დაუხედია, ერთ-ერთისთვის წაუვლია წვერში ხელი და აუღია — ბადას შენ სხვაში არ აერევიო.

— მშვიდობაში მოგახმაროსო! — უთქვამს მისთვის გახარებულ ერეკლეს.

ერთხელ მეფე კაი გუნებაზე ყოფილა და ჭიდაობის გამართვა უბრძანებია. გამოსულა თათარი და ფეხზე ვერავინ დასდგომია, ყველა წაუქცევია. დგანან ხევსურნი და უკვირთ – ეს რა ხელ-ფეხს იქნევენო.

ერეკლეს უკითხია ბადასთვის, – ხევსურო, თათარს ვერ წააქცევო?

– რად არავ, ბატონო. ხელებისა და ფეხების ქნევა კი არ ვიცი, ჩვენებურად კი წავაქცევო.

– როგორია ბადავ, თქვენებურად წაქცევაო.

– აისეთივ ბატონო, კაცს გულაღმა, ან პირქვე მიწაზე რო დაგანარცხებო.

– კარგი, ოღონდ თათარი წააქციეო.

გასულა მინდორზე ბადა, არც უციებია, არც უცხელებია, უკრია თათრისთვის „ყინჭარეში“ (ყელში) ხელი, რაც ძალი და ღონე ჰქონია დაუდგია მოქნეული მჯიღი ცხვირში და დარეტიანებული თათარი გულაღმა დაუბერტყებია.

მობრუნებულა ბადა მეფესთან მისასალმებლად, მაგრამ მეფე სიცილისაგან უნაგირზე ყოფილა გადაქცეული.

– ოო, ბადავ! ძალიან ყოფილა თქვენებური ჭიდაობაო.

* * *

მეფე ერეკლე ხევსურეთში როცა მოვიდა, თურმე ძალიან შინაურულად ექცეოდა ხალხს. საუბრობდნენ, ხუმრობდნენ, ერთმანეთის იარაღს სინჯავდნენ. ერთხელ, როდესაც ერეკლე აქ ყოფილა, ერთი თავმომწონე პირაქეთელი ხევსური მიდმოდიოდა და ისე უყურებდა თურმე არხოტიონთ, ვითომ თქვენ ვინა ყრიხართო. მისულა ერეკლესთან და უთქვია: – ბატონო, ამ არხოტიონისა ნურაფერი გაგიკვირდება, ეგ შენი ყმაც არის და ჩემიც.

აბა ბახალაურს (ვიზედაც იყო ნათქვამი) ჯერ ერეკლესთვის შეუხედნია და როცა ხევსურისთვის არაფერი უთქვამს, სწვდომია ამ ხევსურს, მოუქნევია, დაუხეთქებია და ჩაუწიხლია: – ჩინგლათ აბა ბატონს გარდა არავისი ყმა არ არის, მარტო ერეკლეს ემსახურებაო.

– ოო, ხევსურო, ეგეთი ყმა მე ნუ მომცეს, შენ კი ნუ მოგაკლოსო, უთქვია სიცილით ერეკლეს წაქცეული ხევსურისათვის.

* * *

სოფელი მოწმაო პირაქეთ ხევსურეთში, ფშავსა და ხევსურეთის მიწა-წყლის საზღვარზე მდებარეობს. აქაურები გვარად ფიცხელაურებია. ამ სოფლის სათიბი მთა აფშოს (სოფელია ფშავში) მხარეზეა. ამ ადგილზე წინა დროში ფშაველები და მოწმოვლები ერთმანეთს თურმე ეკიდებოდნენ. დახოცეს ხევსურები, მაგრამ მოწმოვლებმა მაინც თავისი გაიტანეს და ადგილი დაიჭირეს. ეს ადგილი ყველასი იყო, ყველა მოწმოელი თიბავდა.

მეფის-დროს შეცვლის შემდეგ ხევსურეთი თავისუფალი დარჩა, არც ხელისუფლება, არ მემამულეები და ვაჭრები. არავისთან იყო საბრძოლველი და დაიწყეს ძიება ვისთან ვის რა ჰქონდა სადავო. ხევსურეთსა და სხვა კუთხეებში უტევდნენ გარეშეებს. აბიკა წიკლაურის ლექსია ამაზე ნათქვამი:

აღელდეს ერეკლეს ყმანი,
დუნია დააღონესა,
გასცილდეს საქართველოსა,
სათათრე ააყროლესა,
დაკბოცეს ბოლშევიკები
ძაღლებს აჭმევდეს მზორებსა.
ღმერთსთან მეენე სჭირდების —
ღვდელიც თან მიაყოლესა!

მოწმაოს ორი ძმა — ბათია და აბა ჯონდათ მამისები იყვნენ. ჰყავდათ ახლობლები შინშ-მამიშინშებიც და გარე ბიძაშვილებიც (სახლიკაცები). ორივენი ცოლშვილიანები იყვნენ. აბას არხოტიონი — თეთრაულთ ქალი ჰყავდა — დედიკა, ბათირას გუდანელთა — სამძიმარი. ბათირა სამი ქალ-ვაჟის მამა იყო, ქალები უფროსები იყვნენ, აბას ორი ქალ-ვაჟი ჰყავდა (ვაჟი სხვა ცოლისაგან, ქალი კი დედიკასთან).

ბათირა ძალიან ამაყი ხევსური იყო, ხალხში „დღიანი[1] და ილეთიანი“. იმაზე იყო ნათქვამი:

აბეჩავ, ბათირუაო,
გიდგას საკმაოდ კა ტანი.
აქ შენ ხარ ჰევსურთ ჰემწიფე,
ქალაქ ზის გუბერნატარი.

ცხენა იყიდე ისეთი,
რომ არ იცოდას ჯანჯალი,
წელზე გრტყავ დავით-ფერული
ვერცხლისანი ხქონ ვადანი...

ამ ბათირამ მოწმოელთ უთხრა — დაჭერილ მთებს თქვენ ნულარ მოსთიბთ, ფშავლისად წართმეული მთა მე მეკუთვნის, მაგ სათიბის გულისათვის ჩემი ბაბუა და იმის მამა არიან დახოცილნიო.

აღარავინ გაუშვა სათიბლად, ერთი კვირა იქ იყო თოფიანი, და თვითონ თიბდა, ხალხი კი სოფელში სახლში ისხდა.

ბათირას შუაკაცებს უგზავნიდნენ — კიშხევი ჩვენიც არის და შენი და შენი ძმისაცო. ბათირა კი იმასვე ამბობდა — კიშხევი ჩემი მამა-პაპისგან ძალით დაჭერილია, იქ არის მათი სისხლი დაღვრილი და მე მეკუთვნისო. როცა ვერაფერი გააგონეს, გადაწყვიტეს ბათირას და აბას დახოცვა და მათი ოჯახების ამოწყვეტა. ხალხი ჯვარში შეიყარა და საკლავი დაკლეს რომ პირი არ ჩაეშალათ და არ გაეთქვათ. არ მიუშვეს ყმაწვილები. არ უნდა მოეკლათ აბას ცოლი დედიკა, რადგან მას მამულში წილი არ ედო (ვაჟი არ ჰყავდა), თანაც თეთრაულებისა ეშინოდათ. ბათირა კი სულ უნდა მოესპოთ ცოლშვილით. არ უნდა დაესაფლავებინათ თავიანთ საფლავ-სამარეში. თოფი მისთვის პირველად ახლობლებს უნდა ესროლათ, დაჭრილი არავინ დაეტოვებინათ. ოჯახიდან მათი ახლობლები ჯონდათ მამისები იყვნენ-თათუა, ქორია და აბიკა.

პირველად მოკლეს ბათირა, მერე აბა და ბათირას ცოლშვილი. ბიჭი დედამ შემოიხვია და წერილას (ჰურის ძნის ზვინი) მოაფარა, მაგრამ ერთი ტყვიით ორივენი დაჭრეს და მერე ცალ-ცალკე დახოცეს. ბათირას ქალები ტყეში შეცვივდნენ. მერე მეშვლები დათვისელ-გველეთლები მიეხმარნენ. აბას ვაჟი ცხრა-ათი წლისა, დათვისელმა მარაიძეთ უთურგამ გაიტაცა. მოწმოვლები გამოუდგნენ, მაგრამ უთურგამ ხანჯლით და მიფარ-მოფარებით მიაღწია და სხვის სახლში შეაგდო, თვითონ კი ირგვლივ ხანჯალს იქნევდა და იმდენ ხანს იბრძოლა, სანამ სხვები მოეშველებოდნენ. ბათირას ორი ქა-

1 დღიანი — სხვისგან გამორჩეული თვალსაჩინო პიროვნება, მოსაწონი თვისებებით, პირადი ხიბლით.

ლი და აბას ცოლ-ქალნი როშკას გააპარეს, ვაჟი კი ისე გააქრეს, რომ არავინ იცოდა სად გადამალა უთურგამ.

მოწმოელთ ძაღლს დაჰკრეს თოფი[1] — ეს სულის სახსარი იყოსო[2]. სასაფლაოზე არ მიიტანეს მკვდრები. ბათირას და აბას აკუშოში ჰყავდათ გათხოვილი და. მან კაცი გაუგზავნა ბაკურხეველთ — მამიძმათ — გვიპატრონეთო (ბაკურხეველნიც ფიცხელაურნია, როგორც მოწმოელნი). ბაკურხეველნი ქუდზე კაცი-წამოვიდნენ — ეს სადაური რჯულით გააკეთეთო და მოწმოელთ მოსთხოვეს ყველაფრის რჯულის წესით შესრულება. დააკვლევინეს ძაღლის სამხსნელო, დააკვლევინეს ჯვარ-ჯარისკაცის სამხსნელო, დამარხეს მკვდრები, მოკრიფეხ ცოცხლად დარჩენილები, ვაჟი შემოისვეს ცხენზე და ისე გადაიყვანეს ბაკურხევში. თეთრაულებმა ბაკურხევიდან წამოიყვანეს დედიკა და როშკას გურიათას მიიყვანეს (აბა-ბათირანი ეშაგურის დისშვილები იყვნენ). ბაბუა (ასე ერქვა აბას ვაჟს) ჯერ ბაკურხევში იზრდებოდა, მერე მამიდასთან. ბათირას ქალები ჯერ დედიმებთან იყვნენ გუდანში, მერე მამიდასთან, სანამ თავის თავის მოვლას შეძლებდნენ. მერე საფიცხელაურო ადგა და დაემუქრა მოწმოელთ. დააფიცეს, დახოცილების ხიზანი (ოჯახი) სოფელშივე დაბრუნეს და თვითონვე პატრონობდნენ. აბას ნანობდნენ, — ტყუილად მოვკალითო. თურმე წისქვილიდან მოდიოდა, თოფის ხმა რომ გაიგონა, ჯორიდან ჩამოხტა და თქვა — რას ვინ ისვრის და კივიან, ძმაძმისწულები კი არ დამიხოცონო.

ოცი წლის შემდეგ ბაბუა რომ გაიზარდა, ყველაფერი წაართვა, რაც წესით ეკუთვნოდა. მკვლელები ცუდად დაიხოცნენ: თათუა მთაში ცხენებმა გაიკალოეს, ქორია შეიშალა, განავალს ეტანებოდა, აბიკა კი მშვიდად დაბერდა. პურს ბაბუა აჭმევდა.

ბოლო არავისი არ არის.

ბაბუას ორი ვაჟი და ქალები ჰყავს, თვითონ კი თავი მოიკლა.

---

1 ძაღლისთვის თოფის დაკვრა. — მოკვეთის რიტუალის ელემენტი, მიმართავდნენ უმძიმესი ფორმის დროს. აქ: შეურაცხმყოფელი, მიცვალებულთა გაუწმინდურების მიზნით ჩადენილი მოქმედება.

2 სულის სხსარი — მიცვალებულის სულის განწმენდის, მისი გამოხსნის მიზნით დაკლული საკლავი.

* * *

ამაღას გიორგანი ამაყი ხალხია. მათ ერთი ჰყვანდათ შედარებით მდარე, სახელად ჩაჩაური ერქვა. ძმები ხან ჩაჩურს ეძახდნენ, ხან ჩუჩურს. ერთხელ ჩაჩაური და სხვა ამღიენები მდევარში ყოფილან, მაგრამ ღილღვლები სხვა მხრით წასულან. გზა იქაც შეკრული ჰქონიათ, მაგრამ ჩასაფრებულებს არ ეგონათ, რომ ქისტები მათკენ წამოვიდოდნენ, მწყურეიელას (ველური ხილია) გაჰყვნენ და ტყეში შევიდნენ. ისე გადასცილდნენ ქისტები, რომ მათ ვერაფერი გაიგეს. ეს სხვებმა დაინახეს დურბინდებით. როცა მდევარი ამღას მოგროვდა, ამათ ჰკითხეს — მტერმა რომ გაიარა სად იყავითო? — წყალი მოგვწყურდა და მწყურიელას ვჭამდითო.

ეს საუბარი ჩაჩაურსაც ესმოდა, მოვიდა ამ კაცებთან, წინ დაუდგა და უთხრა: აი, თქვენ კი „ჩაგაფსენით“, მწყურიელა რაღა იყო, ამაში მოსული მტერი გაუშვიათო.

ჩაჩაურს ერთი შვილი ჰყავდა. ისა და ერთიც სხვა მისი ტოლი ტანიეს ზვავმა დახოცა. ხალხს ძალიან ენანებოდა ორივეს მშობლები, განსაკუთრებით ჩაჩაური, რადგანაც შვილი უდედოდ ჰყავდა გაზრდილი. ერთი ამღიონი — ძიათ უთურგი შევიდა მიცვალებულის პატივსაცემად სახლში, დაიწყო „თვალვა“[1], მივიდა ჩაჩაურთან, წინ დაუდგა და გააგრძელა:

— ოი, ჩაჩაურო, რაღა გითხრა, შე ბეჩავო, შე საცოდავოო.

ჩაჩაურმა უთხრა — შენზე ბეჩავის დედაც! ჩემს მეტს არხოტში შვილი არავის მოჰკვდომიაო? დიაცი კი არა ვარ, რო ბზუკუნებ, კაცურად მითხარი და კაცურად დამინანეო.

* * *

სოფელი ბლო პირაქეთ ხევსურეთში არხვატის მთის ძირში მდებარეობს. ამ სოფელში გვარად გიგაურები ცხოვრობენ. ძალიან კარგი ხალხია, პურადები, ვაჟკაცები.

სოფლის გვერდზე კლდეთ სათავეზე ველებია და იქ სოფელი აბაბუხნაა. აქ ცხოვრობდნენ ძმები ჭრელა და გიგი. ძალიან პატივცემულები, მდიდრები, კეთილები.

[1] თვალვა, დათვლა — მიცვალებულისათვის სიტყვების თქმა.

გიგის ჰყავდა ერთი შვილი — ბერდია და ორი ქალი — ხორა და დედიკა. ჭრელას კი ორი — ვაჟი ბადა და ობოლა, ქალი — ქაცანე. ჭრელას ცოლი ორსულად იყო. ღამე მუცელი ასტკივდა. ქმარი აბა რას უშველიდა. თვითონ მოამზადა ბავშვისთვის შესახვევი, ჩასაცმელი, ჭიპის მოსაჭრელად მაკრატელი, ჭერში ჩამოსაბმელად საბელი. საბელს ჭერში ჩამოაბამდნენ, რომ მშობიარემ ხელი მოავლოს და თავიც მიაყრდნოს. ამ ქალმაც ასე გააკეთა. დაიბადა ბავშვი. ქალმა თოკს ხელები გაუშვა, მაგრამ ორმაგად ჩამობმულ თოკში თავი გაუძვრა, ალბ[illegible] გული შეუღონდა და დაიხრჩო.

ჭრელამ გარედან მიაკითხა, შიგ ვერ შევიდოდა. გაიგონა ბავშვი ტირის. დედის ხმა კი არ ისმის. დაუძახა ხმა არავინ გასცა.

შეიხედა საკვამიდან და დაინახა — ბავშვი ჩალაზე გდია, დედა კი თოკზე ჰკიდია. გამოასვენეს ქალი. ბავშვიც ცოცხალმკვდარი აიყვანეს.

ერთ დღეს ჭრელა ხნავს. ობოლაც სახნავზე წაიყვანა. დვალით[1] მოაწოვა, და ტყავში გახვეული მიაწვინა, თვითონ კი ხვნა განაგრძო. უცებ ბავშვის ტირილი მოესმა. დააკვირდა და დაინახა, რაღაცა მოძრავია ბავშვთან. გაიქცა და ხედავს — მაჩვი ობოლას ტყისაკენ მიათრევს, თან პირიდან სისხლი გადმოსდის.

— დაიცადე მაჩვო, ამას კი ვერ შეგაჭმევო და ჯოხით პირიდან გააგდებინა. ნახა — თითი მოეჭამა ბავშვისათვის.

გაიზარდა ობოლა. 1914 წლის ომში იბრძოდა და დაიკარგა. გავიდა 10 წელი. გადაუწყდათ იმედი და გადაწყვიტეს ხარჯების გადახდა. მოამზადეს ცხენ-დოღვი, ღაბახი, მოიწვიეს მოკეთეები და სოფელი. ცხენნი მოვიდნენ, ხარჯია. ამ დროს ყმაწვილებმა თქვეს — წყაროსთან ვიღაცა სალდათი ზისო. ალბათ მოხვეე ვინმეა, აქ მოიყვანეთო — უთხრეს უფროსებმა.

— წამოდი, საქნარი აქვთ და გეპატიჟებიანთო, უთხრეს სალდათს.

— ვისი საქნარი აქვთო, ჰკითხა უცნობმა.

— ჯარში დაკარგულის საქნარიაო. წამოიყვანეს.

— ვინა ხარ ან სადაურიო,. — ჰკითხეს.

— ობოლა ვარო.

ჭრელამ უთხრა, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, აბა ხელები მაჩვენეო.

---

[1] დვალი — საწოვარა.

აჩვენა ხელები და ჭრელას გონი წაუვიდა. მერე საქნარი საღმთოდ მოაქციეს.

ობოლა დღესაც ცოცხალია.

* * *

მთასიქით სოფელ გუროში ცხოვრობენ ულაკაურნი. ულაკაურთ კაცი მოუკლია მითხოვლებს (ჩაჩნებს). ამ კაცს დარჩენია ვაჟები — ხოლიგა და იდუა, ქალი — მზევინარი. დაზრდილან ეს ვაჟები და კარგები გამოსულან. ერთხელ თავის სოფლელებთან უშუღლიათ და იმათ შეუყვედრებიათ — მამა გყავთ უძებარიო, აქ რას შუღლობთო. ამდგარან „ჯარზეით“ და შინ წასულან. დედისთვის უკითხავთ — კაცო, ჩვენ მამა ხომ ნაძებნი გვყავს, რაღას-ვინ გვაყვედრებსო?

— ძმამ იძებნა, არ არის უძებარი. ალბათ თქვენი გულის დაღონება უნდათო — უთქვია დედას. — მითხოელ თქვენი აღარაფერი მართებთო.

იდუა პატარა ყოფილა. შიშნი (ბიძაშვილი) ჰყოლია აპარეკა და ხოლიგას იმისთვის უთქვამს — შენც გამოგვყევი, იდუა პატარა არის, მე რომ მომკლან, გზას ვერ გაიგებს, დაეწევიან და მოჰკლავენო. გაჰყოლია აპარეკა და საამაღლებოდ წასულან:

— ამაღლებას კი კაცთ სწორები დავსხდებით ჯარზეო.

ჩაუვლიათ შატილის ჭალა, მითხოში ს. ბოსოხს გაღმა შეუკრიათ გამოსავალი. ხიდის ახლოს „სახვევთ“ თავში ჩამსხდარან. სოფლიდან გამოსული პირველივე ქისტი მოუკლავთ. გასტეხიათ ხმა. ამათ ხიდი ჩაუგდიათ და ისე ჩამსხდარან სიყუჩში, რომ ზურგისმხრიდან არაფერი ეფარებოდათ. გამოქცეული მითხოვლები თავებს უქნევდნენ თურმე — დაგვაცადეთო! გუროვლები არ ელოდნენ, რომ ქისტები ალაღებულ წყალში შემოვიდოდნენ. დაიხადეს თურმე მათ შარვლები, და გამოვიდნენ. პირველად იდია მოკლეს. ხოლიგამ აპარეკას უთხრა: — წადი, შენ მაინც უამბე ჩვენი ამბავი დედას, სოფელში ხმა გატეხეო. ძმა დაუდვია სანგრად და მანამ ტყვია-წამალი ჰქონდა, უხოცია მითხოვლები. მერე ერთი ძმისთვის შეუწირია, ერთი თავისთვის, ერთი მამისთვის. მერე გადაუყრია თავისი და იდუას თოფები და დამჯდარა. მოსულან მითხოვლები, დაუჭრიათ ხელები და ორივენი წყალში გადაუყრიათ.

ეს იმათი დის ნატირალია:

მე არდოს დამიჯოცეს ძმანიო
იდუაი და ხოლიგაიო,
შორს გაიყოლნა არდოს წყალმაო,
მელ-კვერნან ითრევენ დოდოჩათაო[1].
ჩემს ძმას უთხარით ხოლიგასაო,
წამაედ, მამიტანენ თმანიო,
თქვენთან წყალს გამატანებულნიო,
მომწყინდა ქოჩორაობაიო,
რად დამსვით უთმო, უძმოთანაო.

მზევინარს თმები მოუჭრია და წყალში გადაუყრია, ხევსურეთშიც და ფშავშიც ძმის სიკვდილზე ქალები თმას იჭრიდნენ და აღარ გაიზრდიდნენ.

ესეც სიმღერა ამ ამბავზე:

ამაღლებასა დილასა სად მიდის მეკოპარია,
შატილის ჭალას უნახავ
სამის გუროვლის კვალია,
ხოლიგასა და იდუას
ძმათ ხქონდა საუბარია:
— ჩვენ ნაძებნი გვყავ მამაი,
რას გვაყვედრებდნენ სხვანია?
დაუაზრიდი დედაო,
იდუამ შაიბ ჯმალია.
მიუვლენ აპარეკასა:
— შინშო, გვიჭირე მჯარია,
ბოსოხ შაუკრეს სახვევი:
— გზა აქ ას ჩვენის მტრისაო,
გავიდა ახალგაზდაი,
ცეცხლი ახვიეს პირსაო.

ეხლა რასაც ვწერ, ეს მერე მიამბო ხთისომ, ლეგუას შვილმა: ხოლიგას ცოცხალს ამოსჭრეს გული და ქალებს სისხლიანს აჭმევდნენ ქისტები — მა-

1 დოდოჩა — ჩონჩხი

მაცის კაცის გულია, შეჭამეთ და მამაცი შვილები გაგიჩნდებათო.

სოფელ ამღაში ცხოვრობდნენ მზეკინარანი (ბერდიშვილთ მამისანი) — მარტიაის შვილნი: მინდია, ბათაკა და თომა. მინდია მონადირე იყო, მისვლა-მოსვლა ჰქონდა ღილღვლებთან. მიუხედავად მტრობისა და მოსისხლეობისა, თან იმათი რჯულიც მიიღო და იქაურად ლოცულობდა. ერთ შემოდგომას არხოტის ჭალისას მინდია მარტოკა წავიდა სანადიროდ. იქიდან შეეძლო მისულიყო ტერღას, ბისნას, ჩორეხს და ტანიეს (სანადირო ადგილებია). დახოცა ნადირი და საღამო ხანს ტერღიდან ამჟორიტეს ჩამოვიდა. ამჟორიტეში არხოტივნებს საზამთროდ სახლები ჰქონდათ, თივას იქ ამზადებდნენ, საქონელსაც კვებავდნენ და ორი-სამი თვე რჩებოდნენ. აქ დადგა მინდიაც. ჯერ დღე იყო და „კალმახაობა“ დაიწყო. დაიჭირა, შევიდა სახლში, ცეცხლი დაანთო, მიაყუდა სიპი და ზედ კალმახები უნდა შეწვას. ამ დროს შევიდნენ ქისტები. მინდია არ შეშინდა, მიიპატიჟა — დასხედით, აი ხვთის მოცემული ხორცი და კალმახიო.

ქისტებმა მადლობა გადაუხადეს, მაგრამ არ დასხდნენ. ერთს ალბერდი ერქვა, რომელსაც მამა ჰყავდა ამღიონთ მოკლული (ანდარუყო). კარგი კაცი არ იყო, თორემ საძებნი აღარაფერი იყო. დიდი მტრობა ჰქონდა მაინც ყველასთან — ჩემი მამა რატომ მოჰკალითო. ადრეც უხვდებოდა სხვებს.

ალბერდმა უთხრა მინდიას — ძაღლო, მე შენთან პურს არა ვჭამ, თოფი აიღე, რომ დიაცურად არ მოკვდეო.

— მე გაგათი ვარ, არ ვიტირებ და არ შეგეხვეწები, ძაღლი მამაშენისად იყოსო, უთხრა მინდიამ. გინდა რომ თავი ისახელო, ვითომ იარაღის ხმარების საშუალება მომეცი, მაჯობე და დიაცივით არა მკლავო. მე უიარაღო ვარ, ან გარეთ უნდა მოგეკალი, ან მომპარებოდი და თოფი საკვამიდან დაგეკრა, მე ხომ სტუმრად მიგიღე ძაღლოო. ალბერდს თოფი შემოყენებული ჰქონდა და დაჰკრა. დაჰკრა მეორემაც. დაგრიხეს წნელი, შეაბეს წელზე, დიდ კლდეს მიაბეს და წყალში ჩაუშვეს. გაქრა კაცი. მთელმა არხვატმა ძებნა მინდია. ხევსურებმაც, მოკეთეებმაც, მაგრამ უშედეგოდ. წყალმა რომ იკლო, მგლებმა გამოათრიეს ხმელეთზე გამოხრული და ხელ-ფეხ დაგლეჯილი.

ბევრი ძებნის შემდეგ მიაკვლიეს მკვლელებს. მათ თვითონ იამბეს როგორც იყო.

* * *

არხვატს ადგილები სოფლებიდან საკმაოდ შორსაცა აქვს. ერთი ასეთი მხარეა ტანიე. ის ჯერ ღილღველთა ყოფილა. აქ საზამთრო სახლები ჰქონიათ, უკვებიათ ცხვარ-ძროხა. ქისტებს თურმე არხოტივნები არ უსვენებდნენ. დიდი საჩივრის შემდეგ ნაწილი ხადუვლებს, ხოლო ნაწილი არხოტივნებს დარჩენიათ. როცა არხოტივნები მთლიანად ვერ ეპატრონებოდნენ, ძალიან ძნელი იყო ტანიეს ცხოვრება. ერთი ამღიონი გიორგა, მდიდარი კაცი, ცხვარ-ძროხის პატრონი ტანიეს ჩავიდა ზამთარში ცხვარი რომ გამოეკვება. ღილღველთ სთხოვა — ნურაფერს დამიშავებთო და ხარი დაუკლა. ქისტები დათანხმდნენ — შიში ნუ გექნება, ჩვენს ახალგაზრდებს გავაფრთხილებთ და დავიჭერთ. დარჩი აქ და ცხვარი გაკვებეო.

როცა ხარის ხორცს ჭამდნენ, გიორგას ერთმა ღილღველმა უთხრა — შენ გგონია ხარი რომ დაუკალი, საშიში აღარაფერი გაქვს? მანამ შენი ხარის ხორცი პირში აქვთ და ყელს არ ჩასცილებია, ნუ გეშინიან. ყელს ჩასცილდება თუ არა, მაშინვე დაავიწყდებათ პირობაო.

მართლაც გიორგა იმავე ზამთარს მოკლეს, ცეცხლი შეაყარეს ქოხს და ცხვარი და კაცი ერთად გამოწვეს.

* * *

ერთი ამღელი ბერდიშვილთ მამის კაცი ისე გაამაყებულა, რომ კაცს ბუზად არ აგდებდა. მოვიდოდა თურმე ამღიდან ახიელში, დადგებოდა სოფლის ბოლოში და სამ სოფელს: ახიელას, ჭიმღას და კვირიწმიდას იქიდან დაუძახებდა: — ხვალ მუშანი მყვან. თუ ვინმე მოგვეშველებით, წამოდით, თუ არა ჩემს ამას და ამასო.

ერთხელ ჭიმღას მკვდრის ხარჯები ჰქონიათ თეთრაულებს. ასეთ დღეს მოკეთეებიც და სხვა ხალხიც ყველანი მივლენ და თან არაყს მიიტანენ. ახიელელებიც და ამღივნებიც იქ ყოფილან. ჩაჩაურიც (ასე ერქვა იმ კაცს) იქ არის. იქ ყოფილა ახიელიდან ოჩიაურთ ბადაის შვილი მინდია. ძალიან სწრაფი და იარაღის მარჯვედ მხმარებელი.

ჩაჩაურს ხალხისათვის ანგარიში არ გაუწევია და ჭერხოში ლუდიან კოდებთან მოსასაქმებლად დამდგარა. ხმა არავის ამოუღია. მინდიას ვერ მოუთმენია და რა წამს ჩაჩაურს ტანსაცმელი გაუსწორებია, მისთვის დაშნა და-

უკრავს — ემაგ ფაშვს წინ დაგიცლიო. ამაზე ამღივნებსა და ოჩიაურებს შორის დიდი ჩხუბი მომხდარა. ამღივნები წამოსულან და ოჩიაურებისთვის გზა შეუკრავთ. შინ მიმავალი ოჩიაურები ჩასაფრებულებს გადაჰყრიან და დიდი შუღლი მომხდარა. იარაღის ქნევითა და ჩხუბით ჭალაში ჩაცვივნილან.

მერე თურმე იტყოდა ბატარათ მანგია — ვიდრე ჭიმღიდან მეშველები, მივიდოდით, ერთმანეთი ჩაეკაფათო.

როგორც იყო, გაუყრიათ მოშუღლარნი. მინდია ადრე მისულა სახლში, აუღია არაყიანი ჭურჭელი (დოქი) და ამღივნებს სოფლის ბოლოში ჩაჰგებებია, სადაც მათ უნდა გაევლოთ. ხიდის-ყურთან შეხვედრია. გადახვევიან სისხლიანები ერთმანეთს, დაულევიათ არაყი და ძმებად გაყრილან.

მინდიას ძმა მამუკა იმ დროს სანადიროდ ყოფილა. შინ მოსულს მძიმედ დაჭრილი ძმა რომ უნახავს, ძალიან გაბრაზებულა, — ჩაჩაურსა და სხვა ამღივნებს ამას არ შევარჩენო.

მინდიას უთქვამს — კაცო, ისეებიც ნაჭრევიანებია, იმათაც სჭირს, შენი აღარაფერი მართებთ, დაჯექი, თორემ არაფერს მოგცემენო.

მამუკას არ დაუშლია, აუსხია იარაღი და ამღისკენ გაქცეულა. დაბრუნებულისთვის მინდიას უკითხავს — რა ჰქენიო?

— ვერაფერი. ვეძახე, ვლანძღენ, ვაგინენ და გარეთ არავინ გამოვიდაო..

— ქვითკირშიაც ეძახეო?

— არაო.

— ჰო, თუ იქ დაგეძახა, მალე გაიგონებდი რკინის ქარქაშთ ჟღრიალსო, უთქვია მინდიას.

* * *

ბლოელი ხევსური — ბიტურათ ნათელისძე თვალ-ტანადი, გულადი, იარაღში სწრაფი, ძალიან გაამაყებული იყო. ერთხელ იგი არხოტში, სოფელ ამღას არაყით მოვიდა მოკეთეებთან. როდესაც შინისაკენ მიემართებოდა, როგორც წესია, ამღივნები საბეკურის-კარამდე გადაჰყვნენ, არაყით გააცილეს. გამცილებლებში ჩინგლათ თოთაის შვილი მარაისძეც ერია. სტუმარი მთვრალი იყო და წარამარაობა დაიწყო: ამოსწევდა ხანჯალს ქარქაშიდან, უკანვე ჩაატყრაშუნებდა და იტყოდა: ბიტურაის გაპირნაწყლულიაო

(გაპირნაწყლული — თავგასული, არაფრის არაფრად ჩამგდები. უპატიური გამოთქმაა).

მასპინძელი სტუმრის, ხოლო სხვები მასპინძლის ხათრით ვერაფერს ეუბნებოდნენ. მარაისძე ძალიან ფიცხი ახალგაზრდა იყო, მაგრამ მასპინძლისა დიდი მორიდება ჰქონდა და ითმენდა.

მასპინძელმა ნათელისძეს კიდევ მიართვა ყანწი. მანაც ისევ ჩაატყრაშუნა ხანჯალი და იგივე სიტყვები თქვა. აქ კი გაწყდა მოთმინების ბაწარი, მოისვა მარაისძემ ხანჯალზე ხელი, დაჰკრა ცხვირზე და უთხრა: აი, წარახუაო, ესეც მარაისძის გაპირნაწყლული ხანჯალიო.

* * *

სოფელ ოხერხევში ბევრი ვაჟკაცი გაზრდილა. იქაური, ძალიან კარგი ახალგაზრდა, თვალ-ტანადი, ყველაფრით გამორჩეული, მძიმედ დაჭრეს და ვეღარაფერს შველოდნენ. საცოლე ჰყავდა, სახილოელი ქალი თიურა (სულ ხან ქეთელაურის მამიდა). ეს ქალი არცკი იყო საქმროს სახლში ნამყოფი, ისე იცნობდნენ ერთმანეთს. რაკი მიხა (ასე ერქვა) კვდებოდა, თიურაც წაიყვანეს. იგი მოკრძალებით უგლიდა ავადმყოფს. მიხამ უთხრა თურმე: — ქალო, ეს ტაგრუცი მე თორელთ დედიკას გავუკეთე, იმან წაიღოს. მომწონდა, თავკვირებულია და არ დამივიწყებს. შენ ბეჭედს მოგცემ. როცა ჩემი ნაჩუქარი ბეჭედი აღარ გიხდებოდეს, ჩემ თავს შენს თვალში სხვა დაეფაროს, მაშინ ეს ბეჭედი მოიტანე და შენი ხელით ჩემთან, ჩემი საფლავის მიწაში ჩამარხეო. სხვა ვალი არაფერი მაქვსო.

როცა გარდაიცვალა, თიურა ვერ იტირებდა, — ქმარზე ტირილი სირცხვილია. დედამთილისთვის უთქვამს, როცა მოკვდები, მეც აქ დამმარხეთო.

— შენ თავს აქ არავინ დაგვამარხვინებს, ვინ იცის, ქარი საით გაგიტაცებსო, — ყურადღება არ მიუქცევია მისი ნათქვამისთვის დედამთილს. შესულა მკვდართან თიურა, მოუჭრია თმები, ნაწილი ხელში მიუცია მიცვალებულისთვის, ნაწილი გულზე დაუფენია და მისი თოფი დაუკრია. დედამთილი რომ შევარდნილა, კიდევ ცოცხალი ყოფილა:

— ვერ მომერია დედამთილო, ქარიო, — ამისი თქმა მოუსწრია.

მაშინ იქ ყოფილა მჭედელი თოთია. ის ამბობდა: — ორივენი გვერდიგ-

ვერდ იწვნენ, ვერცხლით მორთულები, ეგეთი შემზარავი სილამაზე არსად მინახიაო.

* * *

ხევსურეთში ანდრეზად არ მოდის, რომ დიაცი რჯულის კაცებში ჩაჯდეს და მტრები შეარიგოს. ერთი ბერდიშვილთ ქალი — ჩაჩაურთ ნათელა ძალიან მცოდნე ყოფილა. კაცებივით სცოდნია ხევსურეთის რჯული.

რჯულია თურმე და მცოდნეები სჭირდებათ. ნათელას უთხრეს — შენც ჩაჯექი რჯულის კაცებში, ხნიერიც ხარ და მაცოდარიცო (მცოდნეცო).

ჩაჯდა ნათელა რჯულში. ნახა ეს ხევსურმა და თქვა — მანდილოსანს რა ესაქმის რჯულის კაცებში, ქუდიანი და უქუდო რამ გაასწორაო.

ადგა ნათელა რჯულიდან და უთხრა — ქუდიც არის და ქუდიც. შენი ქუდი შაური არა ღირს, ჩემი მანდილი კი სამ ცხვრად ფასობსო.

* * *

სხვა მხრისა თუ სოფლის მცხოვრები თუ ქვეითი არ არის, სოფლის პირში ცხენიდან ჩამოხტება და სოფელში ისე, უხმაუროდ შევა. მას გამარჯვებას კაცები, ხოლო ქალები მშვიდობას ეუბნებიან. თუ სოფელში ცხენით შევიდა კი შუღლი არ ასცდება. სხვის სოფელში ცხენით შესვლა მხოლოდ თავის გვარისას შეუძლია. მამის სოფელში გასათხოვარი ქალიც შევა ცხენზე ნაჯდომი, დიაცი კი არა.

ერთხელ ბალიაურები, ძმები — გიორგი, თათია და ქორი, ჯუთაში ცხენებით შევიდნენ. ეს იწყინეს ჯუთლებმა და კინაღამ დახოცეს. ქორი ძალიან ღონიერი იყო და ბევრი დაეხვივნენ. ხან ძირს და ხან ზემოთ! თათიამ ორ კაცს წვერი დააგლიჯა, ზოგს მუცელში წიხლი ჰკრა, ზოგს ცხვირში მჯიღი. მარდი იყო და ვერ წააქციეს. მღვდელი (გიორგი) თურმე ხიდის კუროსთან შეათრიეს და ცემა დაუპირეს. ერთ-ერთმა მისი თმისაკენ წაიღო ხელი, მაგრამ გაჩერდა და უთხრა: — ე თმანი, დიაცისანი! შენთან შუღლი როგორ ვიკადროო. მეორემ დაუძახა:

— დაჰკარი, ბალიაურთ გაგაის შვილია, არ არის დიაციო.

მღვდელს გაეცინა — შუღლი ჩემი საქმე არ არის, აგერ ქორი და თათია არიან, იმათთან იშუღლეთო. ხელი არ აღმართა და ვერ აკადრეს ცემა.

* * *

ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, თავისი კანონები შემოიტანეს, მაგრამ ხევსურები ყურს არ უგდებდნენ არც ხელისუფლების მიერ დანიშნულ აქაურებს და არც მოსულებს. თუ გაიგებდნენ რომელიმე ხევსურზე — ბოლშევიკების „შპიონიაო“, ისინი, ვისი გვარისაც ბოლშევიკების საწინააღმდეგო რამე ჰქონდა ჩადენილი (აკრძალულ იარაღს ატარებდა, ან ბოლშევიკი ჰყავდა მოკლული), კაცს მიუგზავნიდნენ „შპიონის“ გვარს:

— თუ ჩვენ თქვენი ენით რამე მოგვივიდა, თავს არ აგაცილებთო.[1]

ხიტალიონ ხელმოკლიათ მამუკაის ქალმა მზექალიკამ, რომელიც არხოტში, ამღას იყო გათხოვილი, ერთხელ სმა იყო და ხალხს შეჰფიცა: — ჩემის ხთისოს მზემ, ჩემმა ძმამ ხთისომ საკუთარი „ბალშენიკი“ მოკლა ღულის ჭალაზეო. გუდანელმა ხოსროთ წიქამ დახოცა კომუნისტები. ამაზე არხოტში სამასხარაოდ გაალექსეს წიქა, ვითომ თიკნები დაეხოცოს და საცინლად მღეროდნენ:

წიქას ენახა სიზმარი
— ფულის ტყავ მეცვა ტანზედა.
ციცა ჩაგაკვდას წიქაო,
მამკვდარო ატრატაზედა (ვითომ ქაღალდის ფულზე)
დახჯოცე ბოლშევიკები,
ცოდო დაიდევ თავზედა.

ხუთი, საქადაგებლად მოსული კომუნისტი ახოს მოკლეს. აიშალნენ ხევსურნი და რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ. ქალებმაც კი აიღეს იარაღი და თოფის სროლას სწავლობდნენ.

შეიყრებოდნენ ჯვარში დღეობის დროს. დასვამდნენ ქადაგს და ისიც იძახდა. როშკის ხელოსანი (ხევისბერი) კიბალაურთ ბეწინტური ქადაგობდა: — დიდგორის ჯვარი ამბობს: ისევ ბაგრატიონი უნდა იყოს მეფეო. ჰვლიმათ მინდიაც ბაგრატიონების დაბრუნებას ამბობდა — კიდევ არის ნაპერწკალიო. გუდანის ქადაგები კი ამბობდნენ — ღვთისგან არიან, ჩვენ ღვთიშვილთ მორიგე ღმერთისაგან ჯერ ნება არა გვაქვს, ყმათ რამე გავაგებინოთო.

1. თავის დადება — მკვლელობაში დადანაშაულება. ითვალისწინებს სისხლის აღებას.

* * *

სოფელ ამღაში ორი ძმა ბეწინიკაის შვილნი კაგა და ბეწიკა და სამი ქალი — ქალია, სანდუა და მინდა ობლები დაზარდა დედამ, — ვეფხვიაის ქალმა თარუამ. თარუა კარგიც იყო და ავიც (არავისთვის არაფრის შემრჩენი).

ბეწიკა და კაგა არხოტის ჭალას „ბუნაგობად“ წასულან (ბუნაგი — ხის კასრები). იმ დღეებში ჭალას სხვებიც ყოფილან. თურმე ქისტების მზირია ჩამსხდარი და ელოდებიან ბოლოს მომდინრებს.ყველაზე გვიან ეს ორი ძმა და ერთი ჯაბუშანურთა — ახალაის შვილი უშიშა დარჩენილან. უშიშამ ისე გამოიარა თურმე, რომ ვერ „დასწონეს“ (გაბედეს) — ამას ვერას დავასწროთ და მშვიდობით გამოსცდა. ძმებმა კი დაღლილებმა დაუდევრად გამოიარეს. არც იყვნენ არხვატში გაზრდილები, მათი მშობლები ერწოდან ყოფილან მოსულები და ბრიყვად (გაუფრთხილებლად) იქცეოდნენთურმე. აი, ესენი დახოცეს ქისტებმა.

ბერდიშვილებს ეჭვი პირველად სხვა გვარზე ჰქონიათ. სცოდნიათ, რომ მკვლელები ნეთხელნი იყვნენ, მაგრამ რომელი გვარისა — ხარსიანი თუ ციციკანი, — ვერ გაუგიათ. ხარსიათ დაუფიციათ — ჩვენ არა ვართ მკვლელები. ვეფხვიათ თარუას უთქვამს — (დედას) — მე წავალ ნეთხას და აქ მოვიტყუებ, ვეტყვი: საფლავზე „შაკედით“ (შედექით) და დაიფიცეთო[1].

წასულა თარუა, ეს ხნიერი ქალი, მარტოკა. მიხსულა ნეთხას ციციკათას და უთქვია — აქ იმიტომ მოვედი, რომ ხარსიანი თქვენ გაბრალებენთ ჩემი შვილების დახოცვას. მე კი ვიცი, რომ კაგას და ბეწინას თოფს არ ესროდით. თქვენი ცოდვა არ მინდა ჩემს შვილებს მოვახვიო და მათი სული ცოდვით შევაწუხო. რაკი მართლები ხართ, წამოდით არხოტში, შედექით საფლავზე, ცოდვა მოიკიდეთ სამ სხვადასხვა საფლავზე და ჩემი შვილების საფლავზედაც, თორემ ბერდიშვილები არ გაგიშობენთ, მე კი ცოდვას ვერიდებიო.

შეყრილან გვარის უფროსები და დაფიცება გადაუწყვეტიათ.

შემდეგში თარუა ამბობდა თურმე — ჩემი შვილის „ჯღანნი“

---

1. საფლავზე შეხდომით დაფიცებას სხვა წესი აქვს. დამფიცავი საფლავზე შედგება უიარაღო: იქვე უნდა იყოს დამფიცებელიც. მოისმინოს და დაინახოს რას იტყვის და მოიმოქმედებს ფიცის დროს. შუამავლები შეამოწმებენ ორივე მხარეს, რომ იარაღი არ ჰქონდეთ დამალული. დამფიცებელს ყური უნდა გაუკაწრონ და საფლავზე სისხლი დაეწვეთოს. ასეთი ფიცი მტკიცეა.

(ძირგაბანდული ტყავის ფეხსაცმელი) ერთ-ერთ მკვლელს ფეხებზე ეცვნეს და მეუბნებოდა — თარუა დედავ, ჩვენ მართლები ვართ და დავიფიცავთო. წამოიყვანა თარუამ ქისტები. მოსულან ახიელში. ამღივნებიც (სასაფლაო ახიელში აქვს ყველა არხოტიონს) კაგაისა და ბეწიკაის ახლობლები და სხვებიც. საფლავზე შედგომამდე წესით — იარაღს შეხსნიან ქისტები ხევსურებს, ხევსურები ქისტებს. ამღივნებს — აბაისძეს და ქორიას ხანჯლები დაუმალიათ. როცა საფლავზე შემდგარან და ყურზე ეკალი უნდა გამოჰკრან, წახრილან (სისხლის წვეთები საფლავზე უნდა დავარდეს) და ამ დროს ამღივნებს „ჭელ გაუსომ ხანჯრებისად“ და დაუხოციან. ერთი აბაისძეს ჩაუქცევია საფლავზე, ერთი გამოქცეულა. ქორია დასწევია და არხოტის ჯვარის გალავანთან უკრია ხანჯალი.

შენმა პაპამ იცოდა მოყოლა: — ერთი ბებერი ქისტი იყო იმათი ახლობელი და ის ტიროდა — ვაიი ბადი, ვაიი ჩოფოო!

კარგახნის შემდეგ თარუა ჭალას ყოფილა და „ჩირახი“ (კვარი) თურმე მოაქვს. გაიხედა და მტრების გვარის ქისტები, მონადირეები მოდიან. თარუა ამბობდა, გზას არ მოვერიდე, კლდეს მივადექი, თუ დამხანჯლეს, ქვემოთ ჩავქანდები, პირქვე დავეცემი და ისე მოვკვდები. გულაღმა გადაქცევა მეუკადრისებოდაო. გამოიარეს და ისე გამცდნენ, ჩემსკენ არ მოუხედიათო.

* * *

სოფელ ახიელს ლაშქარი დასცემია და ვერაფერი წაუღიათ.

ქადაგობს გაიდაური — ბძანებს გუდანის ჯვარია:
საათენგენოდ გამიძღვან სამის ბატონის ყმანია,
სამი ამიბან დროშაი, სამი შაბან ზარია,
ახიელის ძირს ჩავიდან, ატირან ქალი, ზალია.
გაბეგრან არხოტივნები, კვამლზე აოღან ცხვარია.
გაიგა არხოტი ჯვარმა, წელზე შაირტყა ჯმალია,
— მე სხვაკნით ამაქვ ბეგარი, დამპალო, სად მიხვალია!

შეყრილა ლაშქარი: გუდანელნი, ბაცალიგველნი და ზეისტეჩოელნი. გამოსძღოლია გაიდაური. კვირიწმიდას რომ მოსულან, შუქიაური ციხეში შესულა და იქიდან ჩამოუძახნია: — ახიელას გაიარეთ, სადილს ისინი გაჭმე-

ვენთ, სამხრად კი მე გეყოფითო.

ლაშქარი რო დასცემია, ახიელები ზოგი ბაკათ ქვითკირში შესულა, ზოგი ქავთართ ქვითკირში, ზოგი ზენ-უბან ციხეში. ლაშქარს გორისას (ადგილის სახელია) გადმოუვლია და ციხეს შემოხვევიან. ზოგიერთები სახლებში შესულან. გუდანელი ხევსური — თამარისძე ერთ სახლში შევარდნილა. სახლის პატრონს მოხარშული ფაფა დარჩენოდა. გამოვარდა გარეთ და ციხეში ასძახა — ძმობილო, შენ სახლში ფაფიანი ბაკანი დაგრჩომია, ფაფა ამოვჭამე ყვერფში (კერაში) კი გაგიკეთე; როცა ჩამოხვალ, მაშინ დაწმინდეო. ციხიდან ძუნძულთ კაცმა დაუძახა:

— ძმობილო, ვერ გავიგონე რას მეძახი, ცოტა აქეთ წამოდექიო. ეს ხევსური ჩარდახის ჩამოსწვრივ დამდგარა და იგივე სიტყვები აუძახნია. „ჩამოუჯდია“ ბურა (თოფის სახელია) და თამარისძე გაგორებულა.

დაშინებულან ხევსურები — აქ რა გვინდოდა, ესენი სულ ამოგვწყვეტენო. გაიდაურს უთქვია, — დავბრუნდეთ, ოღონდ სოფლიდან როგორ გავიდეთო? ერთი ხევსურის ქალი, სახელად აგუნდა, არხოტში ყოფილა გათხოვილი. ის მოუყვანიათ.

— რომელზე გადავიაროთ გორის იქითო, — უკითხიათ მისთვის.

— ეხლა მონადირეები არ არიან შინ, თორემ ეგრე შექუჩებულები ვერ იქნებოდით, ჩქარა გაეცალეთ აქაურობასო.

— მე ამიკიდეთ ზურგზე თითო-თითომ და ისე გადადით სამშვიდობოსო. მოიკიდებდნენ აგუნდას და გორის იქით გადადიოდნენ. გაიდაურს თურმე დროშაც მხარზე ედო და ისე გადაავლია აგუნდა, ამაზე კაფია იყო — „გადადის არაბულები, აგუნდის დანერბულები“. წავიდა ლაშქარი. ერთი ახიელელი ამ დროს დაბრუნდა ნადირობიდან. ნახა განადგურებულია ყანა, სათიბი, ბან-კარი. გაიქცა ძუნძულთ საჩალიაისას და ხედავს, ერთი ხევსური სამარეთ გვერდზე შიდის. ესროლა და მოკლა.

დაგროვდა ლაშქარი მალოზანას (ადგილია).

— რა ვქნათ, ახლა შუქიაური არ გაგვიშვებსო.

წასულა ლაშქარი, ზედველაის რუვი აუვლია და ქვიშას გადასულან.

ერთი ჯარათ ქალი ბაცალიგოს ყოფილა გათხოვილი. თურმე დილას, მზე რომ მოვიდა, მამამთილმა უთხრა — გახედე ზალო (რძალო) საარხვატოზე

არავინ „გადმოჭდაო“ (გადმოვიდაო), ლაშქრის დაბრუნების დრო არისო.

— არავინ ჩანსო. კიდევ უთხრა — გახედეო. გახედა ზალმა და — მოდიანო. — ჭერემაები (ჭრელი ძროხები) არ მოუდისთო? — ჭერემაები კი არ მოუდის, მკვდრები მოაქვთ საკაციოთო.

ერთი გუდანელი იყო მოკლული, ერთი ბაცალიგველი. მეორე დღეს ტირიან ნათელისძეს. ეს ჯარათ ქალი არ მივიდა სატირლად, ქმარმა ჰკითხა — სატირლად რატომ არ მიდიხარო (ხმით მოტირალი იყო).

— იმიტომ, რომ ცუდი რამე მეთქმევაო.

— რაც გინდა, თქვი, მე ვიცი, ნუ გეშინიანო.

მივიდა ეს ქალი და დაიტირა. ამ კაცს თამარისძე ერქვა და ვითომ შეცდომით თამარულაობით (ქალის სახელია) „იძახა“

თამარულაო მახვედაეო?
არხოტ ახიელ იყავაეო?
ახიელლები შინ იყვაეო?
ციხეში ვაჟებ არ ისხდაეო?
ბურა არ გამადიოდაეო?
ტყვიის სკამები არ ესხაეო?
წამალ ვარცლებიდ არ ედგაეო?
წყლით სავსე კოდებ არ ედგაეო?
ჩარდახით არ ჩამაგკივლესთაო?
აბა არხოტა რა გინდოდაო,
არხოტივნები რას მაგცემდესო,
რა-ვის წაუღავ ჭირის მეტიო,
რაი აქვ მტრისად მისაცემიო.

სიმღერეც არის ამაზე:

შავხენე კვირიწმიდასა,
ყროლანი გამადიანა,
აქა ნუ მაზდით ყროლანო,
გულთ სისხლნი გადაგვდიანა.

არ დაიშალეს ყროლათა,
სოფლადავ შამოდიანა.
ციხით დასჭეხნა ბურამა
ყაწიმნი ლამში ხყრიანა.
ამადეგ, თამარისძეო,
ლულუან გელევიანა.

* * *

ოჩიაურებს ქისტის დიაცმა შემოუთვალა: რომ იმუქრებით და იკვეხნით: დღისით, მზისით სოფელ ჩხორეგოში შევალთ, მტერს თავის კარებზე მოვკლავთ, ჩვენ კი ცოცხლები წამოვალთო, აბა, ვინძლო შვილი ჰაატა ლოგინში მომიკლათ და ქვიტკირის ბიანიდან სალუდე ქვაბი გადმომიგდოთო.

ოჩიაურებმა იწყინეს: დიაცი დაგვცინის და ჩვენ პურსა ვჭამთ, რად გვინდა სიცოცხლე, თუ სხვის დასაცინად მზეზე დავდივართო. წავიდნენ სამნი: თათარა, მამუკა და მინდია. თათარა დაბალი იყო, გულოვანი და მარდი. ისეთი სწრაფი, რომ შულლში იშვიათად ვინმე დაჰკრავდა.

სანამ ჩხორეგოს, სოფელში მივიდოდნენ, ცხვრის მწყემსი შეხვდათ და ჰკითხეს — ჰაატას სახლი რომელია, ძმობილია და სტუმრად მივდივართო.

დაღამდა და ოჩიაურებიც შევიდნენ სოფელში. ჰაატას ქვიტკირის ახლო დასხდნენ და იქიდან ზვერავენ ვინ სად იძინებს, ან ქვიტკირში შესვლა და გამოსვლა საიდან უფრო მოსახერხებელია. როცა სოფელი მიწყნარდა, მზირნი კალოში შევიდნენ. ნახეს ტახტში სძინავს კაცს. თათარამ დასცა ხანჯალი, მაგრამ გვერდზე მოუვიდა. ქისტი წამოხტა და ქვიტკირისაკენ გაიქცა. ისევ თათარა გამოუდგა და ზურგზე შეახტა. ქისტმა მოხვია ხელები თათარას, მაგრად მიიკრა და უთხრა — ძაღლო, ძაღლთან დაგკლავო. ეს ქისტი უზარმაზარი იყო და თათარა ფოთოლივით გაიტაცა ქვიტკირის კარისაკენ. თათარამ დაიძახა — სადა ხართ, ვერა ხედავთ, შინ მივჰყევარო. ძლივს გაერკვნენ მამუკა და მინდია რომ ქისტი თათარას არ უშვებდა. კიბის ძირში მიასწვრეს და დახანჯლეს. თურმე თათარაიანად წაიქცა. ხმა არ ამოუღია, არავისთვის დაუძახნია, ისეთი მაგარი ვაჟკაცი ყოფილიყოო.

ახლა თათარა ვეღარ გააჩერეს — სალუდე ქვაბიც უნდა გადმოვაგდოო.

ავიდა ქვიტკირის ბანზე და ჯადმოაგორა. ქვაბი ისეთი ხმაურით დაგორდა, ძაღლებმა ყეფა ასტეხეს, გაიღვიძა ხალხმა, ატყდა სტვენა, კივილი, სირბილი, — რა ამბავიაო. ოჩიაურები ტყეს მოხვდნენ. ისეთი ავდარი დაატყდათ, რომ ვერ გაიგეს საით მიდიოდნენ. გათენდა და ნახეს, რომ ახლოსვე მისულიყვნენ. ხატს აბრალებდნენ — გვიშველა რაღაცამ, რომ ცოცხლები გადავრჩით და მშვიდობით გამოვაღწიეთ იქიდანო.

* * *

კალოთანაში ძალიან მამაცი ვაჟკაცები იზრდებოდნენ, ძმები გიორგი და კვირიკა ქიბიშაურები გიორგათ[1] დისწულები იყვნენ (ჩემი შინშები).

ეს ამბავი ჩემ გაჩენამდე მომხდარა. ქისტები და კალოთანლები ერთმანეთთან კარგად ვერ იყვნენ.კალოთანის მთაში ცხვარი ედგა ფშავლებს — უძილაურებს, ხიწვა და ჯლუგა ჩორხაულებს. კვირიკა და გიორგი მათთან მეგობრობდნენ და მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ცხვარში. ქისტებიც მიდმოდიოდნენ ფშავლებთან და, როგორც ჩანს, ცხვრის გარეკას აპირებდნენ. ეს ფშავლებმაც იცოდნენ და ხირსილათაც (გიორგის და კვირიკას კრავლიანათაც ეძახოდნენ — კრაველივით ხუჭუჭა თმის გამო. ისე კი, მამიშვილობით ხირსილანი იყვნენ). ერთ ღამეს შათ ბინაზე ქისტები მივიდნენ. გიორგი და კვირიკაც იქ იყვნენ. ქისტს ერთს ანადარუყო ერქვა, ორ სხვას ბუხნო და ასმათი: ჭამეს. დაწვნენ ქისტებიც დასაძინებლად. დანარჩენები კი ფარეხიდან გავიდნენ ცხვრის ფარების მოსავლელად.

გიორგიმ უთხრა ფშავლებს: ეს ღილღვლები ხშირად მოდიან ამ ბინაში. გვზვერავენ. მოკლე ხანში ბევრნი მოვლენ და ცხვარს გარეკავენ, ჩვენ რა ვქნათო. ჯლუგამ უთხრა: — მაგეებს ბოლო უნდა მოვუღოთო. გიორგიც მიემხრო. ხიწვამ კი იუარა — რად გვინდა მაგათი დახოცვაო. გიორგიმ იწყინა, მე

ხიწვამ უთხრა: — რად იწყინე, მე თუ უარს ვამბობ, მე ჩემ ფშავში წავალ, მტერი კი შენ დაგრჩებაო.

შემობრუნდნენ და დახოცეს. დახოცილები შორს, აღმართზე აიტანეს და შორი-შორს ჩამარხეს, ნათხარი რომ შესამჩნევი არ ყოფილიყო.

[1] გიორგანი — წიკლაურთა გვარის ერთ-ერთი „მამიშვილობა“ სოფ. ამღაში.

დაიწყეს ღილღვლებმა ძიება. მოვიდნენ ქისტები, მათი და არხვატის მამასახლისები და გამოტეხეს მკვლელები. საფლავების საძებნელად გააყოლეს ნისლაურთ ხირჩლა. გზაში მტრებს და მთავრობას პირდაპირ შემოხვდათ ხევსურეთიდან მომავალი მკვლელი, კვირიკა, რომელმაც გამარჯვება უთხრა და გაიარა. ზოგებმა იცნეს, მაგრამ უცებ გონს ვერ მოვიდნენ. როცა მიხვდნენ, ქისტები შეჯგუფდნენ და უნდა დაწიონ. ხირჩლა ჩაჯდა და უთხრა, — რას მიპირებთ, ჩემი მოკვლა გინდათ არაო? აბა სცადეთ და როგორ გაიმარჯვებთ იმასაც ვნახავთო. ქისტებიც უყვიროდნენ: შენ კი არა, ის ვინ იყო რომ გაიარა, იმას მოვკლავთო. ხირჩლამ ხანჯალი ამოაგო, — აბაე რაზე მკლავთ, თქვით და გამოდით, რომელიც უფრო საიმედო ხართო. გაგრძელდა საუბარი და ამასობაში კვირიკა სამშვიდობოს გავიდა. ხირჩლა ველარ დაამშვიდეს და ისე კარგად გამოუდიოდა, რომ ქისტები გაკვირვებულები იყვნენ — რად ჰგონია, რომ მას მოვკლავთო. როგორც იქნა, ვითომ დამშვიდდა. მიიყვანა საფლავებთან ქისტები. მათ ამოთხარეს მიცვალებულები და წაიღეს. ამაზე ლექსიც უთხრეს:

ეგეთა ვერავის უცდავ
მანდ რო კრაველან ცდიანო,
ოხშამთ წინ, ოხშამთ უკენა
საბაკეს სისხლით სვრიანო,
რაი შჭირს ანდარუყოსა,
ლაშ-ყბან რო გვერდზე ღბიანო?
ჯლუგამა, ფშავლის გაზდილმა
მაუზერ ჩაუზრიალო...

ამ მკვლელობის შემდეგ კალოთანა სულ დაიცალა. ხალხი აიყარა. ადგილი ამღივნებმა იყიდეს. კალოთანელთ მტერიც ადგილის მყიდველებს დარჩათ. ამღივნები არ ეპოებოდნენ ღილღვლებს და დავა ჰქონდათ ცხადად და ფარულადაც.

ერთ-ერთი მყიდველი იყო ამღიონი ბეწინა, ახვაის შვილი, გიორგათ მამისა. მას ებრძოდნენ ნეთხელები — დიდი გვარი, მგონი მარსანი თუ მარსაგანი. პირადად ანდარუყოს შვილიშვილი ოსი ფარეშაისშვილი. ოსიმ ბეწი-

ნას პირში უთხრა — კალოთანას თავი დაანებე, შენ პირადად მკვლელის მამულს პატრონობ და მე ამას არ შეგარჩენო: ბეწინამ ცუდი სიტყვა უთხრა — ესენია შენნიო. ოსიმ თავი ჩაიქნია და წავიდა. ნეთხელთ კარგად იცოდნენ არხოტივნების სათიბ-სახნავები სად რა იყო, როდის ვინ თიბდა ან ხვნა როდის იწყებოდა. არხოტს ეკუთვნის ტანიე, რომელსაც ხადუვლებიც თავისობენ. ეს მარჯვენა მხარეა. დანარჩენი ახიელებსა და ამღივნებს აქვს გაყოფილი და სათიბლად ერთად მიდიან ყველანი. და აი, ოსიმ მოიყვანა მზირად ოთხი კაცი და ტანიისკარს შეუკრა გზა. მიდიან მთიბლები, ქალი და კაცი. ბევრი ხალხი ჩააცილეს მზირთ. საღამო ხანს ბეწინა და ძიათ აბაისძე ერთად მოდიან. წესია, ტანიის კარს ჩამდინარ-ამომდინარი ხალხი ისვენებს, დაჭერილ კალმახს გახურებულ სიპებზე წვავენ და შეექცევიან. ბეწინა და აბაისძეც ჩამოხტნენ ცხენებიდან და დასასვენებლად უნდა დასხდნენ, ბეწინამ თოფი აიხსნა და ხელში უჭირავს. ამ დროს გავარდა და ბეწინას დაჰკრეს. საყუჩი არ ჰქონდა მეორეც დაჰკრეს.

როდესაც გიორგათ მიცვალებული დამარხეს და „პირისსამჭსნელო“ დაკლეს (სულის სახსარი), იმავ კვირას შურის საძებნად გიორგათ მზირიც წავიდა. ბადიათ ხომიზურა და იონა-ძმები, სულხანაურთ უშიშა, გაჯალათ გაგა, ხომიზურაის შვილი ბაბუა — ცამეტი წლისა. ბაბუა დედისერთა იყო. არ მიჰყავდათ, დაამწყვდიეს, მაგრამ საკვამიდან გაძვრა და გამოუდგა. ნეთხიჩოს-კართან ხიდი შეუკრეს. დილას „მზემავთ“ (მზის ამოსვლისას) გაიშალა ხალხი სოფელში. გიორგათ მტერიც გამოჩნდა სათიბზე მიმავალი. ესროლეს. ერთი მოკლეს, ერთი დაჭრეს. გატყდა სოფელში ხმა. დასცხეს ქისტის შვილებმა არხოტივნებს. ერთი თურმე ყველაზე წინ გამორბოდა. ხომიზურამ უთხრა ამღივნებს — ხიდზე არ შემოუშვათ, თორემ ეგ გვაზარალებსო. ეს კაცი თურმე ოსი იყო ფარეშაის შვილი. ადგნენ სანგლიდან არხოტივნები და წამოვიდნენ. ქისტებმა ტყვიები სეტყვასავით დააყარეს. ფოთოლი ბზესავით ჩამოსდიოდა ტყეს და თავზე გვეყრებოდაო. — მოვიდოდნენ ხიდის ყუროზე, ვესროდით და მივაბრუნებდითო. უშიშას ტყვიამ მიწა ფეხებში აუთხარა, დაეცა და კივილი დაგვცესო. ხომიზურა ფიცხი იყო თურმე და ცოტა მშიშარაც. გაგა კი სხვა მამაშვილობისა იყო და სახალისოდ, სახელის გულისთვის გაყოლილი. ხომიზურამ, აფეთქებულმა, გაგა ვერ დაინახა უკან რომ მორბო-

და და თქვა — ი გაგელა სადღა დაიმალაო. გაგამ გაიგონა, გაიცინა და უთხრა, აქა ვარ ხომიზურავ, მოგიკვდიო. როცა სამშვიდობოს გამოვიდნენ, ბაბუას სისხლნი მოეწივნენ (გული შეუღონდა). მოჭრეს ბუსნა მიწა სამჯერ კბილი დაადგმევინეს და მოგონთდა. ასე უნდა თურმე თუ „სისხლნი მოეწევიან“

„გაქცა“ გაჯალათ იმის შემდეგ დღემდე ჰქვიან.

უშიშა ჩემი დედის ძმა იყო, ბეწინა თორელთ ჩუაის ბაბუა.

* * *

ხახმატში ცნობილი კაცი იყო ძიკიათ ჩალხი. რისი გაკეთებაც მას შეეძლო, იმას სხვა ხევსური არ იზამდა. ერთხელ მან ჯვართ გაქურდვა განიზრახა. ერთი ხევსური შეიამხანაგა, მაგრამ ის შიშით ჯვარში შესვლას ვერ ბედავდა — ვაი თუ ღვთიშვილმა დამაბრმავოს ან გამაგიჟოსო. მაშინ ჩალხმა მოიფიქრა: ჯვარი რაკი წმინდა კაცს არ ერიდება, ისეთი რამ უნდა მოვიმოქმედოთ, თვითონ ცხრა მთას იქით გადავარდესო. დაკლა კატა, მისი სისხლი ქუდზე წაიცხო. ამხანაგსაც მოუსვა და უთხრა — ეხლა ხატი სიახლოვეს აღარ გაგვივლისო. შევიდნენ გამოიტანეს ვერცხლეული, ფული, შეწირული თავშლები და რაც უნდოდათ. გამოვიდნენ თუ არა, ჯოხებით მოიხადეს ქუდები და წყალში გადაყარეს. თვითონ კი საკლავის სისხლით გაინათლნენ და უვნებელნი გადარჩნენ. მერე ხალხს უამბობდა ჩალხი ამ ამბავს და აცინებდა.

ერთხელ ჩალხმა სოფელში იშუღლა. სხვა მამის ვაჟებმა რაღაცაში აჯობეს და ამაზე იყო გაბრაზებული. ერთ-ერთი მათ შორის ნათელისძეთ გიგია იყო, ძალზე კარგი ვაჟკაცი, თავსნიერი, ქალ-ზალთან ნამუსიანი. ჩალხმა სწორედ მისთვის შეურაცყოფის მიყენება გადაწყვიტა და მის ცოლს ჯოხი დაჰკრა. გიგია ამ დროს მთაში, სათიბზე იყო. დაბრუნებულს მამამ ყველაფერი უამბო.

გათენდა, ქალები ზოგი ძროხებს მიჰყვება, ზოგი წისქვილში მიდის, ზოგი წყალზე. ჩალხის ცოლი დედიკა, თავმომწონე, ცნობილი ხევსურის — დავითაურთ ბეწინაის ქალი, წისქვილისაკენ წავიდა. ჩალხმა იცის, რომ გიგია არ შეარჩენს და გზად უნდა იყოს. საკვამიდან უყურებს რა მოხდება. ამ დროს

გიგია მზის ახლოს დგას და შეშას „ხალავს“ (ტოტებს აკაფავს). ხათუთას ხედავს, მაგრამ არ მივიდა, ქალმა გაიარა, წისქვილს მოუარა, ფქვილი ამოკრიფა და შინისკენ მოდის. აი ამ დროს გადაუდგა გიგია წინ: — ხათუთაო, — უთხრა, — გუშინ შენს ქმარს ჩემის დიაცისად ჯოხ დაუკრავ და ჩემთვის სირცხვილი დაუდვია. შენი ბრალი არაფერია, მე ჯოხს არ დაგკრავ, პირს არ გავიწბილებ, რო მოვკვდე, სატირლად უნდა მოხვიდე და კიდევაც უნდა მიგლოვო. ესეც ცემა არისო და ყალივნის ამოსაჩიჩქნი ჩხირი მისი მანდილის კუთხისთვის სამჯერ შეუხია.

* * *

ოჩიაურები შიბუს მზით შავანისაკენ სანადიროდ წასულან (ჭიმღიონთა და ქისტების საერთო სანადიროა). ერთი ყოფილა საჩინათ მამისა — უშიშა ოჩიაური, მეორე ალუდიკათა — თათარა, მესამე ცისკარაულთ კაცი კვირიკა.

უნადირიათ და ბევრი ნადირი დაუხოციათ. მისულან ეხში, დაუნთიათ ცეცხლი და აქ დამდგარან. უშიშას თურმე ისეთი ყნოსვა ჰქონდა, რომ ყველაფრის სუნის გამორჩევა შეეძლო. ეხში რომ ისხდნენ, ადამიანის სუნი უგრძვნია. სუო, უთქვამს ალუდიკათ კაცს, წელან მე გადავედი იქით და დავჯექი, ალბათ იმის სუნი მოგდისო. — მეკი გეუბნებით და თქვენ იცით, მზად მაინც იყავითო, — უთქვამს უშიშას. თავისი გატენილი თოფი იქვე მიუყუდებია. ამ დროს გავარდნილა თოფი და უშიშას მოხვედრია. გამოცვივნულან ეხიდან კვირიკა და თათარა. უშიშა დაჭრილი მარტო დარჩენილა. აუღია თოფი და გაუსროლია, მაგრამ მიმხვდარა, რომ სხვისი თოფი იყო, დაუწყია ყვირილი — სად მიგაქვს ჩემი თოფი თათარავ, არ წაიღოო. ისინი მაინც გაქცეულან იმის შიშით რომ ქისტებს გზა არ შეეკრათ. მაგრამ უშიშას თოფს სხვისი ტყვია არ გამოადგებოდა, დიდი ტყვიები უნდოდა. ამ თოფით იქ თათარა მაინც ვერაფერს გააკეთებდა ისე, როგორც უშიშა თათარას თოფით. შევიდნენ ქისტები ეხში და დახანჯლეს, ერთის მოკვლა უშიშამაც მოასწრო. ამის შემდეგ ალუდიკათ აყვედრებდნენ „მეეხეთ“ ეძახოდნენ შუღლში. უშიშაზე ნათქვამი ლექსები

უშიშავ ოჩიაურო დალოცვა შენის პირისა,

ბევრა მაგიკლავ ღილღველი, წყენა არ იცი ჭირისა.

ჭიმღის-კლდეთ ყორნებ აყეფდა, ერთი უძახებს სხვასაო,
— ველთ გაოს ოჩიაური, გავხყვათ ამაგის კვალსაო,
არ მაგვაკლებდა უშიშა სახრავად ღილღველის ძვალსაო.

რად გაგიხარდათ, ღილღველნო, არხოტივნების ზიანი,
უშიშამ ოჩიაურმა არ დაგიბარათ გზიანი,
მიუვას ალუდიკასა — შინშო, ორთ სირცხვილიანნი,
ამღას მაგვიკლეს დისწული აბათ კურდღელა ჯმლიანი.
ადგეს, ჩაიდვეს საგძალი, წვერ გაიარეს კლდიანი,
ჯორიგოათოს ჩავიდეს, დილა ას თვირთვილიანი.
გაუოს ჩხორეგოელი მანძილა, რქაჯანგიანი,
ჩამაეხვივნეს თოფებსა, მაჟრებს გახქონდა ძგრიალი.
— იქნებიმც კურდღელაისად, მანდ დაწევ გულნატყვიარი...
ჩორეხ აყეფდეს ყორნები — ვინ იყავ, ვინ ხქენ რიალი,
იყვნიან ოჩიაურნი, ბევრკან სხვაკან ქნეს ზიანი.

* * *

არხოტის ჭალას მანამ ჩავა მეჭალავე ხალხი, როგორც აქ ეძახიან, სოფელ ამღასთან გაივლიან. ამ სოფლის მცხოვრებთ დასახლებიდან დღემდე, მტრობა აქვს ურჯულოსთან. აქ უფრო ბევრნი ბერდიშვილები არიან, რომლებიც იყოფიან მამებად — გიორგანი და გაგანი. ორივე ჯიშიანი ხალხია, თვალტანადნი, მებრძოლნი. უფრო გიორგათ აქვთ კარგი მაგალითები მტერთან გამარჯვებისა, სროლისა, მუხლიანობისი — ხან მტერს მისდევდნენ, ხან გამორბოდნენ. აი, ნატირალი:

ჩემი აბაი დაბერდაეო?
ქვეითი ცხენში რბისაღაეო?
მოვიდეს შენნი დედისძმანიო
მცნობელნი თოფის ჭველვისანიო,
მთაშიით ბარად ჩამამსვლელნიო,
მძებნელნი უშიშაისანიო.

ეს სიმღერეც:

ჩურჩულს ამბობენ, ყურყულსა
ამღას ქალისას, ზლისასა,
თავწვერად წასვლას ამბობენ
გიორგათ ახლებისასა.
ჩასვლაი მალოზანაში
ჩარისხვას ღგვანდა ხვთისასა.

გიორგათ ბევრი ქისტი ჰყავდა მოკლული. ტყვეებიც ორჯერ მოუყვანიათ. გიორგათები იყვნენ უშიშა და თამარისძე — ძმანი, თათარა და აბა-ძმანი, ერთმანეთის ახლო ბიძაშვილები.

თამარისძე შმაგი ყოფილა, უშიშა დინჯი, შეუდრეკელი. აბა ჭკვიანი, წყანი, ლამაზი, მუხლიანი მებრძოლი. თათარა ლაღი, კარგი მეთოფე. მოყვარული, საუკეთესო მონადირე და გონებაფხიზელი.

თამარისძეო მაღუშაო,
ცოდვიანაო, ცხროვიანო,
ვეფხო, სიბერემარეულო,
ჯიკვო საწოლთით ველარ სდგები,
მუკლნ ვერ უძლებენ სიმძიმესა,
თვალთა სინათლე დაღლევივა.

ერთხელ სამნი ერთად წავიდნენ სანადიროდ — აბა, თამარისძე და თათარა. ზეთუკა აიარეს, თათხელი, ბისნა, გაინადირეს და ტერღისწვერ გავიდნენ. უშიშაც წავიდა სანადიროდ, თან ახიელელი ალალი დისშვილი 15 წლის ოდინა და ამდიონი — გაჯალათა, ისიც ოდინა, თან გაიყოლნა. ესენი ჭალაისას წავიდნენ. მაგრამ ბისნის კარი ქისტების მზირს შეეკრა. ესროლეს და უშიშას დაჰკრეს. დისშვილს თოფმა „მოუცდინა“, არ გავარდა. ის პატარა იყო, გამოუცდელი; როცა წყალში გადადიოდნენ თოფი დაესველებინა და ფალიაში წამალი აღარ აფეთქდა. უშიშას თოფი გაჯალათ ოდინას გამოუტაცებია, გამოქცეული მოსულა ამღას და უთქვამს — ოდინა და უშიშა იქვე დახოცეს, მე გადავრჩი. სანამ ტყვია-წამალი მქონდა, ვესროდი, გამითავდა და წამოვედიო. თურმე ტყვია-წამალი ხან სად გადაეყარა, ხან სად (ამაზე მერე გაჯალათ გაქცათ ეძახოდნენ). როდესაც უშიშას დაჰკრეს, ქისტები ცდილან მკვდარზე მისვლას, მაგრამ პატარა ოდინას მისთვის თავი არ დაუნებებია,

საყუჩიდან თოფს ტყუილად უმიზნებდა, ვითომ თუ გაჩნდებოდნენ ქისტები, — ესროდა.

ქისტები წავიდნენ და წაიღეს უშიშას თოფის ბუდე, თოფის ამოძრობისას შორს გადაგდებული. როცა აქ სროლა იყო, იმ დროს გიორგათ ვაჟები სამნი ტერღისწვერს იყვნენ. ისხდნენ და თოფებს ტენიდნენ. უშიშას თოფის ხმა იცნეს და ერთმანეთს უთხრეს: რაღაცა უჭირს, ალბათ ისიც სანადიროდ წამოვიდაო. გამოქცეულებს ჩამოვლიათ ჩხატნი, სჯსაგძლე ქვიშათას ამოსულან და სახვევი შეუკრავთ. მოსულან მზირნიც. თამარისძეს მაშინვე უცნია თოფის ბუდე და უთქვამს — აგერა, გერში მოვიდა, ჩემი ძმის თოფის ბუდე ღილღვლის თოფს უკეთიაო, ესროლა და ქისტი ჩაიქცა, მეორეს აბამ ესროლა, მესამეს თათარამ. გაიქცა ქისტი და პირქვე წაეფშვნიტაო. სხვები აღარ გადმოჩენილან. წამომდგარან საყუჩიდან და დაუნახიათ: სამნი გარბოდნენ სახვევთ ბოლოზეო.

მისულან უშიშასთან. ცოცხალივე ყოფილა. — ვერ წამოსდგებიო? ისეთი არაფერი გჭირსო. გაიცინა და გვითხრა — მჭირსო. ასწია ხელი და ფილტვებმა დასტვინეს, სისხლი აღმა ამოფხუკდაო.

— ორი ვესროლეო — გვითხრა, წინწინ ნასრევივე დამკრესო.

— „უნცროსი წინ წავლალეთავ — უთხარითავ — იქ დაგხვდებისავ“[1].

— თოფიო? — იკითხაო.

— თოფი ოდინამ წაიღოო.

— ეხლა კარგად ვკვდებიო — გვითხრა.

გავაკეთეთ საკაცე და წამოვიღეთ, გზაში მოგვიკვდაო. ხალხმა ოდინა რომ დაინახა, ყველას გაუკვირდა — აკი ორივენი დახოცესო?

ამ ადგილს, სადაც ბრძოლა მოხდა, ეძახიან „გიორგათ ნაომარს“. ამაზეა სიმღერა:

ტერღის-წვერ გაუგონებავ
ბისხას დაქცევა კლდისაო,
ერთმანეთს ეუბნებიან —
— უშიშას უჭირს, გმირსაო.
უშიშაისა ჯირიმი

[1] მისთვის უნცროსად შეწირული ქისტი.

ნელინელ გამადისაო,
სადუცე ჩამაიარეს
არწივებმ კივილითაო,
შაუკრეს მაღალ სახვევი
— გზა აქ მავ ჩვენის მტრისაო.
ეტყოდის თამარისძეი
— აგე გერშ ჩემის ძმისაო.
ჩემის ძმის თოფის ბუდეი
ქისტის თოფს შაშვენდისაო.
გასულებს ღილღვლის შვილებსა
ბოლ დახვივიან პირსაო,
ზოგებ ჩაყარეს წყალშია,
ზოგნ კი აჰკმაკეს ჩდილსაო.
ვაჟისა ოდინაისა
დედაიმც ცხონდებისაო,
არ მაუტივნა მკვდარზედა,
დისწულ ას დედიძმისაო.

ამათი ქალი იყო ლელა, შენი ბებია, აბაის შვილიშვილი, სულხანაურის ქალი.

***

არხოტის თემის სოფ. ახიელაში სხვადასხვა გვარის ხალხი ცხოვრობს, რომელთაც სისხლი საერთო არა აქვთ. მაგ. ბალიაურებს, ჯაბუშანურებს და დანარჩენ გვარებს — ოჩიაურებს, ნაროზაულებს და ციხკარაულებს. ეს ბოლო სამი გვარი კი გადმოცემით ერთი ძირიდან მოდიან და ერთმანეთის მოძმეებად ითვლებიან.

ბასილ ოჩიაური ალუდიკათ მამისა იყო. ძალიან კარგი ახალგაზრდა. მას ადრე ნათხოვი ჰყავდა ბერდიშვილთ ქალი, ნინო, რომელიც ობოლი იყო. იმის მამა — ივანეთ ბეწინა ადრე გარდაიცვალა; არხოტის ჭალაზე მიმავალს მთიდან დაგორებული ქვა თავში მოხვდა და მოკლა. დარჩა სამი ქალი — ნინო, მინდა და ნათელა. მათ დედა გაუთხოვდათ და ობლები ბიძასთან იზრდებოდ-

ნენ. ნინო უფროსი იყო. ეცოდებოდა დები, როდესაც ხედავდა მშივრებს, ნაცემებს, ღამე გარეთ გამოყრილებს და რაც შეეძლო უვლიდა. ქალები დაიზარდნენ და ყველანაირად კარგები დადგნენ. მინდა ახიელში იყო გათხოვილი (ქორძოს დედა), ნაროზაულთ ჰყავდათ (ზვავმა მოკლა), ნათელა ჯუთაში ბაბალათ წაიყვანეს, გიგიტაის ძმის შამილის ცოლი იყო (გიგიტა არაბული ნ.ბალიაურის დის ქმარი — თ.ო.), იმან თავი მოიკლა თოფით, ნინო კი ბასილს მოჰგვარეს და ჯვარი დასწერეს.

ახიელშივე ნაროზაულთ მამუკას ნათხოვი ჰყავდა ამღიონთ ქალი კურდღელათ მაია. მაიას ჰყავდა და მზექალა და ძმა გიგია (ეს ის გიგიაა, რომელსაც ცოლმა თავი დააკლა). მზექალი ჭიმღაში ჰყავდათ თეთრაულთ. იმანაც თოფი დაიკრა. მათი ორი პატარა ძმა ლაგის (საჭმელი მცენარეა) საკრეფად გაეპარნენ დედას. კლდეზე გადასვლის დროს უფროსი უმცროსს მიეხმარა, ორივენი გადაცვივდნენ და არხოტის წყალში დაიხრჩვნენ (შენ ხომ ხედავ, რა უბედური ოჯახია!).

მაია და ნინო ოთხი თაობით დაშორებული ბიძაშვილები იყვნენ. ნინო ბასილის ცოლია, მაია მამუკას დანიშნული. მოხდა ისე, რომ მაიას და ბასილის ერთმანეთი შეუყვარდათ. ხალხში ხმა გავარდა — ბასილი ცოლს თავს ანებებსო. ისიც ითქვა, რომ მაია ქმარს სწუნობსო (ქმარი დანიშნულზედაც ითქმის — თ.ო.). ადგნენ ნაროზაულები, მოიყვანეს მაია და ჯვარი დასწერეს, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. ჩამოვარდა უსიამოვნება ბასილსა და ნინოს შორის. ქალმა მამასახლისთან უჩივლა (მამასახლისი მამაჩემი იყო, მღვდელი — ბიძაჩემი, გიორგი ბალიაური). ბიძაჩემმა ბევრი ურჩია, რომ არ გაყრილიყვნენ, მამაჩემმა კი ბასილს დაუჭირა მხარი — ძალით ცოლ-ქმრობა არ შეიძლება, თან არც შვილები გყავთ. გართულდა საქმე, მამუკა მაიას თავს არ ანებებდა, იცოდა რომ ის ბასილს გაჰყვებოდა, რაც გვარისათვის დიდი სირცხვილი იყო. როდესაც ნინო დარწმუნდა, რომ ბასილი მასთან აღარ იცხოვრებდა, ამღის ბოლოს წყალში გადავარდა და თავი მოიკლა. ეს უფრო იმიტომ ჩაიდინა, რომ თუ თავს მოიკლავდა, ბერდიშვილები მაიას ბასილს აღარ გაატანდნენ, როგორც მკვლელობაში გარეულს (ორივე ქალი ხომ მათი გვარისა იყო). ბერდიშვილებმა კი თქვეს — თუ ქმარმა თავი გაანება, რატომ სხვას არ გაჰყვაო.

ნინოს სიკვდილის შემდეგ მამუკამ მაიას თავი გაანება, მაგრამ უკვეთა ახიელში გათხოვება არა მარტო ბასილზე, არამედ სხვა გვარის ახიელელზეც. ამღასა და ახიელს შორის დიდი არეულ-დარეულობა და მტრობა ჩამოვარდა. ბერდიშვილებმა ბასილს ვერაფერი უყვეს. ის ამბობდა: თუ ცოლს თავი დავანებე, ხევსურეთის წესია. თავი თუ მოიკლა, ჩემი რა ბრალიაო. გაიტაცა მაია და ღილღოს გადაიხვეწა. გამოიცვალეს რჯული და შვიდსა თუ რვა წელს იქ იცხოვრეს.

ოჩიაურები და ნაროზაულები ძალიან აირივნენ. მათი წასვლის ორი თვის შემდეგ ნაროზაულები ოჩიაურებთან საბრძოლველად გამოვიდნენ, ბებერმა კაცებმაც კი აიღეს ქართული თოფები. ჩხუბის დამწყებნი ოჩიაურები იყვნენ; ნაროზაულებმა მათი დიაცები გალანძღეს, რომლებმაც ეს ამბავი თავიანთ ქმრებს უამბეს (თუში და გიგია ოჩიაურები იყვნენ). ისინი გამოცვივდნენ ყვირილით: — ერთს კი არა სხვა ცოლებსაც წაგართმევთო. ეს ნაროზაულებმა იწყინეს და ისეთი ამბავი დატრიალდა, მეშველი და მოშუღლარი აღარ იგებოდა. თუში დაჭრეს და თვენახევარსღა იცოცხლა. ამაზე ნაროზაულთა მთელი გვარი აიყარა და გადასახლდა (დარჩა მხოლოდ ორი კომლი ქორძას პაპა და ხიზანა). გადასახლებულებმა ვერ აიტანეს ბარის ჰაერი და ბევრიც იქ მოკვდა.

ლაშქარი არხვატში

არხვატი სრულიად მოწყვეტილია საქართველოს, მდინარეც კი არ ერევა ხევსურეთის მიწის ნაწურ წყალს. არხვატი მარტო ებრძოდა მტერს და თავის მიწა-წყალს იცავდა. ქისტები თუ ესხმოდნენ თავს, არც არხვატელები აკლებდნენ. ბევრს აშავებდნენ: მოუდიოდათ ცხენები, იტაცებდნენ ცხვრის ფარებს, ხოცავდნენ მწყემსებსაც. ღილღვლები უბარებდნენ კაი კაცებს — ახალგაზრდობა გააფრთხილეთ, თორემ ცუდი საქმე მოხდებაო. ერთხელ კიდევ გამოლალეს ცხვარი ამღიენებმა და მწყემსებიც დახოცეს. ეს ძალიან იწყინეს ქისტებმა. შეყარეს დიდი ლაშქარი, აირჩიეს წინამძღვარი. ქართელი ანდარუყოს შვილი ელამარძა, ბალიაურების კარგი ნაცნობი. (ელამარძას ძმა ბუხუხო მღვდლის — გიორგი ბალიაურის ძმობილი იყო). ლაშქარი სამ ნაწილად გაიყო. ნაწილი წამოვიდა ზეთუკისას, ნაწილი ჭალაისას, ნაწი-

ლი ტანიისას (ზეთუკა, ჭალა და ტანიე ადგილის სახელებია) და ერთ ლაშეს არხვატის ორ სოფელს — ამღას და ახიელას გარს შემოერტყნენ. მესამე სოფელი ჭიმღა მტრის ანგარიშში არ იყო. ისინი შავანელ ქისტებს ბეგარას აძლევდნენ.

ახიელში თომა ბალიაური ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი იყო და თანაც მთავრობის რწმუნებული კაცი ჰყავდა მოკლული, ამიტომ მთავრობა სდევნიდა. ლაშქარი მთავრობის ჯარი ეგონათ, რის გამოც მათ ხელად აიღეს სოფელი.

ლადო, თომა და ვახტანგი[1] დილით ადრე ნეთხიჩოსკენ მიდიოდნენ და ვიღაცეებმა გზა გადაუღობეს. ლადო და ვახტანგი გაიქცნენ, თომას კი სროლა აუტეხეს, გაჩერდა და დაიჭირეს. ღვედით ხელები გაუკრეს და წინ გაიგდეს. თომამ ღვედი გაწყვიტა და ის იყო უნდა დაეხვრიტათ, რომ შუახნის კაცმა აუკრძალა — სისხლი არ დაიღვაროს, ჯერ ბევრი საქმე გვაქვსო. რამდენი კაციც გამოვიდა სახლიდან, ყველა დაიჭირეს.

მამაჩემი თათია ძალიან ფიცხი კაცი იყო, სწრაფი და მოსაზრებული. თვალი მოჰკრა, რომ ბანზე ვიღაცები დადიან და დედაჩემს უთხრა — ეს ხალხი ჩვენ გვივლიან, კარგია რომ თომა გასულია, ალბათ მასთან არიან მოსულები. მაგრამ ღილღვლების მიხვრა-მოხვრა აქვთო.

თომას უთხრეს ქისტებმა — ეკლესიაზე ადი და სოფელს დაუძახე. ყველა მოვიდეს, თორემ შენ მოგკლავთო. თუ სროლას აგვიტეხენ, არხოტის ყველა მთის წვერი ჩვენ ხალხს უჭირავს და ნიშანს ელიან, ცუდი საქმე დატრიალდებაო. თომა ავიდა სამრეკლოზე და სოფელს დაუძახა — ლაშქარია მოსული, ბან-კარზე „შემომჯდრებს“ თოფი არავინ დაჰკრათ, სახლებში გამაგრდითო. ლაშქარში ქართულის მცოდნეები ყოფილიყვნენ და გაიგეს — არავინ გამოხვიდეთო რომ დაუძახა. ამაზე კინაღამ მოკლეს. ორმა კაცმა (მიხა ოჩიაურმა და იმედა ნაროზაულმა) მაინც ესროლეს და თავის კარებზე არ მიუშვეს. ამაზე ელამარძამ მისცა ნიშანი და ყველა წვერიდან — ზეთუკით, საჭარისმაღლით, მზისპირის წვერით, ბარუქის წვერით ატყდა სროლა. ახიელლები მიხვდნენ რომ მტრის ხელში იყვნენ. ღილღვლებმა გარეკეს ცხენები და მსხვილფეხი. წაიღეს მთელი სოფლის ქონება, ვერცხლის იარაღი,

[1] ლადო — ბალიაური, ძმა ნ. ბალიაურისა, ვახტანგი და თომა — ბიძაშვილები.

ქალების სამკაული, ტანსაცმელი, ქალებსა და ხატებს (საკულტო სამლოცველოებს) არავინ შეხებია.

ამ დროს ამღაში გაიგეს, რომ არხვატს ლაშქარი დაეცა და სახლებში გამაგრდნენ. ქისტები სოფელში შევიდნენ. ერთი სახლის ბანზე ნახეს თივაჩალის ზვინი და ცეცხლი შეაყარეს. დაიწყეს კივილი: — აბა, გარეთ გამოდით, სანადირო ეხებში ქვებზე რომ გვიწერდით ქალებო, ეხლა აქა ვართ თქვენ ბანებზეო. ამღიენები მაინც არ გამოვიდნენ. რომ ვერ გამოიტყუეს, ახიელში, სადაც მათი უფროსები ელამარძა და ერთი ნასწავლი კაცი იმყოფებოდნენ, კაცი გაგზავნეს — როგორ მოვიქცეთო. მათ თათია და თომა ბალიაურები შუამავლებად გააყოლეს ამღაში და შეუთვალეს — სახლებიდან გამოსულიყვნენ, მთელი ქონება და ცხვარ-ძროხა უკლებლივ ჩაებარებინათ.

ამღელებმა შემოთვალეს: ჩვენ იარაღი ღილღვლებისთვის გვაქვს, მანამდე ვხოცავთ, სანამ ტყვია-წამალი გვეყოფა, მერე ხმლითა და ხანჯლით ვიომებთო.

დაბრუნდნენ ახიელში და მოუტანეს ამბავი. თომამ რუსულად უთხრა ელამარძას თანმხლებ ნასწავლ ღილღველს — თქვენს ხელისუფლებას როგორ მოეწონება რასაც აკეთებთ მშვიდობიან დროს. მოსახლეობაზე დაცემა განა კარგს უქადის თქვენს ხალხსო.

ამ კაცმა უთხრა — ცუდი საქმეა, რაც მოხდა, მაგრამ ხევსურების ბრალია, უნდა ვიფრთხილოთ უარესი არ დატრიალდეს, ხევსურებმა კაცი არ მოკლან, თორემ ხალხი გასწყვეტს ერთმანეთსო.

თომა და თათია ისევ ამღაში წავიდნენ. თომამ დედისძმისშვილს თოთას დაუძახა. ის თურმე გიჟივით ყვიროდა — გიორგი სადა ხარო? გიორგი (დავითი) თოთას შვილი, როცა ქისტებმა თივას ცეცხლი წაუკიდეს, ხანჯლით გავარდნილა გარეთ. შემოეხვევიან ქისტები, სოფლის თავში აუყვანიათ და როცა დავითს ხანჯალი უშიშვლია, თოფი დაუკრავთ. ეს თოთამ არ იცოდა. თათიას დაუძახა — გაიგე სად წავიდაო. თათიას დავითი სახლის უკან უპოვნია, — ძნა ჰქონდა მიყრილი, ფეხები უჩანდა და ფეხებზე ვიცანიო. — დავმალე. რომ მეთქვა ხალხი დაიხოცებოდა, თოთა ბევრს მოჰკლავდა. მე კი დედიძმასთან პირშავად მივალო, იტყოდა, როცა ამ ამბავს მოჰყვებოდა და ტირილს დაიწყებდა. რომ ჩამოვიარე, დავითის დედამ ძახილი დამიწყო —

აჰა, ეს თათები (წინდები) გიორგის წაუღე, ფეხშიშველი გავარდაო.

გაბურის ცოლი რომ არის, მაგის დედა მზექალიკა ქვრივი იყო, ქმარი ღილ-ღველთ მოუკლეს, ორი ქალი დარჩა 4-5 წლისანი. ეს ქალი მარტო იყო, ეშინოდა და თათიას ხმა რომ გაიგონა, დაუძახა: არიქა მიშველე, კაცებთან წამიყვანეო და თავის ბავშვებიანად გამოვიდა. თომამ და თათიამ შუაში ჩაიყენეს და მოჰყავდათ. პირდაპირიდან ქისტები ისროდნენ, თათია ქუდს იქნევდა — ნუ გვესვრითო და სწორედ მათ ესროლეს. ტყვია ბავშვს მოხვდა. თათია იტყოდა — ჩემ წინ ქათამივით ფართხალით დალია სულიო. ჩვენ კი ბანებიდან ტყვიით აღებულ მინას ქარი ზედ გვაშლიდაო.

ნისლაურთ სახლში გაგვიღეს კარი, ნისლაურთ ხირჩლა კართან სკამზე იჯდა და ხელში შიშველი ხმალი ეჭირა, სხვა ნარჩევი ახალგაზრდებიც მაუზერებით და „პარაბელებით" შეიარაღებულები იქვე იყვნენო.

თათიამ უთხრა — ქისტები ამბობენ: რაც გყავთ, ყველაფერი ჩაგვაბარეთ, თუ არა იმდენი ხალხი გვყავს, სოფლის სათავიდან მოგაწვებით და მთელ სოფელს თავისი ხალხითა და საქონლით, ბექზე გადაგყრითო.

ამღიენებმა შეუთვალეს — ცოცხლებს ცოცხლები ერთ თიკანსაც არ მივცემთ. გავიპარებით, ჩვენი სოფლის ასავალ-დასავალი ჩვენ ვიცით, შეუკრავთ გზას და კლდეს ავჰკმაკებთო.

ამღელებმა თომა აღარ გაუშვეს, — მაგას მთავრობაც მტერი ჰყავს და ურჯულოც, თოფს მივსცემთ და დიაცივით უიარაღო არ მოკვდებაო.

თურმე ქისტები თითზე კბენით იმუქრებოდნენ — თომა რაზე გავუშვით ხელიდანო.

როდესაც ქისტებმა ამღიენები სახლებიდან ვერ გამოიყვანეს და ისიც იცოდნენ რომ თვითონაც ბევრს იზარალებდნენ, თან ეშინოდათ მთავრობას ვინმე გააგებინებსო, — აიყარნენ ახიელიდან. ყველა მამაკაცი, ვისაც სიარული შეეძლო ტყვედ წაიყვანეს, სოფელში მარტო მოხუცები და ქალები დარჩნენ.

თათიას, როგორც უფროსსა და კაი კაცს, ჯერ ფეხზე უდგებოდნენ, მერე კი ელამარძამ უთხრა — თათიავ, გაგაის შვილო, ჩვენთან უნდა წამოხვიდე. არ არის კარგი საქმე შენი იქ წაყვანა, ჩვენთვის სირცხვილია, მაგრამ შენ რად არ უშლიდი ახლებს ჩვენი ცხვარი, ცხენები რომ მოუდიოდათ და

გვხოცავდნენო. ჭალას რომ ჩავიდნენ, ერთი ხნიერი ქისტი მივიდა თათიასთან და უთხრა — გაგაისშვილო, გაიპარე ისე, რომ თვალი არავინ მოგკრასო. ისა და რამდენიმე სხვაც გზიდან გაიქცნენ. დანარჩენები მიიყვანეს ქადაჰკეს და ციხეში შეამწყვდიეს. მესამე დღეს აარჩიეს გარსია, ქორიათ უნცრუა და ერთიც მესამე და ამღაში გააგზავნეს — ცხვარ-ძროხა და ცხენები მოგვცენ, თუ არა ტყვეებს დავხოცავთო. შვიდი კაცი მათ თვალწინ გამოიყვანეს და იქით ტყეში დასახვრეტად გაიყვანეს. ამ ტყვეებში ერივნენ კოჭლათ ბერდია და დავით ბალიაური, რომლებიც ქისტეთიდან იტაცებდნენ ცხვარ-ძროხას. ისინი ეუბნებოდნენ დანარჩენებს — ჩვენ ვართ დამნაშავენიო, მაგრამ ამხანაგები ნებას არ აძლევდნენ: ჩვენს თვალწინ ცხვრებივით თავებს დაგჭრიანთ, ჩვენ უიარაღოებმა რა ვქნათო.

მათში გიორგი (გერგეტელი) ოჩიაურიც ერია, მან ღილღური იცოდა და დიდი ნაცნობობაც ჰქონდა. მაგარიც იყო და ეშმაკიც. მერე ჰყვებოდნენ როგორ ეუბნებოდა თურმე ტყვეებს: „მაგრა იყვენით, ჩემმა მზემ, მაშა კაცო! არ გასტყდათ ჩემმა მზემ, მაშა კაცო! კაცობა მკვდარს უფრო უნდ, ჩემმა მზემ. ჰმითმატირლებმ რაი თქვან: რაჰელ მაგკლესავ, მაგრად შახვდიო, თუ დაშინდივ, მაშა, კაცო! არ გასტყდათ, რაი-ას სიკვდილი, გახჰვრეტს ტყვიაი, წითელ წყალი ას სისხლი, აის გამაედინების გაგჰვრეტილშიით. რო გასტყდათ, მაშინაც აისეთა წყალ გამაედინების, ჩემმა მზემა, მაშა, კაცო!“

ტყვეებს თამბაქო თურმე გაუთავდათ და გადარეულები იყვნენ. გერგეტელმა უთხრა ამხანაგებს: ვაყებო, მაგრად იყავით, არავინ შეკრთეთ, არავინ დაიღრიალოთ. სიკვდილი ერთხელ მაინც გვინდა. ხევსურები ვართ. სირცხვილისად არის და სიკვდილისად კაცი გაჩენილი. ჩემმა მზემ, თამბაქო გამითავდა და ერთ პაპიროსში დახვრეტის შემდეგ ერთ ტყვიას კიდევ დავარტყმევინებდი, ეს ძაღლები რომ მომაწევინებდნენო. ამაზე ამხანაგებმა თურმე გულიანად გადაიხარხარეს. ქისტებმა ჰკითხეს გიორგის — რაზე იცინითო. — ყმაწვილები ნატრობენ — ნეტავ თითოჯერ ქალებთან გვათამაშაო.

— მალე ითამაშებთო, — გადაიქნიეს თურმე თავები ქისტებმა. — გვითხარით ვინ არიან თქვენში ქურდები და დანარჩენები თავისუფლები იქნებითო. როცა პასუხი ვერ მიიღეს, იმდენჯერ გაისროლეს, რამდენიც დასახვრეტიც იყო გაყვანილი, მაგრამ ტყვეებმა სამარცხვინო რომ არაფერი ჩაი-

დინეს, ააყენეს და თავის ხალხთანვე შეყარეს. არხოტში კი, სადაც ამბავი მოიტანეს: ზოგი დახვრიტეს და ზოგსაც დახვრეტენო, დიდი უბედურება და წივილ-კივილი დატრიალდა. ამ დროს ბლოვლებმაც გაიგეს რაც ამბავი არხოტში ხდებოდა და თოფ-იარაღში ჩამსხდრები მოვიდნენ ღილღოს წასასვლელად. მათ გაჰყვნენ ახიელელებიც(ვინც მოახერხა გამოქცევა), მაგრამ გამოშვებული ტყვეები მათ გზაში შეხვდნენ. თურმე თავისმა-მთავრობამ გააფრთხილა ღილღვები ლაშქრობის მოთავეებს ელამარძას და სხვებს გადასახლება არ ასცდებათო.

ამ ლაშქრობის დროს მოკლეს ნინო, ოჩიაურთ ქალი, მჭედელთ ბადაის და. შიტუდან მოჰქროდა თურმე გაჭენებული ცხენით, კაცი ეგონათ და „ყარაულებმა“ ესროლეს. მოკლეს ჩინგლათ დავითი თოთაის შვილი, ერთი მწყემსი მთიული თუ მოხევე და ის პატარა ქალი. ორი ქისტი, ამღივნებმა ობოლამ და ბახათ ბახამ ბერდიშვილებმა დახოცეს, ორი ქისტიც მერცხალათ აბიკამ ნადირობის დროს მოკლა.

* * *

ოჩიაურები – ოჟიათ გოგია, თუში და სარაქათ გიორგი ერთ ღამეს დასხდნენ თურმე და სულ ჩამოთვალეს ვინ იყვნენ ოჩიაურთ მტრები, მოკლულები და „მამკლავნი“. ბოლოს საქმე მიდგა სოფელ ჭიმღას, თეთრაულებზე. თქვეს, რომ თეთრაულებს ჩვენი კაცი მოუკლავთ, იმაზე მამული მოუციათო, მაგრამ იმისი სახელი არავინ იცოდა. მოდიო, თქვეს, – კვირიკა იყოს იმისი სახელი, კვირიკა დავარქვათო. ეხლა საიდან, როგორ დავუწყოთ მაგათ დავაო.

გადაწყვიტეს – ღამე წვიდეთ და სახლში „შავეტანნოთო“ (მივუცვივდეთო). წავიდნენ. მიდიან და სიცილით იხოცებიან – ნეტა ვინ კვირიკას უნდა შევსწიროთო.

მივიდნენ ჭიმღას, ზენ-უბან, სადაც გიორგის მამიდა თამარული იყო გათხოვილი თაძიაზე. „ჩაუსხდნენ“ (ჩაუსაფრდნენ) სახლის გვერდზე და ელიან როდის გამოვლენ ჯურხაის შვილნი. ისენი „თაურაობდეს“ (სხვებს ამეტებდნენ თავს, თავკაცობდნენ, თ. ო.). მათ სტუმრები ჰყოლიათ შინ და არის ერთი სმა და ღრეობა. როგორც იყო, გამოვიდნენ სტუმარი და ერთი თეთ-

რაული (სტუმარს გამოჰყვა), როცა შემობრუნდნენ, გადაუხტნენ ოჩიაურები. დიამ თეთრაულმა იარაღისკენ გაიწია, სახლში უნდა შევარდეს და გამოიტანოს. გიგია მეშველმა დაიჭირა, თუში ვინმეს გამოჩენას ელის, გიორგიმ კი დიას დაჰკრა და კვირიკას შესწირა. დიამ გაკვირვებით იკითხა — ვის კვირიკას შემწირეო.

— აი, ქოთანის ბექთ ყანები რო გვაქვს „თქვენებ დასხმულებიო".

— აიმასაც ძაღლი ჩაგიდნესთ და სხვა მკვდართაცო, უთხრა დიამ. გახდა მაგარი შუღლი. თუშსა და გიგიას მეშვლები არ უშვებენ, გიორგი კი ძალიან ახალგაზრდა იყო, დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და ამასობაში მან სამი კაცი დაჭრა. თუში ძალიან მამაცი იყო, მაგრამ სისწრაფე აკლდა. ბუზღუნით მოდიოდა თურმე — კვირიკას თქვენ შესწირეთ, მე კი დიაცივით მოვდივარ, სიწითლე ვერავის გამოვადინეო.

გიგიას ეთქვა — ზიძეს თაძიას დაჰკრიდი და კვირიკაის მამას მიუუნცროსიდი, იმას ემსახუროსო.

* * *

სოფელ ჯუთაში არაბულები ცხოვრობენ, რომლებიც მამ-მამებად — ქვეგვარებად იყოფიან. მარაისძენი, თილილანი, იმედანი და სხვები. ამ მამებში უფრო მარაისძენი თავკაცობენ, თუმცა სხვებიც არაფერს უთმობენ. მარაისძეთ გიგიამ დაჭრა პირაქათელი ხევსური, ქმოსტელი ჯარჯო. ხევსურული წესით, თუ დაჭრილი ცუდად არის და სწუხს, დამჭრელის მხარიდან უნდა მოინახულონ. მოსაკითხად ქმოსტში გიგიას ერთი ძმა — ბერდია წავიდა, რომელიც ძალიან ალალ-მართალი კაცი იყო. როდესაც დაჭრილს სახვიელი მოხსნეს, თვითონაც ნახა და აქიმმაც თქვა, — მძიმე ნაჭრევია, ძვალსაც სჭირსო, ბერდიამ თქვა: — აბა ამის დამკრავიც იტყვის ვაუკაცი ვარო? ვაი, გაგვიწყერ, წმიდავ გიორგივ, მოგვ...ნ დედა და მკვდარი და ცოცხალი, ეს რა ყმაწვილი გაგვიფუჭებიაო!

გიგიამ ერთ-ერთ შუღლში, სადაც ბევრნი შუღლობდნენ, კაცი დაჭრა. ღამე ყოფილა და თვალი ვერავის შეუსწვრია. დაჭრა მაინც გიგიას დაბრალებია, ის კი უარობდა, რადგან დრამის გადახდა არ უნდოდა.

ამ შუღლის მონაწილე ბერდიაც ყოფილა, როდესაც საქმის გასარჩევად

კაც-შუაკაცი მისულა, გიგის უარი განუცხადებია — მე არ დამიჭრიაო. ბერდიას იმათი თანდასწრებით უთქვამს — უარს როგორ ამბობ, მე ხომ გნახე, როდესაც იმედას ხანჯალი დაჰკარი. ჩვენზედ გულს მე ვერავის გავაცინებ — დაჰკრეს და კისერი კი ველარ მოგვცესო.

გაცხარდა გიგია — შე ფურო, შიშით ამბობ, თორემ როცა ეგ დაგჭერი, შენ იქ რა გინდოდაო.

— შიშით კი არა, მამაცობით და მამა-ბიძების ხათრით ვთქვი. სირცხვილის დადებას, დრამის გადახდა მირჩევნიაო.

გიგიას მეორე ძმა — აპატაც, ძალიან შარიანი იყო. სულ შულლის მიზეზს ეძებდა.

ჯუთაში, ყველიერში ორი კვირა სულ სმასა და დროსტარებაში არიან. ერთ-ერთი გახურებული სმის დროს, აპატას სხვა რომ ვერაფერი მოუგონებია, გაუხდია ტანზე ნაცვამი „ტყავნი“ (ქურქი), დამდგარა შუა ქაზდარში (მიწის იატაკი) და „გემაით“ (ტყავის მოსაქნელი რკინის ხელსაწყო) ტყავის ზელა დაუწყია, — ვინმე ხომ მკითხავს — რას აკეთებ და მერე მე მოვუვლიო. ხმა არავის გაუცია. რაკი არაფერი გაუვიდა, გავარდნილა გარეთ. სოფლის თავში დიდი კლდე ყოფილა და მსხვილი კეტი შეუგდია ძირში — უნდა სოფელს დაგცეო.

მივარდნილა ბერდია, — ბიჭო რას შვრები, ეგ კლდე მაგრად ზის მიწაში, ვერ დასძრავ, დაჰფუვიანდები და რაღაში გამოდგებიო.

— არა, მაინც უნდა დავაგორო, იმედათ ჯავრი მჭირს და სახლები უნდა დავუნგრიოთ.

გამოცვევნილან. იმედანიც. — ე კლდე მართლა არ გამოაგოროს, ჩვენს სახლებს ეტატნებაო და დიდი ვაივაგლახით მოუშორებიათ აპატა იქიდან.

* * *

რჯულის კაცები, როდესაც საქმის გასარჯულავად დასხდებიან, ორი მოპირდაპირე ძალა უდგას ერთი-მეორეს. ორივე მხარე რჯულში თავ-თავის კაცებს ჩასვამს. მოჩივრები მაშინ მოდიან, თუ მათ შორის სისხლ-მესისხლეობა არ არის. თუ თავ-სისხლის საქმეა, შორი-შორს დასხდებიან. რჯულის კაცები თვითონ მივლენ თვითეულთან და მოისმენენ ორივე მხა-

რის სათქმელს. შუაკაცის მოვალეობაა, ავი ნათქვამი კარგად მოაქციოს, საქმე შეარბილოს.

ერთ რჯულში, სადაც ხიტალიონთა და ოხერხეველთა საქმე ირჩეოდა, ხახუა თემროზაულიც მჯდარა. მისულან მოჩიკერები, ერთ სახლში ერთნი დამსხდარან, მეორეში მეორენი და მესამეში რჯულის კაცები. ორივე მხარეს უჩივლია. ხახუას უთქვამს — ეგენი (ხატალიონნი) ამბობენ იარაღით გავარჩევთ საქმესო. ეს ოხერხეველთ სწყენიათ: ჩვენც მაგას მოვუცდით, იარაღი ჩვენიცა ჭრისო და ეს რჯულზე შეყრილი მტრები, რჯულიდან ისევ მტრებად გაყრილან. რჯულის კაცები ხახუას მიჰბრუნებიან — კაცი არა ხარ? თოფიდან ხანჯალზე შეეყარენით, შენ კი ხანჯლიდან ხმალზე გადაჰყარენო.

— ისა ვქენ, რო ვირი ვარ და ვირი ჩამიდნეს მამას ყელშიო! უპასუხნია ხახუას.

* * *

სოფელ ხადუს აქვს ტყე, რომელიც სანების ჯვარს ეკუთვნის. იმ ადგილს სადაც ჯვარის ტყეა, საჯანგეს ეძახიან. თუ იმ ტყეში რამე შევიდა — კაცი, საქონელი, ცხენი, სანამ თვითონ არ გამოვა, ვერავინ გამოიყვანს, იქ შესვლა არავის შეუძლია.

ერთხელ მითხოვლებმა(ჩაჩნებმა) ლიქოკში სისხლი აიღეს და გამოიქცნენ. გამოიარეს ღული, ზეისტეჩო, წინხადუ და საჯანგის ტყეს შეაფარეს თავი. გამოუდგნენ ლიქოკლები და სხვა სოფლების კაცებიც. ხადუელებიც მიხვდნენ, რომ კაცის მკვლელები იყვნენ, ორნი გაიქცნენ და ქისტებს გზა შეუკრეს. ქისტებმა ორივენი დახოცეს და ტყეში შეათრიეს. მოვიდნენ ზეისტეჩოელნიც, მათ შორის დევათ შიშიაც იყო. ხადუვლებმა ლანძღვა დაუწყეს: — თქვენ სოფელზე გამოატარეთ, არ დახოცეთ; არც მალე მოხვედით და ამასობაში ორი კაცი მოგვიკლესო. დევათ შიშიამ დაუძახა — თქვენი დედა, ქალიკაებო! განა მე ორმაგი ჯაჭვი მაცვია. რად შეუშვით ტყეში, არ იცოდით, რომ ტყე მტრის დასამალავად ციხე სიმაგრეაო. ქისტებმა მკვდრები უფრო ღრმად შეათრიეს და მანამ იქ ეყარნენ, ვიდრე ისევ ქისტებს — ლამუროთ არ გამოატანინეს.

ამ ბრძოლის დროს დაიძახა თურმე ერთმა ახალგაზრდა ხევსურმა, თვი-

თონ თოფი რომ ხელში ეჭირა: — ვაი, სანების ჯვარო, ჩემ ძმას კლავენ, ნეტავი მამაჩემი აქ იყოსო!

* * *

სოფელ ახიელში ცხოვრობენ ციხკარაულები. ამ გვარში შედიან მამამამის შვილები: ვარანი, თათიანი, გაგუჩანი, კვირიკანი და ფუნჩანი. კვირიკათა ეხლა აღარავინ არის, ჟამს დაულევიან (ამოუწყვეტიან). ამ მამიშვილები ძალიან ამაყები ყოფილან. სოფელს არაფრად აგდებდნენ. ნადირობდნენ, ურჯულოს ხოცავდნენ, მტერს მაგრად უდგებოდნენ, სოფლელებს ხმას არ აღებინებდნენ. ერთხელ გაბრაზებულმა ძმა-შინშებმა სოფელში რომ ვერავინ აიყოლიეს, წავიდნენ, საირმით (ადგილის სახელია) საიალაღოდ გაშვებული ჯარავანი(ხარების ჯოგი) და მეხარავნე ჩამორეკეს, მინდორში ჯვარისკარს მოლალეს და სოფელს გინება დაუწყეს — კარში ეხლაც არავინ გამოძვრებითო? არავინ აჰყვა. მოისვეს დაშნებს ხელი და ხარები დაჭრეს. აი მაშინ გაუწყრა არხოტის ჯვარი და ჟამი გაუჩინა.

ამათ ჰყოლიათ კუკუა კარგზე კარგი, მამაცი მონადირე. დილით შეეფარებოდა ნეთხიჩოს(სადაც სანადირო კლდეებია) და საღამოს ნადირის ხორცის ბარგს გამოატარებდა ნასენაებთანო(ადგილია). სოფელში თუ ძაღლი დაიყეფებდა, კუკუა ბანზე გამოვარდებოდა — რა ამბავიაო. არც ბევრი ძილი იცოდა, ხელზე დაიყრდნობდა თავს და ძილს ისე მოიხდიდაო.

კვირიკათ კუკუასათვის ღილღველთ ძალიან ახლობელი ჰყოლიათ მოკლული, რომელიც უძებარი ყოფილა. სამზირ (მზირად) მარტო წასულა. ნაროზაულთ გაუგიათ, რომ კუკუა მარტო მიდიოდა. ქისტებს მათი სისხლიც მართებიათ. ბერდია ნარაზოულს გადაუწყვეტია წასვლა, მაგრამ ის და კუკუა ნამდურავად ყოფილან, ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ. წასულა კუკუა და უკან გაჰყოლია ბერდია. იარეს ასე წინ და უკან. ჭალას რომ ჩასულან, კუკუას თავისთვის ჩაულაპარაკებია: — ეს ძაღლი სადღა მიდისო.

— სადაც შენ მიდიხარ, მეც იქ მოვდივარ, გაიარეო — უთქვია ბერდიას. გადახვის ძირს რომ მისულან კუკუას მოუხსნია სასაგძლე, ამოუღია ხელცულა და საჭეხი.

— გამიკვირდა, ამეების აქ წამოღება რად უნდოდაო. გაიარა, მოჭრა ორი სწორი ხე, დაჭრა წვრილი ხეები მოკლ-მოკლედ. მაშინ მივხვდი, რომ კი-

ბეს აკეთებდაო. მოკლე ხეები სასაგძლეში ჩაყარა, ის ორი ხე მე გადმომიყარა და მაშინ გამცა ხმა – მხარზე შეისხი და წამოიღეო (იმ ადგილს უმძრახათ ეძახიან). ქადაბკის ძირს ეხლაც დგას ციხის ნანგრევები, აი იქ მისულან. ქისტებს ღრეობა ჰქონიათ (მაშინ ისინიც ლუდს ადუღებდნენ). კუკუას კიბე მიუყუდებია ქვიტკირის საკვამთან და შიგ შეუხედია.

– ჩემი მტერიც აქ არის და შენი მოსაკლავიცო. ქისტებს კაცის გონებით ნაროზაულის ცოლი ჰყოლიათ მოკლული. ქალი ცელით თიბდა თურმე, კაცი ჰგონებიათ და მოუკლავთ.

კუკუას უთქვამს – კარგად დააკვირდი გარეთ რომ გამოვლენ, იმ ლამაზ ქალს სამკაულიანი რაღაცა აცვია, იმას დაჰკრავო. შეხტა კიბეზე, „არა ხან დაილივა და გუნთნ იქნესავ თოფისანიე“. გაჰყვა ქვითკირში კივილით. აიშალა ხალხი. პირველი ქალი გამოვარდა ჭყივილით – დაჰკარით, არ გაუშვათო. დავჰკარი მეც და გამოვიქეცით, სანამ ისენი იარაღს აისხამდნენ, ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიყავითო.

* * *

სოფელ ამღაში მცხოვრებლებს მიწა არ ჰყოფნის, სახნავ-სათესი ცოტა აქვთ და ამიტომ სად არ ხნავენ და თიბავენ. ისინი არხოტის ჭალაზე ტერღას (ქისტების საზღვარზე) ჩადიან და იქაც მოჰყავთ მოსავალი.

ერთხელ ბიძაშვილებმა – ბერდედიათ უშიშამ და გაგათ ჩაჩაურმა ტერღას კალოობისას ცხენებს ქერიანი ტომრები აჰკიდეს და ამღას წამოვიდნენ. ჩაჩაურის შვილმა გიგიამ შემთხვევით უშიშას ცხენი ისეთ ადგილას გამოატარა, რომ საპალნე კლდის კანჭს გაჰკრა. ტომარა გადაიჭრა და ქერი დაიბნა.

უშიშა ძალიან წვრილმანი კაცი იყო და მოჰყვა: – ჩემ მტერთ, რა მიყო გიგიამ! ქერი დამიშალაო. შენი ცხენი ჩემმა შვილმა კარგად გამოატარა და შენი ტომრები გადარჩაო.

რომ აღარ გაათავა, ჩაჩურმა უთხრა: – რა გინდა კაცო, ეგ შენი ქერი ნახევარი ტომარა თუ დაიბნა, ამღაში ერთ ტომარას მოგცემო. ამოჰკრა ნიჩაფი ზიარ ქერს და კლდეში გადააბნია: – ერთ ტომარასაც ამაში მოგცემ; ეხლა კი, პეტრეს გამარჯვებამ (ამღის სალოცავი – პეტრე ნალვრისპირისა),

გაჩუმდი, თორემ ერთ საკვირველს გიზამ. სიმღერეთ ეჰყვებოდი (ლექსს ვიგონებდი) და გამაწყვეტინეო.

* * *

ნისლაური ამღიონი იყო. ძალიან კარგი ვაჟკაცი, მონადირე, იცოდა ჭიანურის და სტვირის დაკვრა, უყვარდა ხუმრობა.

ამღივნები და ახიელლები შემოდგომას ტანიეს ჩადიან, სადაც საზამთრო საბოსლოები აქვთ, მიუდის ცხვარ-ძროხა, ცხენ-ჯორები და იქ იზამთრებენ, ერთ შემოდგომას ნისლაურიც წავიდა ტანიეს. მარტოკამ ჩარეკა საქონელი და ერთი ძროხა ისეთიც გააყოლა, რომელიც ისევ იწველებოდა, წველიდა ძროხას და რძეს საზეურში[1] ასხამდა. კასრი უკვე გაავსო, უნდა შედღვიბოს, მაგრამ სადღვებელი არა აქვს. აქვე მისი ახლობელიც იყო ახვა, რომელსაც ძროხები ჰყავდა ჩამორეკილი და სადღვებელიც ჰქონდა (ნისლაური ბერდიშვილთა იყო, ახვა გიორგათი). ნისლაურმა სადღვებელი სთხოვა, მაგრამ ახვამ ახლოს არ გაიკარა — რატომ თავისი არ წამოიღეო.

ნისლაური ძალიან ლაღი ხასიათის კაცი იყო. შევიდა შინ, გამოიტანა რძით სავსე კასრი და ახვას დაუძახა: — ახვაო, აბა ჩამახენეო, შენ ნუ მაუკვდებიგ ნისლაურსავ, ეემაშიით ამაღებულ კარაქ თუ არ ამათქვლიფავ, აღარა ეშველებისავ. წადგა სანეხვეზე და მთელი საზეური ზედ მოაპირქვავა.

* * *

ნიკოლოზის დროს არხოტში პირაქეთელი ხევსურების „ზეკუცია“ ჩაუყენებიათ, ყაჩაღად გავარდნილ სუმბატასა და სადარას დასდევდნენ. ორწყალთანას მდგარან საყარაულოდ. ერთ ხევსურს ყარაულობის ვადა გასთავებია და შინ წასასვლელად გამზადებულა. საგძლად მოტანილი ერთ ჯამამდე „კალი“ (მოხალული ხორბლის ფქვილი) დარჩენია და მისი მუშზე[2] გადაცვლა მოუფიქრებია.

ნისლაური ზის თურმე თავის ბანზე და რაღაცას აკეთებს. ამ დროს მისდგომია ეს ხევსური. — კალს მუშზე ვერცაით გადავსცვლიო?

1 საზეური — ჭურჭელი, რომელშიაც შესადღვებ ნაღებს ან რძეს აგროვებენ

2 მუშები — ცაცხვის ხის ლაფანი, რომლისაგანაც თოკებს გრეხავენ.

— რამდენი გაქვსო?

— ერთ ჯამამდე იქნებაო.

— ემანდ ხომიკაზე[1] დაყარეო, — უთქვია ნისლაურს. შესულა ჭერხოში და ერთი შეკვრა მუში გამოუტანია. — კიდევ გინდაო? და კიდევ მიუცია. გახარებული ხევსური წასასვლელად გაბრუნებულა თუ არა, მოუვლია ხელი ნისლაურს ხალიანი ჯამისთვის და მისთვის ზედ საჯდომზე შეუყრია — ესეც თან გაიყოლეო.

* * *

ამღივნები ძალიან მხიარული ხალხია, არაფრად დასდევენ არც სიღარიბეს, არც სიკვდილს. მკვდარიც რომ ჰყავდეთ, მაინც ხუმრობენ..

ერთხელ ამღაში ერთი ქალი მოკვდა, სიცოცხლეში ძალიან ეშმაკი და მოხერხებული. სახელად ნანუკი ერქვა.

ორი დღის მკვდარი წევს ნანუკი. იქვე მისი ნარევნი სხედან (მკვდრისთვის ღამისმთეველი ახალგაზრდები). თომა ბალიაური, ბაბუტა, გიგი, ბეწინა, ბერდია, თორელი და სხვები. საუბარში ნელ-ნელა ხუმრობაზე გადავიდნენ. ბაბუტამ თქვა: — გაიარე ბეწინავ, ნანუკს პირზე ყური დაადევი, სულს ხომ არ იქცევს (სუნთქავს) — არამგონია ეგ მკვდარი იყვეს, თავს იმკვდარუნებს, იმის გაგება უნდა — ჩემი სიკვდილით გიგია (ქმარი) რას იზამს, დავნანდები თუ არაო.

* * *

ამავე სოფელში ავად არის ნისლაური და კვდება. სამი-ოთხი თვის წინ ცოლი შუქია ჰყავს დამარხული, რომლის სამარხისად შვილებს — მერცხალას, ხირჩლას და ბაბუას ლუდი აქვთ ნადულარი.

— დიავ, სადა ხარო (ასე ეძახდა მერცხალას) — დაიძახა ნისლაურმა, — რას აკეთებო?

— ლუდს ვსვამო.

— რა ლუდი გიდგასო?

— დედის საქორწილოო.

---

1 ხომიკა — ხის პატარა გობი

— ლუდი ჯერ არ არის გახსნილი შე მწერელთ შვილო და რას შეასმევო — გაჯავრდა ხირჩლა.

მერცხალამ კოდიდან ქიტით ამოიღო ლუდი, ჩაასხა ერაწში (რკინის ჰატარა ქვაბი) და მამას შეუტანა.

— რას შვრები, არვარგა ლუდი ავადმყოფისთვისო, — დაუძახა ხირჩლამ.

— არაუნდა, დიო, დაალევინე, გაერიოს ლოთი ლოთებშიო, — უთხრა ბაბუამ. საქმე იმაში იყო, რომ მათი პაპაც კვდომის დროს თურმე არაყს ითხოვდა, დაალევინეს და მთვრალი მოკვდა. ამაზე თქვა — გაერიოს ლოთი ლოთებშიო.

* * *

ნისლაური ხომ ძალიან კარგი კაცი იყო, მაგრამ შვილები უფრო კარგები იყვნენ. ერთ გაზაფხულზე თოვლი, წვიმა და ხორხოშელა ერთმანეთში არეული მოვიდა. არხოტში ბანიანი სახლებია და თოვლჭყაპში უმოწყალოდ ჩადის წყალი. ნისლაური და მისი შვილები საბოსლოს არიან შიტულორლუს (კალოთანელთ ადგილია). დილაადრიან ხალხი გარეთ გამოშლილა და ბანებს ტკეპნიან, მერცხალა კი არსად ჩანს. ხალხს უკვირს — მინდიას რა დაემართა, რომ არსად ჩანსო (მინდიაი მერცხალას ნამდვილი სახელი იყო). ხირჩლამ დაუძახა მინდიას მეზობელს: — წადი ბიჭო, ნახე, სად არის და რას აკეთებსო. მივიდა გაგა (ასე ერქვა მეზობელს) და რას ხედავს: წყალი ჩქლაფუნით ჩამოდის, ყვერფი სავსეა წყალში არეული ნაცრით, ნახშირითა და ნამწვავი შეშით. მინდიას ყუნჭი ჩაუდვია წყალში, თვითონ სკამზე ზის, ფეხები ყუნჭზე უწყვია, ფანდური უჭირავს, ყარწიკა (უსახლებო მოსასხამი) თავზე წამოუფარებია, რომ ფანდური არ დასველდეს და ლექსობს.

— კაცო, რას უზიხარ და ფანდურს უკრავ, ვერ ხედავ წყალი ზედ ჩამოგდის, სირცხვილია, გარეთ გამოდი, ხალხი ბანებს ტკეპნისო.

— რად უნდა საბოსლოს ბანს დატკეპნა, გაიდარებს და გაშრება. ლექსობის ამინდი კი ეხლა არის, დარზე სად მცალიან ფანდურის დასაკრავად და ლექსთ სათქმელადო. — ფანდურის გაუჩერებლად უპასუხია მინდიას.

* * *

ბისოელმა ხთისო გიგაურმა ბაკურხეველი ფიცხელაურ გიორგის შვილი დავითი შინ აწივა (დაპატიჟა). სახლში სმა ჰქონდა, პატივი სცა ხალხს. დავითს სასმელი მეტი მოუვიდა და გული აერია. შეურაცყოფილმა ხთისომ სტუმარს ხანჯარი სდვა — იმდენად არაფრად ჩამაგდო, რომ ჩემი პატივისცემა ჩემსავე სახლში ამოსთხიაო.

* * *

სოფელ ამღაში ქალებს — გაგათ ქალიკას, მარაისძეთ ლელას, კიბალაურთ სამძიმარს, ცალკე მოჰყავდათ თამბაქო იმათთვის, ვინც მათ ვეფხისტყაოსანს წაუკითხავდა. მაშინ თამბაქო ძვირი იყო, ხევსურეთში ოქროდ ფასობდა. ხელსაქმობის დროს ისინი იწვევდნენ კითხვის მცოდნე ვაჟებს და საფასურად თამბაქოს აძლევდნენ. ვაჟებიდან არჩეული ჰყავდათ მარაისძის შვილი დავითი. ქალიკას მთელი ვეფხისტყაოსანი ზეპირად დაუსწავლია.

მარაისძეთ ლელა ჩემი დედის დედიძმის ქალი იყო, კიბალაურთ სამძიმარი ვაჟიათ — გიგიაის ცოლი.

დანართი

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელმა-თომა ბალიაურმა პირიქით ხევსურეთში, არხოტის ხეობის ს.ახიელაში ბიძის — თათია ბალიაურის ოჯახს შეაფარა თავი. კავკასიონის ჩრდილოეთით მდ.ასის სათავეებში მდებარე არხოტი ძნელად მისავალი, ბუნებრივად კარგად გამაგრებული ხეობაა. მოვიდა აქ და ჩარჩა.

20-30-იანი წლების ხევსურეთი თავისი საკუთარი კანონებით ცხოვრობდა, თავისი სამართალი ჰქონდა, მტერ-მოყვარესთან ურთიერთობის მკაცრად განსაზღვრული ნორმები, საკუთარი ნატურალური მეურნეობა. ეს ყველაფერი უნდა აეთვისებინა ამ გარემოში მოხვედრილ, მანამდე სხვა ინტერესებით ნაცხოვრებ კაცს.

იშვიათი გარეგნობით, ბუნებრივი მომხიბვლელობით, პიროვნული ზემოქმედების ძლიერი ძალით დაჯილდოვებულს, ვინც კი ხვდებოდა, მის ჯადოს თავს ვეღარ აღწევდა. ლეგენდად დარჩა იგი დ.კაკაბაძის, დ.ციციშვილის, მარიჯანის, ვ.შკლოვსკის, ვ.ბარდაველიძის, ნ.მაკალათიას მოგონებებში. ხევსურეთის გადაკარგულ სოფელში უცებ ხვდებოდნენ მაღალი ინტელექტისა და განათლების მქონე ახალგაზრდა კაცს, რომელიც თავისი პოლიტიკური მრწამსის გამო მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს, საკუთარი ცხოვრების მიზანს, რომელიც მარტოკა იდგა ძლიერი და დაუნდობელი მტრის პირისპირ.

თავისი მშფოთვარე ბუნების წყალობით, იგი არც ხევსურეთში მჯდარა უმოქმედოდ: განათლებას, ცხოვრების სწორ აზრს, ეროვნულ სიმტკიცეს თესავდა ხალხში. მისი თაოსნობით მოხდა ხევსურეთის ხალხურ სამართალში (რჯულში) სისხლ-მესისხლეობის უმკაცრესი კოდექსების შეცვლა, უფრო ჰუმანური წესებით. ის იყო ახალგაზრდობისათვის პირადი მაგალითი სიმამაცისა, ზნეობრიობისა, სამართლიანობისა.

1934 წლის იანვარში ს.ამღაში სტუმრად მყოფი თ.ბალიაური ტახტზე წამოწოლილი ფანჯრიდან მიპარვით მოკლეს. თავზარდამცემი იყო

ეს ამბავი მთელი ხევსურეთისთვის. ლენინგრადში სწავლა მიატოვა და სასწრაფოდ წამოვიდა მწერალი ლადო ბალიაური, რომელმაც მეორე ბიძაშვილთან ერთად თომას სისხლი აიღო. შემდეგში, როდესაც პოლიტიკური პატიმრის ლ.ბალიაურის ნეშტი ყარაგანდიდან ჩამოასვენეს, დედამ — ლელამ მას ჩაატანა თომას ნატყვიარი, სისხლიანი პერანგი.

დაღუპვამდე სამი წლით ადრე, როგორც ბალიაურთა ოჯახის უფროსმა თაობამ იცოდა, თომას სახლის კედელში ჩაუშენებია ბოთლი, რომელშიც რაღაც ხელნაწერი ყოფილა მოთავსებული — ჩემი გარდაცვალების შემდეგ, შესაფერი დრო რომ დადგება, მაშინ გაიხსნასო. ამ დოკუმენტის მიმართ თომას ახლობლებში საკრალური დამოკიდებულება სუფევდა და მას არავინ გაჰკარებია.

ერთი წლის წინ, ადგილობრივ ახალგაზრდებს სამალავი გაუხსნიათ და ხელნაწერი ამოუღიათ. იგი აღმოჩნდა ძალზე ლაკონურად დაწერილი ავტობიოგრაფია.

ვფიქრობთ, ამ დოკუმენტით ქართველი საზოგადოება გაეცნობა კიდევ ერთი მამულიშვილის ხანმოკლე, მაგრამ სახელოვან სიცოცხლის გზას, რომელიც მან სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა.

თ. ოჩიაური

თომა ბალიაური

დაბადებულ 1896 წ. სოფ. ახიელში. ვსწავლობდი 1913 წ. ვლადიკავკაზში, გიმნაზიაში, საიდანაც დამითხოვეს უხეირო ყოფაქცევის წყალობით, რასაკვირველია მაშინდელი რუსოფილი მასწავლებლების შეხედულებით. თუმცა ჩემს წარსული წლების სიცელქეს დღესაც გაოცებაში მოჰყავს ნაცნობები. მოუსვენარი ხასიათი დამყვა ბოლომდის.

გიმნაზიიდან დათხოვნილი ვცხოვრობდი ალვანში, ოჯახში. 1914 წ. გამიცნო მარჩევსკიმ, რომელმაც შვილად ამიყვანა და გამგზავნა გორში. აქ ვცხოვრობდი პოეტ ია ეკალაძესთან. პირველის და მეორეს გაცნობამ აღმიძრეს და გააღვიძეს ჩემში ეროვნული ძარღვი, რის შემდეგ გავხდი უკიდურესი პატრიოტი და ყოველი ჩემი მოქმედება იყო დაკავშირებული სამშობლოს კეთილდღეობასთან, რასაც ბოლომდე შევსწირე ჩემი თავი. შესაძლებელია ეს თვალსაჩინოდ ვერ განვაგითარე და ფართე მოქმედებისთვის არ მექნა გასაქანი.

თფილისში რუსოფილ პაპეჩიტელმა არ მომცა ნება გამოცდების ჩაბარების. დაებრუნდი თიანეთში. ვცხოვრობდი მარჩევსკისთან, საიდანაც 1914-15 წწ. ვიყავ მოხალისედ ოსმალის ფრონტზე პირველ თფილისის ქართულ დრუჟინაში (დ.ჯანდიერი მეთაურობდა). ავადმყოფობის წყალობით გავთავისუფლდი. ჩამოვედი მშობლებთან. გარდავიტანე მძიმე ავადმყოფობა (პლევრიტი). ვიწექი 6 თვე. გამორჩენის შემდეგ ვმსახურობდი ენისელში (სამომხმარებლო ამხანაგობაში), შემდეგში ყვარელში საქმის მწარმოებლად. აქედან ვაჭრობის მიზნით წავედი რუსეთში. ვაჭრობის მიზნები ჩაიფუშა. შეველ სამსახურში, ადმინისტრაციაში დონის ოლქში, სადაც მომისწრო რუსეთის რევოლუციამ. ბოლშევიკების დაჭერის შემდეგ გადმოველ ეკატერინოსლავში, გუბერნიის კომისიაში კესელის განკარგულებაში, სადაც მყვან-

და ჩეჩნების და თერგის ოლქის ქისტების შემადგენლობით რაზმი, მიმართული ქალაქის სიმშვიდის დასაცავად, განსაკუთრებით ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთათვისაც საშინელებად გარდავიქეცი.

გადატრიალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სახლს დაჰკრეს ორმოცმა წითელარმიელმა ობისკი, მეძებდნენ დასახვრეტად, გაუსხლტი ხელიდან და ჩამოველ ს.ჟერებეცში. აქ შევაფარე თავი მდიდარ ებრაელს ზასლავსკის. ვცხოვრობდი სხვის გვარზე. გამოსვლა ვერ მოვახერხე, რადგანაც რუსეთი გახვეული იყო სამოქალაქო ომში. წამოსულ ამხანაგებს მოასწრეს და დახვრიტეს როსტოვში.

ჟერებეცში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ღამე გამოველ და რკინისგზით გამოვსწიე საქართველოსკენ. დავტოვე მტირალი უკრაინელი ქალი ლიზა, რომელსაც ვუყვარდი და მიყვარდა გაგიჟებით. დამაპატიმრეს ქისტ აბდულრახმან ბადხიევთან ერთად. გამძარცვეს. გამოირკვიეს ვინაობა და დასახვრეტად გამზადებულნი გამოვიქეცით. გავჩერდით კერჩში. გვიშველა ყალბმა ბოლშევიკურმა მოწმობებმა. ჩამოველ თფილისში. შეველ მოხალისედ ფურცელაძის რაზმში. ვიყავ ოსების წინააღმდეგ. დავინიშნე ხევსურეთში და ფშავში კომისრად. შემდეგ შეველ მოხალისედ ლეო კერესელიძის რაზმში. ვიყავ სომხების წინააღმდეგ შულავერში; ვმსახურობდი ბორჩალოს მაზრაში რაიონის კომისრად. გადმოველ თბილისში სისხლის სამმართველოს ინსტრუკტორად და ამავე დროს ვიყავ მივლინებული ოსმალურ მისიასთან. ბოლშევიზაციის შემდეგ გავიქეცი ბათუმისკენ. გზაში გავაცილე საქართველოს სიმდიდრე. ბათუმიდან, დავბრუნდი გრემში. დამშვიდების შემდეგ შეველ ისევ სისხლის სამმართველოში. ვიღებდი მონაწილეობას არალეგალურ მუშაობაში. გამიგეს. დაპატიმრებამდე რვა კაცით შეიარაღებული 1921 წ. ბზობა ღამეს გამოველით თფილისიდან ერწოს მიმართულებით. ერწოში დავყავის ერთი თვე. ამხანაგებს გული გაუტყდა და რაზმი ჩაიშალა. გადმოველით მე და სულხანიშვილი აწყურში. გავიგეთ ჩოლოყაშვილის გასვლა, შეუერთდით ალვანის თავში. ვიღებდი მხურვალე მონაწილეობას ხევსურეთის აჯანყებაში 1924 წ. ვხელმძღვანელობდი მოხევეებს. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ხევსურეთმა მოსთხოვა ჩემთვის პატიება. გზა აღარსაით იყო, ან თვითმკვლელობა, ან შერიგება. მთელმა კომისართა კრებამ აღუთქვა პატიება. ჩა-

ველ. მოვტყუვდი. მიპირებდნენ დახვრეტას. მეორე დღესვე გამოველ თფილი-სიდან. აღარ ჩავსულვარ.

ამავე წელს ხანჯლით მოვკალ ჩიქოვანი ასის ხეობაში, რომელიც იყო მთავრობისგან გამოგზავნილი ხევსურეთის დასამორჩილებლად და ბოლშევიკური მოძრაობის გასაღვივებლად. ისევ გაველ. მთავრობა შეშფოთდა. შემომითვალეს არ გავსულიყავ. ჩავრჩი არხოტში. მდევნიდნენ ყოველ მხრივ, ვერ ჩამიგდეს ხელად. ბოლო რითი დამთავრდა არ ვიცი. ვსწერ 1930 წლის მაისის 30.

მადლობელი ვარ არხოტის, განსაკუთრებით ლელასი, რომელმაც შემინახა როგორც შვილი. თუ მოვკვდი, ვერ ვეღირსე საქართველოს განთავისუფლებას, ამის შემხედვარმა მომიგონოს, რომ იყო ვიღაც დევნილი და სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა თავი. ჩემი სალამი ჩოლოყაშვილს, რომლის, როგორც ბელადის სახელისათვის არ შემირცხვენია და არ დამიყრია იარაღი და არც დავყრი იარაღს სიკვდილამდის.

იყავ ძლიერი ქართველო ერო, მომავალი შენია. სამუდამო ხსოვნა ქართველ მებრძოლთა.

თომა ბალიაური

დაბადებიდან 33 წ.

სოფ.ახიელი

ლადო ბალიაური

ლადო ბალიაური ნ.ბალიაურის ძმა იყო. დაიბადა 1907 წელს არხოტში, თათია ბალიაურს ეს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა ხუთი ქალის გვერდით. კაი ყმის ყველა თვისება ბუნებითაც დაჰყვა და აღზრდაც სათანადო მიიღო. მამისა და ბიძაშვილის თომა ბალიაურის გვერდით ცხოვრებამ ყმაწვილობიდან აზიარა იმ ზნეობრივ ღირებულებებს, რაც ხევსურეთში კაცობის განმსაზღვრელად ითვლებოდა. ზნეობრივი სისპეტაკე, სიმამაცე და დაბეჩავებულის გვერდზე დგომა ლადოს ხასიათის თვისებები იყო.

1934 წელს ღალატით მოკლეს თომა ბალიაური. ლადომ მიატოვა ლენინგრადი, სადაც იგი სწავლობდა, ჩამოვიდა და შური იძია. ამის შემდეგ ლენინგრადში აღარ დაბრუნებულა, საქართველოში დარჩა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. ამ პერიოდიდან იწყება მისი სამწერლო მოღვაწეობა, რაც ერთი ათეული წლით განისაზღვრა. 1942 წელს ლადო დააპატიმრეს როგორც უნივერსიტეტის ფარული ორგანიზაციის წევრი და ყაზახეთში გადაასახლეს, სადაც დაილუპა 1952 წელს. მისი ნეშთი საქართველოში ჩამოასვენა ნიკო მაკალათიამ. დაკრძალულია სოფელ შუაფხოში.

აქვე ვათავსებთ ნ.ბალიაურის საკუთარ ლექსს, რომელიც მისი ბიძაშვილის თ.ბალიაურისა და იმჟამად გადასახლებაში მყოფი ძმის ლადო ბალიაურისადმია მიძღვნილი. ლექსის ბოლოში, რომელიც ენათმეცნიერ ირინე ასათიანს ნ.ბალიაურისაგან ჩაუწერია ს.შუაფხოში 1966 წლის ივლისში, მიწერილია: „მე ხომ მოლექსე არა ვარ, თომა მეცოდება, იმაზე ვთქვიო“.

შენ დედას ჭევსურის ქალო, ნათელა ვიტყვი რასაო,
სიბერემ დაგიახლოვა, თეთრ შაგერივა თმასაო,
თავითავ დამყვა ფიქრები, როგორც ლემადე მთასაო,

სიბერემ დაგიახლოვა, თეთრ შაგერივა თმასაო,
თავითავ დამყვა ფიქრები, როგორც ლემადე მთასაო,
გული ლოგინად დაიგა, მჯარი მომანდო მჯარსაო,
რა დამაცილებს თომასა, ან იმის ალვის ტანსაო,
საამოდ საკვლევს თვალწარბსა, მტერსაც აძლევდა ზარსაო.
სუყველას მოხკლავს სიკვდილი, გაიტანს თავისასაო,
ბედიანასა, ბეჩავსა, ერთნაირს უდგამს სკამსაო.
სწორებში დასაკვეხნებსა შორს ვგონობ ერთას ძმასაო,
რა მძიმე მაგცეს სასჯელი, რაში — რა გდებენ ბრალსაო?
სამშობლო გაგაწირვიეს, შორს გაგაცილეს ზღვასაო,
შენ ტანჯვამც გაუნაწილა დედასა, ხუთსავ დასაო.
ცუდი ხარ წუთისოფელო, არას-ვის მისცემ კასაო,
წინწინ სიკეთის პურადო, გვისრულებ ოცნებასაო,
ათასნაირად გვიხატავ მომავალ ცხოვრებასაო,
შენის უკუღმართ ბრუნვითა უკუღმ შაუცვლი ჟამსაო,
ქალ-ვაჟსა კაის დროსასა გადაუხლართავ გზასაო,
აუვსებ საწამლავითა სიამ-სიცოცხლის თასსაო.
მადლობა მზეს და მთვარესა, ჰმელეთს უვლიან გარსაო,
სითბოს — სინათლეს თანაბრად აძლევენ ავს და კასაო,
შუქნ ბარაკშიაც შადიან, არ შაიცვლიან ხაზსაო,
დღემუდამ ხედვენ ტუსაღსა დიდი ხნის პატიმარსაო,
ნუ მაიგონებ არხვატსა, ნუ დაინანებ თავსაო
დრო გავა, იქავ გამოხვალ, არ ხარ სიბერის ჟამსაო,
იქნებ ჩქარობდეს კალამი, ჰყვებოდეს გულისთქმასაო,
არა და რაღა იქნების, სუყველგან მარხვენ მკვდარსაო,
კარგი ყმა სწორთან ამთავრებს ვაჟ თავის ცხოვრებასაო,
ცუდას სუყველა აშინებს, მაუფარების ქვათაო.

რედაქტორი: **თინათინ ოჩიაური**
მხატვარი: **გიორგი ოჩიაური**

ჩაბარდა წარმოებას 1.08.95; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.08.95;
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.5;
ბეჭდვა ოფსეტური; ქაღალდის ზომა 60X841/16;
ტირაჟი 1000. შეკვეთა №18.

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა გამომცემლობა „ლეგა"-ს სტამბაში.
თბილისი, ბალანჩივაძის 1.